პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი სპორტზე

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 078 (12 453) 3 აპრილი ხუთშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ფენერბაჰჩემ გრანტი აილო

ჩემპიონთა ლიგა

» 16

## ფედერაციის პრეზიდენტობა მინდა

ინტერვიუ შოთა არველაძესთან

» 4

»»» 10

# ორი ოქრო ორ დღეში





გიორგი გოგშელიძე ევროპის ჩემპიონია

# მოლაპარაკებაზე თანახმა ვიქნები



ექსკლუზიური ინტერვიუ ფოლკერ ფინკესთან

» 3

# კანდიდატები ნელ-ნელა იკვეთებიან

ოლსენი, ვან გაალი, კატანეცი, ბიანკი, ბეკერმანი, ბრიგელი და ფინკე



ინტერვიუ უჩა უგულავასთან

» 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხიზანიშვილს არ გაუკვირვებია



ზურაბ ხიზანიშვილი

**ზურაბ ხიზანიშვილი** ბელფასტში კლაუს ტოპმიოლერთან ურთიერთობის გასარკვევადაც ჩავიდა. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ყველაფერი დალაგდა, მაგრამ სულ მალე გაირკვა, რომ ამ შეთანხმებას პრინციპული მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ზურამ "ლელოსთან" საუბარში მცირე კომენტარი ნაკრების ექსთავკაცთან შეხვედრაზეც გააკეთა, და ბელფასტურ მარცხზეც და გერმანელის გადადგომაზეც.

*"ვერ ვიტყვი, რომ ტოპმიოლერის წასვლა ძალიან გამიკვირდა. ბოლო დროს ნაკრებს შედეგი აღარ ჰქონდა, არ ვარგოდა თამაშის ხარისხიც... ბუნებრივია, წარუმატებლობა მხოლოდ მწვრთნელის ბრალი არაა, მაგრამ გამოჩნდა, რომ ცვლილებები იყო საჭირო. ჩემი მხრიდან ახლა უხერხულია იმაზე საუბარი, თუ ვინ იქნება ჩვენი გუნდისთვის იდეალური მწვრთნელი. ვნახოთ, ვის გამოუცხადებენ ნდობას, იმედია, შემდეგ შესარჩევ ციკლს უფრო წარმატებით ჩავატარებთ"*, - ამბობს ხიზანიშვილი.

ტოპმიოლერთან შეხვედრას კი "ბლექბერნის" მცველი ასე იხსენებს: *"საკმაოდ გულთბილი და გულახდილი საუბარი გვქონდა. კლაუსმა მითხრა, რომ გუნდის შეუცვლელ წევრად მივაჩნივარ, მე კი, ჩემის მხრივ, საიმისო მზადყოფნა გამოვთქვი, რომ ეროვნულ გუნდში დავბრუნებულიყავი. იყო კიდევ რამდენიმე საინტერესო მომენტი, რომლებზე საუბარიც არ მსურს. მოკლედ, საერთო ენა გამოვნახეთ, თუმცა როგორც მალე გაირკვა, ეს აღარაფერს წყვეტდა. ისე კი, ტრავმამ შემიშალა ხელი, თორემ ჩრდილოეთ ირლანდიასთან აუცილებლად ვითამაშებდი. სამწუხაროა, რომ კიდევ ერთი თამაში წავაგეთ. თანაც, მეტოქემ შანსი არ დაგვიტოვა. არადა, სულაც არ დავმარცხებულვართ მსოფლიო დონის გუნდთან. ჩვენი ნაკრების პრობლემებმა ბელფასტში მწვავედ იჩინა თავი."*

**ლევან ჯანეზაშვილი**

# Zura is the best

"ბლექბერნ როვერსის" გულშემატკივრებმა ვებგვერდ vitalfootball-ზე გამოკითხვა ჩაატარეს - მარტში გუნდის საუკეთესო მცველად **ზურაბ ხიზანიშვილი** დასახელდა. ზურამ ხმების 41 პროცენტი მიიღო, მის ქვემოთ **სტივენ უორნოკი** აღმოჩნდა ხმათა 25 პროცენტით.

ბლექბერნელმა ფანებმა საუკეთესო შუახაზელად **დევიდ** ბენტლი დაასახელეს, რომელმაც **მორტენ გამსტ პედერსენი** ჩამოიტოვა.

ახლა ორი საუკეთესო თავდამსხმელი დარჩა გამოსავლენი და მერე ორი საუკეთესო მცველი (ხიზანიშვილი და უორნოკი), ამდენივე შუახაზელი და ფორვარდი ერთმანეთში თვის საუკეთესო ბლექბერნელის სახელისთვის იპაექრებენ. რა თქმა უნდა, ესეც გულშემატკივართა გამოკითხვით მოხდება.

რაც შეეხება მეკარე **ბრედ ფრიდელს**, ის მცველებთან ერთად მონაწილეობდა გამოკითხვაში. პირველივე ტურში ჩაფლავდა.

**დავით თავართქილაძე**

# გორელები დასაჯეს

გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის სადისციპლინო სამსახურმა "დილა"-"ლოკომოტივის" მატჩის შემდეგ მომხდარი ინცინდენტი განიხილა. შეგახსენებთ, რკინიგზელებმა ანგარიში შეხვედრის მიწურულს გაათანაბრეს. მასპინძელთა აზრით, მათ ეს თამაშგარე მდგომარეობიდან შეძლეს. "დილას" წევრებმა მსაჯებს შეურაცხყოფა მიაყენეს.

"დილას" ფეხბურთელი **ალბერტ საყვარელიძე** ლაინსმენ **ბესარიონ ჭიჭინაძის** ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის 10-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა და 2 500 ლარით დაჯარიმდა. ამავე საქციელისთვის საყვარელიძის თანაგუნდელები, **ნოდარ ნოზაძე** და **ლაშა რეხვიაშვილი** 3-3 შეხვედრას გამოტოვებენ და 400-400 ლარს გადაიხდიან.

გორელთა მთავარი მწვრთნელი **ზურაბ ხორგუაშვილი**, მისი ასისტენტი **რევაზ ხაჭაპურიძე** და კლუბის ადმინისტრატორი **ზურაბ კარტოზია** მსაჯების სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის 300-300 ლარითა და 2-2-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯნენ. თვით "დილა" გულშემატკივართა ხულიგნობისთვის 250 ლარით დაჯარიმდა, მის სტადიონს კი სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაცია მისცეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ნაკრები

# რა კრიტერიუმებით ეძებს მწვრთნელს ფედერაცია

## კანდიდატები: ოლსენი, ვან გაალი, კატანეცი, ბიანკი, პეკერმანი, ბრიგელი და ფინკეც

**კლაუს ტოპმიოლერთან** მოლაპარაკების დასრულებისთანავე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა "ლელოსთან" საუბარში განაცხადა, რომ უკვე დაიწყო მუშაობა ეროვნული გუნდის ახალი მწვრთნელის შესარჩევად. ფეხბურთის ფედერაციის თავკაცთა ტრიო (ახალკაცი, უგულავა, ქავთარაძე) დღეს გამთენიისას დაბრუნდა თბილისში. გუშინწინ სამივენი "შალკე"-"ბარსელონას" ჩემპიონთა ლიგის მატჩს დაესწრნენ. გელზენკირხენში იყო ჩასული "ლევანტეს" ქართველი ფორვარდი შოთა არველაძეც. ფედერაციის ხელმძღვანელობამ უკვე დაიწყო ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატთა სიის შედგენა და ამ სიაში მყოფი და პოტენციური კანდიდატებიც დავადგინეთ. გავიგეთ ისიც, რომ ფედერაციის თავკაცები მაქსიმუმ აპრილის შუა რიცხვებისთვის საჯაროდ დაასახელებენ მწვრთნელობის კანდიდატებს.

ერთი სიტყვით, სანაკრებო თემებზე სასაუბროდ გუშინ გერმანიაში ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავას დავუკავშირდით.

**- ნაკრების თავკაცის შესარჩევად ფედერაციის ხელმძღვანელობამ მუშაობა უკვე დაიწყო?**

- დიახ, უკვე დავიწყეთ მუშაობა და შედეგებს საფეხბურთო საზოგადოება მალე შეიტყობს. გვინდა გავიგოთ, თუ ვისთვის რამდენად საინტერესო იქნება ჩვენი შეთავაზება.

**- ამ საკითხზე გერმანიაში შეხვედრები ხომ არ გქონიათ?**

- არა, შეხვედრები ჯერ არ გვქონია. ნაკრების მთავარი მწვრთნელობის სავარაუდო კანდიდატთა სიას ვადგენთ. ამაზე ვმსჯელობთ, აზრებს ვუზიარებთ ერთმანეთს, სხვადასხვა მწვრთნელებისა დოსიეებს ვეცნობით, მათ პიროვნებას, დონესა და საფეხბურთო ფილოსოფიასაც ვაკვირდებით.

**- ალბათ, უკვე გამოიკვეთა რამდენიმე კანდიდატურა...**

- არა, ამაზე ადრეა საუბარი. ჯერ მხოლოდ ინფორმაციას ვაჯერებთ. აპრილის შუა რიცხვებისთვის ჩვენ საჯაროდ წარმოვადგენთ კანდიდატთა ჩამონათვალს, რომელსაც ყველა გაეცნობა და თავის აზრს გამოთქვამს.

**- ჩვენი ინფორმაციით ფედერაციის ხემძღვანელებს უკვე ჰქონდა სატელეფონო საუბარი რამდენიმე უცხოელ მწვრთნელთან...**

- შესაძლოა, გვქონდა საუბარი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე მწვრთნელთან მოლაპარაკებები წამოვიწყეთ. ეს ის პროცესია, რომლითაც გავიგებთ ამა თუ იმ მწვრთნელისთვის რამდენად საინტერესოა ჩვენი წინადადება.

**- ფედერაცია მხოლოდ უცხოელ მწვრთნელზე აკეთებს აქცენტს?**

- არა, რატომ მხოლოდ უცხოელზე? მწვრთნელს ეროვნების მიხედვით არ ვეძებთ.

**- რა ნიშნის მიხედვით არჩევთ ნაკრების ახალ მწვრთნელს?**

- ჩვენთვის მთავარია, მწვრთნელის კლასი და გამოცდილება, კვალიფიკაცია. ჩვენ ყველა იმ მწვრთნელის კანდიდატურას განვიხილავთ, ვინც ამ კრიტერიუმს დააკმაყოფილებს. ამასთან, იქნება პატიოსანი, არ ექნება მერკანტილური მოსაზრებები და დიდი სურვილი ექნება ქართულ ფერხბურთს დაეხმაროს.

**- ჩვენი ინფორმაციით, მორტენ ოლსენი, ლუის ვან გაალი, სრეჩკო კატანეცი, ფოლკერ ფინკეც იქნება ფედერაციის სიაში...**

- ამას ვერც დაგიდასტურებთ და ვერც უარვყოფ.

**- ესე იგი ასეა?**

- ასე შეიძლება კარლოს ბიანკიც იყოს ჩვენს სიაში, ნესტორ პეკერმანიც და სხვებიც...

**- ბიანკი და პეკერმანი შემთხვევით არ გიხსენებიათ...**

- შემთხვევით რატომ უნდა მეხსენებინა. ჩვენ არაერთი მწვრთნელის "სივის" განიხილავთ...

**- ჰანს პეტერ ბრიგელიცაა ამ სიაში?**

- ესეც საინტერესო მწვრთნელია, მაგრამ კანდიდატთა სია ჯერ ადრეა. ახლა სწორედ ამ კანდიდათა სიას ვაჯერებთ.

**- როგორც გავიგეთ პროცესში შოთა არველაძეც ჩაერთო...**

- დიახ, მას ამ საქმეში დახმარების გაწევა ნამდვილად შეუძლია. პროცესში ყველა იმ პიროვნების ჩართვას მივესალმებით, ვისაც დახმარების გაწევა შეუძლია.

**- გუშინ ერთად ყოფილხართ, "შალკე"-"ბარსელონის" მატჩზე...**

- კი ასე იყო. შოთა ჩამოვიდა ესპანეთიდან და კობიაშვილის თამაში ერთად ვნახეთ.

**- როდისთვის ეყოლება ნაკრებს ახალი მწვრთნელი?**

- კარგად ვიცით, დრო ცოტაა და ამას ვითვალისწინებთ კიდეც. გვინდა, მაისის დასაწყისში უკვე წარვადგინოთ ნაკრების ახალი თავკაცი. მაისის ბოლომდე გრძელდება ჩემპიონატები და სასურველია, ნაკრების ახალმა თავკაცმა ჩვენი ნაკრების ლეგიონერების თამაში ნახოს კლუბებში. ასევე დაესწროს ეროვნულ ჩემპიონატს და ფეხბურთელები შეარჩიოს. მაისის ბოლოს ორი ამხანაგური მატჩი გვაქვს და ეს თამაშები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე, 20 აგვისტოს უელსთან დასკვნითი ამხანაგური მატჩი გვაქვს და ესეც უნდა გავითვალისწინოთ.

**- თემურ ქეცბაიასთან ხომ არ გქონიათ საუბარი?**

- მე არ მისაუბრია. ნოდარმა თუ დაურეკა არ ვიცი. თუმცა თემურთან აუცილებლად გვექნება საუბარი.

**- კლაუს ტოპმიოლერი მის მემკვიდრეს დახმარებას დაჰპირდა. ნაკრების ახალ თავკაცზე ფედერაციისთვის რჩევა ან მინიშნება ხომ არ მიუცია?**

- არა, მსგავსი არაფერი ყოფილა. კლაუს ტოპმიოლემა აღნიშნა ნაკრების ახალ თავკაცს თუ სურვილი ექნება ჩემს წარმოდგენას გავაცნობ ნაკრების წევრებსა და კანდიდატებზე, მას ინფორმაციულად დავეხმარებიო. ეს იყო და ეს.



უჩა უგულავა

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: პაატა გელაშვილი; მიმართულების რედაქტორები: მამუკა ჩიხლაძე (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: პაატა თოთაძე (ქართული ფეხბურთი), შალვა ბიბილაშვილი (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: ნოდარ დუგლაძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: მიხეილ ჯაში; გავრცელების სამსახური: ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დილომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა გაზეთში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექსკლუზიური ინტერვიუ ფოლკერ ფინკესთან

# მოლაპარაკებაზე თანახმა ვარ!

## საქართველო, ქართული მენტალიტეტი და ქართული ფეხბურთი ძალიან მიყვარს, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მანდ ბევრი პრობლემაა...



კლაუს ტოპმიოლერი საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ არის - საქართველოს ნაკრებს ახალი დამრიგებელი სჭირდება. და თანაც, სასწრაფოდ! უკვე არსებობს რამდენიმე სავარაუდო კანდიდატი და მათ შორისაა "ფრაიბურგის" ყოფილი თავკაცი, ქართველი ქომაგებისთვის კარგად ნაცნობი ფოლკერ ფინკე, რომელსაც გერმანიაში, ერთი პერიოდი, "ქართველი ფეხბურთელების მოყვარული" მწვრთნელის სახელი ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ ფოლკერს "ფრაიბურგში" ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილი ჰყავდა, მოგვიანებით კი თავისთან ოთარ ხიზანეიშვილსაც უხმო. ფინკეს დროს "ფრაიში" იყვნენ გიორგი კიკნაძე და ზაზა ზამთარაძეც, თუმცა მათ SCF-ში კარიერა ვერ მოიწყვეს.

"ფრაიბურგის" ყოფილ თავკაცს ნუხელ გერმანული გამოცემის, "კიკერის" დახმარებით დავუკავშირდით.

**- ჰერ ფინკე, სალამო მშვიდობისა. საქართველოდან განუხებთ - ყოველდღიური სპორტული გაზეთი "ლელო".**

- სალამო მშვიდობისა. საქართველოდან ზარი ყოველთვის სასიამოვნოა.

**- თუ დრო გაქვთ, რამდენიმე კითხვას დაგისვამთ.**

- რასთან დაკავშირებით? თემას გააჩნია...

**- რამდენადაც ჩვენთვისაა ცნობილი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე თქვენ ერთ-ერთ კანდიდატად მოიაზრებით.**

- კეთილი, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ვერაფერს გეტყვით. სათქმელი არაფერი მაქვს. არ მინდა, რომ ჩემი განცხადებით შექმნილ ვითარებაზე რაიმე ზეგავლენა მოვახდინო.

**- გვაქვს ინფორმაცია, რომ კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის განყვეტის შემდეგ, ალექსანდრე იაშვილმა, ლევან კობიაშვილმა და ლევან ცქიტიშვილმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას თქვენი კანდიდატურა შესთავაზეს და რომ ფედერაციაში ამ საკითხზე სერიოზულად ფიქრობენ...**

- სწორად გამიგეთ, ამ თემაზე რაიმე განსაკუთრებული კომენტარის გაკეთება ჩემი მხრიდან არასერიოზული საქციელი იქნება. მართალია ის, რომ ქართველ ფეხბურთელებთან და საერთოდ საქართველოსთან ძალიან საინტერესო და კარგი ურთიერთობა მაქვს. განსაკუთრებით იმ ფეხბურთელებთან, რომლებსაც "ფრაიბურგში" დიდი ხნის განმავლობაში ვწვრთნიდი, მაგრამ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან ჩემთვის არავის მოუმართავს, არავინ შემხმიანებია და, შესაბამისად, ამ თემაზე დეტალურად საუბრის აზრს ვერ ვხედავ. ეს იმიტომ, რომ ფედერაციიდან არავინ შემხმიანებია. ხომ ხვდებით, ჩემი მხრიდან ამ თემაზე საუბარი არასერიოზულია.

**- და თუკი დაგირეკავენ და საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს შემოგთავაზებენ?**

- ჯერ ეს ნაბიჯი არავის გადაუდგამს.

**- და თუ გადადგამენ?**

- თუ დამირეკავენ, ყურმილს ნამდვილად არ გავთიშავ. მოლაპარაკებაზე ალბათ თანახმა ვიქნები. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თანახმა ვარ. სწორად გამიგეთ, საქართველო და ქართული ფეხბურთი ძალიან მიყვარს, მიყვარს ქართული მენტალიტეტი და ქართველი ხალხი. ეს ისედაც ყველა იცის. მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ქართულ ფეხბურთში არაერთი პრობლემაა.

**- საქართველოში ნამყოფი ხართ. როგორი შთაბეჭდილება შეგექმნათ მაშინ ჩვენს ქვეყანაზე?**

- ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ჩემთვის ძალიან ადვილია, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ამგვარი განცხადებების გაკეთებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. ვერასდროს იტყვი, რომ რაც ადრე იყო, ცუდი იყო და რაც ახლაა, ძალიან კარგია. საქართველოზე და ქართულ ფეხბურთზე გაცილებით მეტი ვიცი, ვიდრე წესით უნდა ვიცოდე. ყველა პრობლემა გასათვალისწინებელია. სწორად გამიგეთ, სიფრთხილეა საჭირო.

**- დიდი მადლობა, რომ დრო გამონახეთ.**

- გმადლობთ.

**გოტფრიდ ლენცი**

17-წლამდელთა ნაკრები

# გელა შეყილაძემ ორმოცეული გამოცხადა

**თბილისი-საქართველო 0:0**

2 აპრილი. თბილისი. სპორტკომპლექსი ოლიმპიკი. 100 მაყურებელი

თბილისი: ნადირაძე, ამაშუკელი, ახვლედიანი, ჯიმშელეიშვილი, ადამაშვილი, მურადაშვილი, ქართველიშვილი, ჟვანია, ჯიშკარიანი, გაბაშვილი, ვაშაკიძე.

*მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: ლეგაშვილი, საბაძე, სირაძე, კვეკვესკირი, ლაბაძე, ბაქრაძე, ბარიხაშვილი, შონია, უგულავა, ჩაფიძე.*

საქართველო: მეშველიანი, დილმელაშვილი, მირცხულავა, ფუტკარაძე, კირკიტაძე, ორდენიძე, ძალამიძე, ჩელებაძე, ჭედია, ბუზალაძე, ხარაბაძე.

*მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: მაქაცარია, აფაქიძე, მეფარიშვილი, კუხიანიძე, ლარიბაშვილი, იობაშვილი, ჩანგელია, გრძელიშვანიშვილი.*

*არბიტრი: მ. ელიკაშვილი.*

გუშინ სპორტკომპლექს "ოლიმპიკში" 17-წლამდელთა ნაკრების კანდიდატთა შესარჩევად სასელექციო მატჩი გაიმართა. შეგახსენებთ, რომ ეს ის გუნდია, რომელიც მიმდინარე წლის შემოდგომაზე ევროპის ჩემპიონატის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს. მანამდე კი, 15 და 17 აპრილს ჩვენი 17-წლამდელები ბულგარელ თანატოლებთან ორ გასვლით ამხანაგურ მატჩს ჩაატარებენ. **გელა შეყილაძის** გუნდი ბულგარეთში 13 აპრილს გაემგზავრება, მანამდე კი მწვრთნელმა იქ წასასვლელი 18 ფეხბურთელი უნდა შეარჩიოს.

პირობითად დაყოფილ გუნდებს **ასლან ბალაძე** და **ლევან ხომერიკი** ხელმძღვანელობდნენ. გელა შეყილაძე კი მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. თბილისის ნაკრები და დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ნაკრები უგოლოდ გაიყარნენ.

მატჩის დამთავრების შემდეგ 17-წლამდელთა ნაკრების თავკაც გელა შეყილაძეს კომენტარი ვთხოვეთ:

*"დღეს ბიჭები კიდევ ერთხელ გამოვცადეთ. ამ კონტინგენტიდან 20 ფეხბურთელს შევარჩევთ, რომლებიც 5 აპრილიდან შეკრებაზე გვეყოლება. ოცეულიდან კი ბულგარეთში გასამგზავრებელ 18 ფეხბურთელს გავარკვევთ. ბულგარეთის შემდეგ კიდევ გვექნება ამხანაგური მატჩები რუმინეთსა და ლუქსემბურგთან. შემოდგომამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და შესარჩევ ციკლს ძლიერი გუნდით უნდა შევხვდეთ"* - აღნიშნა შეყილაძემ.

**დავით ცაბაძე**



პეტარ სეგრტი, გელა შეყილაძე, ასლან ბალაძე



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

# მოკრძალებული კანდიდატი

ფეხბურთის ფედერაცია ვექტორს ახლა ყველგან აცეცებს, რათა ეროვნული გუნდისთვის ახალი მწვრთნელი შეარჩიოს.

ფედერაციას ხმა ნაკრების ფეხბურთელებმაც მიაწვდინეს და ვისაც "ფრაიბურგში" უთამაშია, **ფოლკერ ფინკე** მოიაზრეს ეროვნული გუნდის თავკაცის კანდიდატად.

**ალექსანდრე იაშვილი, ლევან კობიაშვილი, ლევან ცქიტიშვლი** - მათ ფინკესი ბევრი უნახავთ, ამ მწვრთნელთან ერთად მხრებით ეზიდებოდნენ ფრაიბურგულ ტვირთს.

ფინკე დასავლეთგერმანელია, ნიურნბერგში დაიბადა და გაიზარდა. მასზე საქართველოში ისეთი ლეგენდაც დადის, ფეხბურთელი კი არა, ხელბურთელი იყოო.

ჰერ ფოლკერი მართლაც ფეხბურთელი იყო. "ჰაველზეში" თამაშობდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქვედა ლიგებში. "ჰაველზე" დაბა გარბსენის გუნდია, რომელსაც ფინკემ სიკეთე სიკეთით გადაუხადა, როცა მწვრთნელობა დაიწყო. ფეხბურთელობის ბოლო წლები ფინკემ "ჰანოვერს-შენში" გაატარა, ისევ დასავლეთგერმანიის ქვედა ლიგაში. თამაშს თავი კი ფინკემ 1975 წელს დაანება.

იმავე წელს ჰერ ფოლკერმა მწვრთნელობა დაიწყო. სამოყვარულო "შტაილინგენი" ნუმპიდან ხმელეთზე აიყვანა, რამდენიმე ლიგით დააწინაურა, თუმცა მეორე ბუნდესლიგამდე ვერ მიიყვანა. მერე ფინკე "ჰაველზეს" მწვრთნელი შეიქნა და გუნდი 1990 წელს მეორე ბუნდესლიგაში ალაზევა.

"ფრაიბურგში" ფინკე 1991 წელს მივიდა და მას შარშან გამოემშვიდობა - 16 წელიწადი ერთ გუნდში იმთავარმწვრთნელა, ბადენვიურტემბერგელებისთვის ეპოქალური კაცი შეიქნა.

ფინკეს ხელმძღვანელობით "ფრაიბურგი" მეორე ბუნდესლიგის ქვევით არ ჩასულა. ფინკეს "ფრაიბურგმა" პირველად ბუნდესლიგის საგზური 1993 წელს მოიპოვა, მერე რამდენჯერმე ჩაეყუდა მეორე ბუნდესლიგაში და ასევე რამდენჯერმე დაბრუნდა უკან, ელიტაში. 1995 და 2001 წელს კი ფინკემ "ფრაიბურგს" უეფას თასზე თამაშის უფლება მოაპოვებინა.

ფინკე ფუტკარივით მშრომელი კაცია, წარმოუდგენელია, ის საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გახდეს და არ იაროს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებზე, იზარმაცოს და საწუწუნო რალაცები გამოქექოს - ფინკეს სულ სხვა კაცად იცნობენ იაშვილი, ცქიტიშვილი და კობიაშვილი და ასე იცნობენ მას რაინიდან ოდერამდე.

ფინკეს ხელში "ფრაიბურგში" ქართველების გარდა დაწინაურდნენ ტუნისელი **ადელ სელიმი**, არგენტინელი **როდოლფო კარდოსო**, ირანელი **ფერიდუნ ზანდი**, ლიბანელი **როდა ანტარი**... ფინკეს "ფრაიბურგში" განვლეს გზა გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებმაც - **იორგ ჰაინრიხმა** და **სებასტიან კელმა**.

ფინკე 60 წლის გახლავთ, მრავალმხრივი ნიჭის კაცი უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ რაგინდარა რჯულის ფეხბურთელებს მოუყარა თავი "ფრაიბურგში" და საერთო ჯამში ამ გუნდის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი გამოდგა.

ფინკეს ხელობა მხოლოდ მწვრთნელობა არ არის. ნიურნბერგის ერთ-ერთ სკოლაში მას ფიზკულტურის მასწავლებლადაც უმუშავია.

ის არ არის მაღალანაზღაურებადი მწვრთნელი, ფეხბურთის ფედერაციას და ქვეყნის ბიუჯეტს მისი ჩამოყვანა ძვირი არ დაუჯდება. მწვრთნელი ფინკე ახლა უმუშევარია.

ის ყოველთვის პროვინციული გუნდების მწვრთნელი იყო, თუმცა ვინ იცის, იქნება ასეთი კაცი უფრო გამოადგეს საქართველოს ნაკრებს.

**დავით თავართქილაძე**

# ღვინიანიძის ხელმეორე ოპერაცია



სამწუხაროდ, **მათე ღვინიანიძისთვის** სეზონი დასრულებულია. არადა, გასული წლის 20 დეკემბერს, როცა "მიუნხენ 1860-ის" ქართველ მცველს მუხლის ოპერაცია გაუკეთეს, ითქვა, რომ იგი მოედანს ერთ თვეში დაუბრუნდებოდა. თუმცა ღვინიანიძე მწყობრში ვერაფრით ჩადგა, მეტიც, მას ხელმეორე ოპერაცია დასჭირდა. ამჯერად მას მუხლის სახსრის დაზიანებული ქსოვილი ამოკვეთეს. ოპერაცია აუგსბურგში ჩატარდა.

*"მუხლი მათეს ვარჯიშის საშუალებას არ აძლევდა. სამწუხაროა, რომ ეს ოპერაცია მას კიდევ დააკარგვინებს დროს. სამაგიეროდ, დაბეჯითებით შემიძლია იმის თქმა, რომ მომავალში ღვინიანიძეს მუხლის პრობლემა აღარ შეაწუხებს"*, - აცხადებს "მიუნხენის" ექიმი **ერიხ რემბეკი**.

ტრავმის მიღებამდე ღვინიანიძე თავისი გუნდის ძირითადი შემადგენლობის შეუცვლელი წევრი იყო. მეორე ბუნდესლიგაში მან ამ სეზონში 13 მატჩის ჩატარება მოასწრო. მათეს საშუალო შეფასება 3,81-ია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხადაძე აზერბაიჯანის ნაკრებში?

თითქმის გადაწყვეტილია, რომ აზერბაიჯანის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გერმანელი **ბერტი ფოგტსი** იქნება. გუშინ კი როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არაა გამორიცხული ფოგტსის თანაშემწედ ამჟამად ბაქოს "სტანდარდის" მთავარი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** დაინიშნოს.

ინტერვიუს კახა ცხადაძესთან ხვალინდელ "ლელოში" შემოგთავაზებთ.



# გოლი ხუთ წუთში



დავით გამეზარდაშვილი

ბალტიის ლიგაში მე-4 ტურის მატჩები გაიმართა. B ჯგუფში ლატვიურმა „სკონტომ" სტუმრად 6:1 გაანადგურა ლიტვის „სუდოვა". მარიამპოლეში „სკონტოს" სასტარტოში ერთი ქართველი იყო - **დავით გამეზარდაშვილი,** 62-ე წუთზე **მარიან პაჰარსის** ნაცვლად მოედანზე **ლადო დვალიშვილი** ვიხილეთ. ზუსტად ხუთ წუთში ლადომ პენალტით თავისი გუნდის მეოთხე გოლი გაიტანა. ბოლო 20 წუთი „სკონტომ" 10 კაცით დაასრულა მატჩი. სამი თამაშიდან დაუმარცხებლად „სკონტო" ჯგუფის ლიდერია.

C ჯგუფში „კაუნასი" ლიეპაიას „მეტალურგსს" ეწვია და 1:1 დაუზავდა. „კაუნასის" სამივე ქართველი სასტარტოში იყო, თუმცა **ნუკრი მანჩხავას** 25-ე წუთზე მოუწია მოედნის დატოვება ტრავმის გამო. „კაუნასსა" და „მეტალურგსს" 4-4 ქულა აქვთ. **გივი კვარაცხელიამ** და **აკაკი ხუბუტიამ** 90-90 წუთი ითამაშეს. D ჯგუფში ლატვიის ჩემპიონმა „ვენტსპილსმა" 2:0 დაამარცხა ლიტვური „ჟალგირისი". **ზურაბ მენთეშაშვილი** ჯერ ვერ თამაშობს. „ვენტსპილსს" და „ჟალგირისს" 6-6 ქულა აქვთ.

# ქართველები უგოლოდ

რუსეთის ჩემპიონატის პირველ დივიზიონში მოასპარეზე "ანჟის" თავკაცმა **ომარ თეთრაძემ** ტურებსშორისი პაუზა გამოიყენა და ამხანაგური მატჩი ჩაატარა. მახაჭყალელელებმა მორიგი საკონტროლო შეხვედრა კასპისკი "დიგდიზელთან" გამართეს და 1:2 დამარცხდნენ. "ანჟის" ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, თეთრაძემ ეს მატჩი იმ ფეხბურთელთა საქმეში სანახავად მოაწყო, რომლებიც ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებიან.

"დიგდიზელთან" მახაჭყალელთა ძირითად შემადგენლობაში სამი ქართველი იყო - **ზურაბ არზიანი, რევაზ ბარაბაძე** და **რევაზ ჯიქია**. ქართული ტრიოდან შეხვედრა მხოლოდ ჯიქიამ ჩაამთავრა. არზიანმა საწყისი 45 წუთი დაჰყო მოედანზე, ბარაბაძე კი მე-40 წუთზე შეცვალეს.

**დავით ცაბაძე**



რეზო ჯიქია

# ქართული ტრიო რეიტინგში

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ (IFHHS) მოწინავე კლუბთა ახალი რეიტინგი გამოაქვეყნა, 350 კლუბს შორის სამი ქართულია – თბილისის "დინამო" 78 ქულით 230-ე ადგილზეა, რაც წინა მაჩვენებელზე 67 ადგილით უკეთესია. 260-ე ადგილზეა "ამერი", რომელიც ბოლო ხანს 350 საუკეთესო კლუბში ვერ ხვდებოდა (352-ე იყო), "ამერს" 75 ქულა აქვს. 334-ე ადგილზეა (+109) "ზესტაფონი" 65 ქულით.

# შოთა არველაძეს ფედერაციის პრეზიდენტობა სურს

## მწვრთნელის ძიებაში არველაძეც ჩაერთო



ქართულ საფეხბურთო სამყაროში ხმები დაირხა - ძმებ არველაძეებს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცობასთან, რბილად რომ ვთქვათ, თბილი ურთიერთობა აღარ აქვთო. ისიც კი ითქვა, კლაუს ტოპმიოლერი ამას შეეწირაო. ეს ვერსია, "ლელოსთან" რევაზ არველაძის საუბრითაც გაამყარეს, სადაც ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა ფედერაციას თანამშრომლობა რომ არ შეეწყვიტა, პოსტიდან გადავდგებოდიო.

დაპირისპირების ფაქტი კატეგორიულად უარყო შოთა არველაძემ, რომელსაც გუშინ შევეხმიანეთ.

**- ჭორები გავრცელდა არველაძეები ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან დაპირისპირებულები არიანო. ამაზე რისი თქმა შეგიძლია?**

- ... (იცინის) სისულელეა და რა უნდა ვთქვა? ვის დავუპირისპირდი, ჩემს უფროს ძმას რეზოს?

**- არა, ძმები ერთად დაუპირისპირდნენ ფედერაციის თავკაცობასო?**

- სისულელეა. ვის დავუპირისპირდი, ქართულ ფეხბურთს? გუშინ ნოდარ ახალკაცთან, უჩა უგულავასთან და გოგი ქავთარაძესთან ერთად დავესწარი "შალკე"-"ბარსელონის" მატჩს. ესაა დაპირისპირება? იმდენად აბსურდული ჭორია, რომ მეტს არაფერს ვიტყვი.

**- ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობას როგორ შეაფასებდი?**

- თუ ნაკრების ასპარეზობით ავიღებთ, თავს ნამდვილად ვერ მოვიწონებთ. თუმცა თავის დროზე კლაუს ტოპმიოლერის ჩამოყვანა ფედერაციის პლუსი იყო. ის უკვე სხვაა თუ რამდენად გაამართლა თავად ტოპმიოლერმა.

თუ საორგანიზაციო მხარეს, სახელმწიფოსთან ერთად განხორციელებულ და უკვე დაწყებულ პროექტებსა და სხვა ფაქტორებს გავითვალისწინებთ, მაშინ ფედერაცია ბევრად აქტიური და მობილურია. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გადავხედოთ ადრე წელიწადში რამდენი თამაში ჰქონდა ეროვნულ ნაკრებს და რა დონის მეტოქეებთან - აზერბაიჯანი, მოლდოვა, სომხეთი და ასეთები. ახლა კი გერმანია, თურქეთი, ურუგვაი, პორტუგალია, უელსი... ამასთან, ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებებსაც არაერთი უცხოური შეკრება და ამხანაგური მატჩი აქვთ.

**- კლაუს ტოპმიოლერის მოღვაწეობაზე რას იტყოდი?**

- მდიდარი წარსული აქვს, მაგრამ ფაქტია საქართველოში ამოწურა თავისი შესაძლებლობები.

**- ზოგი კვლავაც ითხოვს ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებს...**

- საინტერესოა, რა მოტივითაა ეს მოთხოვნა გამყარებული, კლაუს ტოპმიოლერმა არ გაამართლა და ფედერაციის ხელმძღვანელობა უნდა გადადგეს? თავის დროზე ტოპმიოლერი რომ ჩამოვიყვანეთ, მაშინ ხომ ბევრი უკრავდა ტაშს ფედერაციას?

ერთზე შევთანხმდეთ, ახლა კარგ მწვრთნელს ვეძებთ და შესარჩევი ციკლის შემდეგ შევაჯამოთ ფედერაციის საქმიანობა. მხოლოდ იმის საუბარი ქართულ ფეხბურთში პრობლემებიაო, არაფერს გვარგებს. პრობლემები არის, თუ საქმე გინდა გააკეთო, ვინ გიშლის? პროექტი გაქვს რამე? კი ბატონო, წარმოადგინე პროექტი და ფედერაციაც გვერდში დაგიდგება.

იცით, რა მაინტერესებს, ფედერაციის პრეზიდენტის მორიგი არჩევნები როდისაა?

**- 2011 წელს უნდა ჩატარდეს. მონაწილეობას ხომ არ აპირებ?**

- კი, 2011 წელს ჩემს კანდიდატურას დავაყენებ ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმესთან დაპირისპირებული ვარ. უბრალოდ, ჩემი ძალები მინდა მოვსინჯო ამ დონეზე.

**- როგორც გავიგე, ფედერაციის ხელმძღვანელობის თხოვნით მორტენ ოლსენსა და ლუის ვან გაალთან გქონია საუბარი. მათთვის რამდენად საინტერესოა ჩვენი ნაკრების მწვრთნელობის შეთავაზება?**

- კი, ოლსენსა და ვან გაალს მართლაც ვესაუბრე, მაგრამ ჩვენი საუბრის შინაარს ვერ გეტყვით. ნაკრების თავკაცის შერჩევა ფედერაციის ხელმძღვანელების გადასაწყვეტია. მე რითაც შემიძლია ვეხმარები, ესაა და ეს.

**- ოლსენსა და ვან გაალს როდის უმთავრდებათ კონტრაქტები?**

- ოლსენს აღარ აქვს კონტრაქტი, ვან გაალს კი მაისში უმთავრდება. მას "ალკმაართან" ხელშეკრულება არ გაუგრძელებია. კარგი მწვრთნელი გვინდა და იმედი მაქვს ნაკრებში ასეთი მოვა.

**დავით ცაბაძე**

# ქეცბაია მეტოქეებს ელის



კვიპროსში თასის ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა ტურის მატჩები გაიმართა. A ჯგუფში **ლევან მაღრაძის** „აპოლონი" შინ 1:1 დაუზავდა ნიქოზიის "ომონიას". "აპოლონს" ხუთი თამაშიდან 9 ქულა გაუხდა და ჯგუფში პირველია, თუმცა ნახევარფინალის საგზურამდე ჯერ ადრეა, რადგან მესამე ადგილზე მყოფი "ომონია" მხოლოდ ქულით ჩამორჩება. ლევანს ამ მატჩში არ უთამაშია. **ლევან ქებაძის** "ეთნიკოსი" შინ "ნეა სალამინასთან" 1:3 დამარცხდა. "ნეა სალამინა" 9 ქულით მეორეა, ხოლო "ეთნიკოსი" დიდი ხანია უშანსოდაა (1 ქულა). არც ქებაძეს უთამაშია. ამ ჯგუფში გადამწყვეტი ტური 9 აპრილს გაიმართება. "ნეა სალამინა" მაღრაძის "აპოლონს" მასპინძლობს, მეორე შეხვედრაში კი "ომონია" უმოტივაციო "ეთნიკოსს" დახვდება.

B ჯგუფში **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი" სტუმრად 0:0 ეთამაშა აპოელს. ორივე გუნდი უკვე ნახევარფინალშია, მათ 11-11 ქულა აქვთ. **კობა წიტაიშვილმა** 90 წუთი ითამაშა. ბოლო ტურში "ანორთოსისი" "არისს" მასპინძლობს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# საქართველოს ჩემპიონატი. თებერვალ-მარტის ნომინანტები

## მწვრთნელი — ნესტორ მუმლაძე (ვიტ ჯორჯია)



ამ ნომინაციაში საკამათო, ალბათ, არაფერი უნდა იყოს: თებერვალ-მარტში ერთადერთი გუნდი, ვინც ყველა მატჩი მოიგო, "ვიტ-ჯორჯიაა". ჰოდა, "თვის მწვრთნელადაც" "ვეტერინართა" დამრიგებელი **ნესტორ მუმლაძე** დავასახელეთ. სხვათა შორის, ჩემპიონატის დაწყებიდან უკვე მესამე შემთხვევაა, მუმლაძე "თვის მწვრთნელად" რომ სახელდება. თუმცა დავუბრუნდეთ თებერვალ-მარტს, როცა "ვიტ-ჯორჯიას" ექვსიდან სამი ურთულესი მატჩი ჰქონდა ("ზესტაფონთან", "ოლიმპთან" და "ბორჯომთან"). როგორც უკვე აღვნიშნეთ, "ვეტერინარებმა" ექვსივე შეხვედრაში იმარჯვეს და თბილისის "დინამოსაც" მშვიდად ყოფნის საშუალებას არ აძლევენ.

მუმლაძე-მწვრთნელს ძირითად შემადგენლობაში ხშირი როტაციები არ უყვარს და მისი გუნდის წარმატების ერთ-ერთი საწინდარი სტაბილურობაც გახლავთ. სამაგიეროდ, უშუალოდ შეხვედრის დროს ისეთ შეცვლებს აკეთებს, თამაშის ბედი რომ გადაუწყვეტია. აი, ახლაც, ბოლო ტურში "ბორჯომთან" უპრინციპულეს მატჩში გამარჯვების მომტანი გოლი ხომ შეცვლაზე შემოსულმა **გიორგი ბერიაშვილმა** გაიტანა; მანამდე **ჯაბა ლიპარტია** ორჯერ ტურის სიმბოლურ ნაკრებში შევიყვანეთ - ორივეჯერ ახალგაზრდა ფეხბურთელმა შეცვლაზე შემოსულმა გამოიჩინა თავი.

"ვიტ-ჯორჯიას" 23 სექტემბრის მერე ქულაც არ დაუკარგავს; "მუმლიკამ" კი სეზონის საუკეთესო მწვრთნელობაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა. ოღონდ, ამისთვის, "აუცილებელი და საკმარისი" პირობაა, რომ "ვიტ-ჯორჯია" საქართველოს ჩემპიონი უნდა გახდეს!

## ფეხბურთელი — გიორგი მერებაშვილი (დინამო)



სეზონის დაწყების წინ ვივარაუდეთ, რომ "დინამოში" ლიდერობა **გიორგი მერებაშვილს** უნდა ეტვირთა. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, ეს ნიჭიერი ფეხბურთელი პირველ წრეში მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა. აი, დაიწყო მეორე წრე და მერებაშვილიც ისე ათამაშდა, როგორც გუნდის ჭეშმარიტ ლიდერს შეეფერება. კიდევ კარგი, **პეტარ სეგრტს** შეუმჩნეველი არ დარჩენია მერებაშვილის პროგრესი და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში დააბრუნა. ეგ კი არა, შორს არ არის ის დღე, გიორგი მერებაშვილი ეროვნულ ნაკრებში დამკვიდრებასაც რომ შეეცდება. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებიდან თუ ვინმე იმსახურებს ამ პატივს, უპირველესად - გიორგი მერებაშვილი.

"თვის ფეხბურთელობაზე" კიდევ ერთი მოთამაშე აცხადებდა პრეტენზიას - "ზესტაფონის" მარცხენაფლანგელი **ჟილვან ვიეირა**, მართლაც, საუცხოო სეზონს ატარებს. თანაც, ამ ბოლო დროს გოლების გატანასაც მოუხშირა - "დილასთან" "ჰეთ-თრიქი" შეასრულა, "ოლიმპთან" კი - "დუბლი".

## აღმოჩენა — მათე ვაწაძე (დინამო)

"დინამოს" ახალგაზრდა ცენტრ-ფორვარდს ამ ნომინაციაში კონკურენტი არ ჰყავდა - **მათე ვაწაძემ** ყველა შეხვედრაში, მართლაც, ჩინებული შთაბეჭდილება დატოვა. ახალგაზრდა თავდამსხმელი შესაშური შედეგიანობითაც გამოირჩევა - ძირითადში მეორე წრეში გამოჩნდა და უკვე ექვსი გოლის გატანა მოახერხა. არადა, ძირითადისკენ გზა ვაწაძეს მას მერე გაეხსნა, **ჯორჯ აკირემიმ** ტრავმა რომ მიიღო. ახლა აკირემი გამოჯანმრთელდა და საინტერესოა, გადავა თუ არა დუშან უჰრინი ორფორვარდიან ტაქტიკაზე? სხვა შემთხვევაში ვაწაძეს სათადარიგოთა სკამზე დაჯდომა ემუქრება - ამას კი ახალგაზრდა ფორვარდი არ იმსახურებს...



## თებერვალ-მარტის სიმბოლური ნაკრები




## მოვლენა

ამ პერიოდში რამდენიმე ისეთი ფაქტი დაფიქსირდა, უყურადღებოდ რომ ვერ დავტოვებდით. ჯერ ის ვთქვათ, რომ საქართველოში მოასპარეზე ლეგიონერებს კიდევ სამი ფეხბურთელი დაემატა: "ბორჯომში" კამერუნელი **ჯუსტი**, "ოლიმპში" კი ორი უკრაინელი - **ომელიანოვი** და **კოვალევსკი** გამოჩნდნენ. თუმცა, დანაკლისიც გვქონდა - "ოლიმპის" უკრაინელი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** სამშობლოში დაბრუნდა. ოფიციალური ვერსია - ოჯახური მიზეზები სახელდება...

პისკოვეცის წასვლა საქართველოში ბევრს არ სწყენია, სამაგიეროდ ყველას გაუხარდა, ეროვნულ ჩემპიონატს **ვიტალი დარასელია, რატი ალექსიძე** და **გიორგი მეგრელაძე** რომ დაუბრუნდნენ. ვიტალი და რატი "ლოკომოტივის" გადასარჩენად ყველაფერს აკეთებენ; მეგრელაძემ კი ხუთ მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. ყველაზე ეფექტური კი "ამერის" კარში გატანილი გოლი იყო, რომელიც ფასეული სხვა რამითაც გახლდათ: გიორგი მეგრელაძემ საქართველოს ჩემპიონატში მეასე გოლი გაიტანა!

## ფრაზა

ჩემპიონატის ბოლომდე არცთუ ცოტა დროა დარჩენილი, მაგრამ, ვეჭვობთ, ამ ნომინაციაში **ვლადიმერ ხაჩიძეს** ვინმემ აჯობოს. "ბორჯომის" მწვრთნელი ჯერ მარტო იმით არის დასაფასებელი, რომ ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს. "თვის ფრაზადაც" მისი სიტყვები მივიჩნიეთ, მეორე წრის დაწყების წინ რომ თქვა: "დამებედა - ყოველ სეზონს ახალი გუნდით ვხვდები. სიმართლე გითხრათ, ჩემი ფეხბურთელებიდან ყველას სახელი და გვარი არც ვიცი. სამწუხაროდ, საქართველოს ჩემპიონატი 18-19 წლის ბიჭების ლიგად არის ქცეული..."

გვერდი მოამზადა გია ტუხაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი. მოსალოდნელი ტრანსფერები

# დე როსი სამეფო კლუბის ახალი მაკელელეა

## გულშემატკივრები რომაელ ნახევარმცველს მოუთმენლად ელიან, შტუტგარტმა მადრიდელებს გომესის სანაცვლოდ 50 მილიონი მოსთხოვა...

"დიარიო მარკას" ცნობით, პრედრაგ მიატოვიჩი სამშაბათს რომში გაფრინდა. "რეალის" გენერალურმა დირექტორმა "რომას" ხელმძღვანელობასთან დანიელე დე როსისა და ალბერტო აკვილანის ტრანსფერებზე მოლაპარაკება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ მადრიდული გრანდის დე როსით დაინტერესების შესახებ ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ დაიწყეს საუბარი. როგორც ჩანს, ესპანელებს რომაული კლუბის ფეხბურთელებისადმი ინტერესი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური დაპირისპირებების შემდეგ კიდევ უფრო გაუმძაფრდათ.

სპეციალისტებმა **დე როსის** ხოტბა შეასხეს და სრული სერიოზულობით განაცხადეს, რომ **ბერნდ შუსტერის** გუნდის დამარცხებაში ამ ნახევარმცველმა უდიდესი წვლილი შეიტანა. ჯერჯერობით უცნობია, იტალიელები **მიატოვიჩის** წინადადებას როგორ შეხვდნენ, თუმცა თუ გავითვალისწინებთ, რომ "რეალის" გენერალური დირექტორი სატრანსფერო მოლაპარაკებებისას ყოველთვის პრინციპული და მიზანდასახულია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ხსენებულ ორ ფეხბურთელს კარიერის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გაგრძელების მშვენიერი შანსი აქვს. არაოფიციალური ინფორმაციით, "რომა" დე როსის 28 მილიონ ევროდ აფასებს. ბუნებრივია, მადრიდელები ამხელა თანხის გადახდას არ ისურვებენ. ასე რომ, წესით, სერიოზული ვაჭრობა უნდა გაჩაღდეს. აკვილანის სატრანსფერო თანხის შესახებ, ჯერჯერობით, არაფერი თქმულა, თუმცა სავარაუდოდ, იტალიელი ნახევარმცველი "რეალს" გაცილებით იაფი დაუჯდება.

სამეფო კლუბის გულშემატკივრები განსაკუთრებული ენთუზიაზმით დე როსის გადაბირების შესაძლებლობას ეხმაურებიან. უკლებლივ, ყველა გამოკითხვის თანახმად, დანიელე ინჩასების ყველაზე სასურველი ფეხბურთელია. ასეთი პოპულარობის მიზეზის დადგენა სულაც არ არის რთული. ხშირად აღნიშნავენ, რომ "სანტიაგო ბერნაბეუდან" **კლოდ მაკელელეს** აბარგების შემდეგ, "რეალს" მსოფლიო დონის საყრდენი ნახევარმცველი აღარ ღირსებია. ჰოდა, ქომაგებს იმედი აქვთ, რომ დე როსი ამ რგოლში არსებულ ყველა პრობლემას მოაგვარებს და "რეალს" მსოფლიო ფეხბურთის ავანგარდში დააბრუნებს. შესაძლოა, ოდნავ გადაჭარბებული შეფასებაა, მაგრამ ფაქტია, გულშემატკივრები, მაინც და მაინც დანიელეს ყიდვას ითხოვენ. ალბერტო აკვილანის შედარებით ცივად შეხვდნენ, თუმცა მისი გადაბირების მოწინააღმდეგე თითქმის არავინაა. პრინციპში, მას სათადარიგო შემადგენლობის ფეხბურთელად მოიაზრებენ და ამბობენ, საჭირო დროს ალბერტო სარგებელს მოგვიტანსო.



რომში დანიელე დე როსის ხელშეუხებელ ფეხბურთელად მიიჩნევენ

ამასობაში, სამეფო კლუბის ხელმძღვანელობას „შტუტგარტიდან" არცთუ სასიამოვნო ინფორმაცია მიაწოდეს. გეცოდინება, მადრიდელები გერმანული კლუბის ფორვარდით, **მარიო გომესით** დაინტერესდნენ და მისი შეძენის სურვილი გამოთქვეს. "შტუტგარტის" მესვეურები წინააღმდეგები სულაც არ არიან, თავიანთი საუკეთესო თავდამსხმელი გაასხვისონ, მაგრამ სანაცვლოდ არც მეტი, არც ნაკლები, 50 მილიონ ევროს ითხოვენ. სხვათა შორის, მარიოს "რეალის" გარდა "ჩელსი", "არსენალი" და "იუვენტუსიც" ეპატიჟებიან. რა თქმა უნდა, 50 მილიონი არარეალური თანხაა, თუმცა გერმანელებს დასაკარგი არაფერი აქვთ. გომესს ისინი იმ გუნდს დაუთმობენ, რომელიც ყველაზე მეტ ფულს გადაიხდის. გერმანიის ნაკრების ფორვარდს კლუბთან 2012 წლამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული.

ბარსელონა

# ფაბრეგასისა და ბეგირისტაინის ფარული კონტრაქტი

## სესკის ყოფილმა მენეჯერმა საიდუმლოს ფარდა ახადა

"არსენალის" ვარსკვლავი **სესკ ფაბრეგასი** დიდი ხანია ევროპული გრანდების უდიდეს დაინტერესებას იწვევს. მისი გადაბირების სურვილს ვინ აღარ გამოთქვამს. აქამდე ყველაზე მეტად "რეალი" აქტიურობდა, თუმცა გუშინ გავიგეთ, რომ სესკის ხელში ჩაგდების საუკეთესო შანსს "ბარსელონა" ფლობს. ინგლისური კლუბის ნახევარმცველმა აწ უკვე ყოფილ მენეჯერთან, **ხოსება დიასსთან** კონტრაქტი გაწყვიტა და სხვა მენეჯერი დაიქირავა. ამის შემდეგ დიასი ყველა ვალდებულებისგან გათავისუფლდა და საზოგადოებას ძალიან საინტერესო ინფორმაცია ამცნო: *"მართალია, ფაბრეგასის ინტერესებს აღარ ვიცავ, მაგრამ შემიძლია "ბარსას" გულშემატკივრებს ძალიან სასიამოვნო რამ ვუთხრა. რამდენიმე თვის წინ ჩიკი ბეგირისტაინს პირადად შევხვდი და წინასწარი კონტრაქტი გავაფორმეთ. ფაბრეგასი "არსენალიდან" წასვლას თუ მოისურვებს, პირველ რიგში, სწორედ კატალონიურ გრანდს დაელაპარაკება. ხსენებული ხელშეკრულების გამო სესკი ვალდებულია, კატალონიელები საქმის კურსში ჩააყენოს. დაზუსტებით ვიცი, რომ ჩემ ყოფილ კლიენტს სწორედ "კამპ ნოუზე" სურს კარიერის გაგრძელება. მხარეებს შორის მოლაპარაკებებისას გაუთვალისწინებელი რამ თუ არ მოხდება, სესკი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ "ბარსაში" გადაბარგდება".*

ამასობაში, "ბარსელონის" ინჩასებმა კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი გაიგეს. **ლეო მესი** გამოჯანმრთელების გზას დაადგა. გასულ კვირას მან პირველად ივარჯიშა. ლეო ახლა არგენტინაში იმყოფება და გუშინდლამდე ინდივიდუალურად ემზადებოდა. კატალონიური გრანდის ექიმებს, რა თქმა უნდა, შეცდომის დაშვების უფლება არ აქვთ, ამიტომ ფეხბურთელს კატეგორიულად მოთხოვეს, უახლოესი რეისით გამოფრენილიყო. არგენტინელი



სპეკულაციების თანახმად, ფრანსესკ ფაბრეგასი ბარსელონის ხელმძღვანელობას ფარულად შეხვდა

მითითებას უყოყმანოდ დაემორჩილა. ბარსელონაში ის ამ საღამოს ჩაფრინდება და ხვალ სამედიცინო შტაბში მორიგ შემოწმებას გაივლის. იმედია, ახალგაზრდა ფორვარდს ტრავმა არ გაუმიზეზდება. თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც დაგეგმილია, ლიონელი ათ დღეში ინტენსიურ მზადებას დაიწყებს. დღესდღეობით, ის მხოლოდ მსუბუქად ვარჯიშობს და შიგადაშიგ ბურთის აკენწვლითაც ერთობა.

გუშინ "ბარსელონის" ბაზაზე **რონალდინიო** და **დეკუ** დაბრუნდნენ. კატალონიური გიგანტის სამედიცინო შტაბის მტკიცებით, ბრაზილიელმა და პორტუგალიელმა ტრავმა მოიშუშეს და ამიერიდან სრული დატვირთვით ვარჯიშს შეძლებენ. ექსპერტთა ვარაუდით, ძირითად შემადგენობაში დაბრუნების უკეთეს შანსს დეკუ ფლობს. **რაიკაარდი** თურმე ისევ შეუვალია და უწინდებურად აცხადებს, რომ გაუჩო სასურველი ფორმისგან ჯერაც ძალიან შორსაა.

ატლეტიკო

# რეიესს მწვრთნელის დამცირება წესად ექცა

## ხოსე ანტონიომ ხავიერ აგირეს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენა

**ხოსე ანტონიო** რეიესმა მორიგ სკანდალში გაჰყო თავი. უთამაშებლობით შეწუხებულმა და სასოწარკვეთილმა ფეხბურთელმა ემოციები ვეღარ მოთოკა და "ატლეტიკოს" მთავარ მწვრთნელს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. რეიესმა მთელი გუნდის გასაგონად ხავიერ აგირეს ბოზის შვილი უწოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ხოსე ანტონიო "სევილიასთან" მატჩის განაცხადიდან ამოგდების გამო იყო დაბოღმილი. ანდალუსიელმა ფეხბურთელმა ეს ბოღმა თითქმის ორი კვირა გულით ატარა და პირველივე შესაძლებლობისთანავე ნამდვილი ობსტრუქცია მოაწყო. აგირე ალბათ, საკუთარი შეგირდისგან ამ სიტყვების მოსმენის გარდა ყველაფერს წარმოიდგენდა. მექსიკელმა სპეციალისტმა რეიესს აბსოლუტურად უწყინარი და ჩვეულებრივი შენიშვნა მისცა. პასუხად კი, დედის გინება მიიღო.

"როხიბლანკოს" ხელმძღვანელობა უდისციპლინო გამოხდომების წინააღმდეგ ყოველთვის პრინციპული და შეუვალია. ამის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ **ხოსე ანტონიოს** მწვრთნელისთვის შეურაცხყოფის მიყენება საკმაოდ დიდი ფული დაუჯდება. ესპანელი მიმომხილველები ფიქრობენ, რომ ფეხბურთელს ხელფასის 20 პროცენტს დაუქვითავენ, ეს კი რამდენიმე ათეული ათასი ევროა.

ხოსე ანტონიო ჟურნალისტების სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. გუნდის ბაზაზე მისულ კორესპონდენტებს კი სათოფეზეც არ იკარებს. ამიტომ, ჩვენი კოლეგები იძულებულები გახდნენ, მის მენეჯერს, **ხოსება დიასს** შეხვედროდნენ. რეიესის აგენტს სახელდახელო პრესკონფერენციის გამართვა მოუხდა: *"ჩემი კლიენტის საქციელს, რა თქმა უნდა, არ ვამართლებ, მაგრამ მისი ძალიან კარგად მესმის. რეიესი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია, მაგრამ "ატლეტიკოს" ძირითადში თამაშს ვერ ეღირსა. მთავარმა მწვრთნელმა "სევილიასთან" მატჩის წინ პირდაპირ უთხრა, მოემზადე, "სანჩეს პისხუანზე" ითამაშებო. ხოსე ანტონიო სიხარულით კინაღამ გაგიჟდა. მას ძირითად შემადგენლობაში დაბრუნების შანსი გაუჩნდა. გასათვალისწინებელია, რომ ყოფილ კლუბთან მატჩს ფეხბურთელი განსაკუთრებული ენთუზიაზმით ელოდებოდა. ბოლოს კი გაიგო, რომ მწარედ მოუტყუებიათ და განაცხადშიც არ შეიყვანეს. ადამიანები ვართ და ზოგჯერ ემოციების მოთოკვა გვიჭირს. ჩემმა კლიენტმა თავი ძალიან შეურაცხყოფილად იგრძნო. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცდილობდა, მწვრთნელს თავს არ დასხმოდა. თუმცა ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და აგირეს შეურაცხყოფა მიაყენა. მერწმუნეთ, ხოსე ანტონიო ქუჩის ბიჭი არ არის და ახლა ძალიან ნანობს. ჩვენ ფულადი ჯარიმის გადახდა არ გვაშინებს, უბრალოდ, კარგი იქნება, თუ ფეხბურთელებს უფრო მეტი პატივისცემით მოეპყრობიან. თამაშს მოწყურებული ყველა პროფესიონალი დამეთანხმება, რომ ბოლო მომენტში სიტყვის გატეხვა ძალიან მტკივნეულად აღსაქმელია".*



ხოსე ანტონიო რეისს ატლეტიკოში პრობლემები შეექმნა

ხოსება დიასის განცხადებამ "ატლეტიკოს" მესვეურებს გული ვერ მოუგო. მომხდარ ფაქტს გუშინ მადრიდული კლუბის ერთ-ერთი მფლობელი **მიგელ ანხელ ხილ მარინი** გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ რეიესის საქციელს არანაირი გამართლება არ აქვს. სულმნათი **ხესუს ხილის** ვაჟმა ინფორმაცია მოსალოდნელი სანქციის შესახებ ოფიციალურად დაადასტურა: *"რეიესი აუცილებლად დაისჯება. თუმცა ჯერჯერობით, ვერ გეტყვით, კონკრეტულად რა თანხის გადახდა მოუწევს. გასაგებია, რომ ფეხბურთს დიდი ემოციები ახლავს თან, მაგრამ "ატლეტიკო" ქუჩის ბიჭების ბანდა არ არის. დისციპლინა წარმატების მთავარი ქვაკუთხედია".*

აღსანიშნავია, რომ ეს არ არის რეიესის უზრდელობის პირველი ფაქტი. პირველ წრეში სევილიელი ნახევარმცველი **აგირეს** აბსოლუტურად იდენტური მიზეზის გამო აუხირდა და მაშინაც საშინელი სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ მექსიკელ სპეციალისტს მაშინ ძაღლის შვილი უწოდეს. ამ უხამსობისთვის "როხიბლანკოს" ხელმძღვანელობამ ხოსე ანტონიოს 10 ათასი ევრო გადაახდევინა. ერთი და იგივე დანაშაულის მეორედ ჩადენა, როგორც წესი, გაცილებით უფრო მკაცრად ისჯება. ასე რომ, რეიესს 10 ათას ევროს ნამდვილად აღარ აკმარებენ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩების წინ

# ჰიტცფელდის გეგმა: ლუკა და ლუკასი

## კლოზე სკამზე, ხეტაფეს ტონი და პოლდი შეუტევენ



ბაიერნის თავდასხმაში დღეს ლუკა ტონისთან ერთად ლუკას პოდოლსკის ვიხილავთ

**დღეს უეფას თასის მეოთხედფინალის პირველი მატჩები გაიმართება. ამ ტურნირზე მიმდინარე სეზონში გერმანელები დომინირებდნენ და ბუნდესლიგური კლუბების დომინაცია მეოთხედფინალშიც გრძელდება - მართალია, შემცირებული შემადგენლობით (მხოლოდ 2 გუნდი), მაგრამ გერმანიას უეფას თასზე მაინც ყველაზე მეტი წარმომადგენელი შემორჩა. „ბაიერნიცა“ და „ლევერკუზენიც“ დღეს შინ თამაშობენ – მიუნხენელები „ხეტაფეს“ მასპინძლობენ, „ფარმაცევტები“ კი სტ. პეტერბურგის „ზენიტს“. ამას გარდა, „რეინჯერსი“ გლაზგოში ლისაბონის „სპორტინგს“ უმასპინძლებს, „ფიორენტინა“ კი, „ეინდჰოვენს“.**

**ლევერკუზენი-ზენიტი**
**რეინჯერსი-სპორტინგი**
**ბაიერნი-ხეტაფე**
**ფიორენტინა-ეინდჰოვენი**

მეოთხედფინალს „ლევერკუზენისა“ და „ზენიტის“ დაპირისპირება გახსნის. „ბაიერმა“ ბუნდესლიგაში ბოლო ორი თამაში წააგო - "ბაიერნთან" (1:2) და "აინტრახტთან" (0:2), რის გამოც ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა "ფარმაცევტების" მთავარი მწვრთნელი **მიხაელ სკიბე** კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ "ლევერკუზენს" "ზენიტის" სახით ძალიან რთული მეტოქე ჰყავს - "ზენიტი" ხომ ის გუნდია, რომელმაც გათამაშებიდან მარსელის "ოლიმპიკი" და "ვილიარეალი" გამოთიშა. *"ჩვენთვის მთავარია, რომ ჩვეულ სტილში, შემტევი ფეხბურთი ვითამაშოთ და ეს მატჩი ისე მოვიგოთ, რომ მეტოქემ გოლის გატანა ვერ შეძლოს,"* - აცხადებს სკიბე.

"ფარმაცევტების" დამრიგებელი ყველაზე მეტად რუსული კლუბის ვარსკვლავ **ანდრეი არშავინსა** და დრიბლიორ **პაველ პოგრებნიაკს** უფრთხის. ეს უკანასკნელი, ბაიერნელ **ლუკა ტონისთან** ერთად, უეფას თასის მიმდინარე გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია - ტონის და პოგრებნიაკს 7-7 გოლი აქვთ გატანილი. პეტერბურგელთაგან თურქი **ფათიჰ თექე** და არგენტინელი ფორვარდი **ალეხანდრო დომინგესიც** გამოირჩევიან. ნახევარდაცვაში კი, რუსებს **ანატოლი ტიმოშჩუკი** ჰყავთ, რომელშიც "ზენიტმა" შარშან 15 მილიონი ევრო გადაიხადა. "ზენიტის" თავკაც **დიკ ადვოკაატის** თქმით, ლევერკუზენში მის გუნდი მინიმუმ ფრის მიღწევა შეუძლია.

დანარჩენი სამი თამაში კი ოდნავ მოგვიანებით იწყება. უეფას თასის უმთავრეს ფავორიტ "ბაიერნს" **ბერნდ შუსტერის** ყოფილი კლუბი, "ხეტაფე" სტუმრობს. რეკორდმაისტერის მთავარი მწვრთნელი **ოტმარ ჰიტცფელდი** იძულებულია, როტაციას მიმართოს. **მარკ ვან ბომელს** გრიპი აქვს და მისი თამაში უდიდესი კითხვის ნიშნის ქვეშაა. სამაგიეროდ, წინდაწინვე ცნობილია, რომ "გენერალი" ძირითად შემადგენლობაში **ლუკას პოდოლსკის** გაამწესებს, რომელიც ბოლო დროს ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ასე რომ, "ბაიერნის" თავდასხმაში დღეს ტონი-პოდოლსკის დუეტს ვიხილავთ. გამოჯანმრთელდა არგენტინელი **მარტინ დემიკელისიც**, რომელმაც "ნიურნბერგთან" მცირე ტრავმა მიიღო. სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ **ბასტიან შვაინშტაიგერსაც**. *"შვაინის დიდი შანსი აქვს, რომ "ხეტაფესთან" ითამაშოს, ისევე, როგორც პოლდის, რომელიც კარგ ფორმაშია,"* - აცხადებს ჰიტცფელდი.

*"ხეტაფე" ხელწამოსაკრავი მეტოქე არ არის. ამ გუნდს არაერთხელ დაუმტკიცებია, რომ გრანდების გამწარება შეუძლია. ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. ვეჭვობ, რომ დიდი ანგარიშით ვერ მოვიგებთ,"* - ეს შვაინშტაიგერის სიტყვებია.

"რეინჯერსს" გასულ უქმეებზე მძიმე მატჩი ჰქონდა "სელტიკთან" და მინიმალური ანგარიშით, 1:0 მოიგო. **უოლტერ სმიტის** შეგირდებს თამამად შეუძლიათ, დროებით უეფას თასზე გადაერთონ, რადგან შოტლანდიის ჩემპიონატში 6 ქულიანი უპირატესობით ლიდერობენ. გლაზგოელთა დღევანდელმა მეტოქემ, ლისაბონის "სპორტინგმა" პორტუგალიის ჩემპიონატში "ნავალი" 4:1 გაანადგურა. ამ შეხვედრაში ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **ლიდსონმა** დუბლი შეასრულა და ლისაბონური კლუბის ქომაგები დღევანდელ მატჩშიც ამ უკანასკნელის იმედად არიან.

ჰოლანდიური "ეინდჰოვენი" "ფიორენტინას" სტუმრობს - გუნდს, რომელიც იტალიის ჩემპიონატში მე-4 ადგილზეა და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის. ჰოლანდიის ჩემპიონებმა ბოლოს "ნაიმეგენთან" ფრე ითამაშეს - არადა, რომ მოეგოთ, ფაქტობრივად, ჩემპიონობას ინაღდებდნენ. ფლორენციელებმა კი, გასულ უქმეებზე დასანანი მარცხი განიცადეს - შინ "უდინეზესთან" 1:3 წააგეს. "ფიორენტინას" რუმინელი **ადრიან მუტუ** ტრავმირებული ჰყავს. სამაგიეროდ, არცთუ ურიგო ფორმაშია **კრისტიან ვიერი**. "უდინეზეს" პრესტიჟის გოლი სწორედ ამ უკანასკნელმა გაუტანა.

**გოტფრიდ ლენცი**



ლევერკუზენის კარის დარაჯ რენე ადლერს ასეთი ბურთების მოგერიება დღესაც მოუწევს

შალკე. ბარსელონასთან მატჩის შემდეგ

# ესპანელები კურანის მისდგნენ!

## ბარსელონასთან მატჩის დროს კევინი აზრზე არ იყო, სად იყოო...

„შალკეს" თავდამსხმელმა **კევინ კურანიმ** პირველიდან ბოლო წუთამდე ვერ გაიგო, სად იმყოფებოდა და რა ხდებოდა მის თავს. ვფიქრობთ, მან ისიც კი არ იცოდა, რომ საფეხბურთო მატჩში იღებდა მონაწილეობას," – ეს სიტყვები, როგორც მიხვდით, კევინ კურანისკენაა მიმართული. ეს ყველაფერი ესპანურმა გამოცემა AS-მა „შალკესა" და „ბარსელონის" (0:1) მატჩის შემდეგ დაწერა.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის პირველი რაუნდის შემდეგ, გელზენკირხენული კლუბისა და გერმანიის ნაკრების თავდამსხმელი სხვა ესპანურ გამოცემებშიც მაგრად გააკრიტიკეს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან 26 წლის ფორვარდმა „ბარსასთან" ძალიან ცუდად ითამაშა. თანაც, ესპანელები მასზე იმის გამოც იყვნენ გაბრაზებულები, რომ მატჩის წინ იქადნებოდა, „ბარსელონას" ისე გავუხდი საქმეს, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ თითოეული კატალონიელი ჩემს მაისურზე ოცნებობდესო. კევინს ხმაურიანი, ძალიან ხმაურიანი განცხადება გამოუვიდა და შედეგიც სახეზეა: მას ესპანელი ჟურნალისტები მისდგნენ.



კევინ კურანი

კურანიმ მოედანზე თითქმის ერთი საათი გაატარა და ამ ხნის განმავლობაში „შალკეს" წინა ხაზში ხეირიანს ვინლა ჩივის, ფაქტობრივად, არაფერი გაუკეთებია. მაგალითად, 44-ე წუთზე კევინი თერთმეტმეტრიანის მოპოვებას შეეცადა, ისიმულანტა და **ჯანლუკა ძამბროტასთან** ორთაბრძოლისას მინდორზე გაიშხლართა, მაგრამ უშედეგოდ – მსაჯი ანკესზე არ წამოეგო და პენალტი არ დანიშნა.

დაახლოებით მე-60 წუთისთვის გელზენკირხენელთა თავკაც **მირკო სლომკას** კურანის უმაქნისობა ყელში ამოუვიდა. „ხუმარების" 40 წლის მწვრთნელმა კევინი მოედნიდან გაიყვანა და მის ნაცვლად თამაშში **ვისენტე სანჩესი** ჩართო. და რაც ყველაზე მთავარია, ეს უკანასკნელი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა – მას მერე, რაც კურანი მოედნიდან გავიდა, შალკელებს ორი გოლის გატანა შეეძლოთ.

თუმცა კურანისთვის უფრო მტკივნეული სხვა საკითხია და კერძოდ ის, რომ მას „შალკეს" ქომაგებიც მედგრად აკრიტიკებენ. კევინის შეცვლას ფანები უდიდესი ოვაციებით შეხვდნენ და სლომკას გადაწყვეტილებას ტაში დაუკრეს, კურანი კი, მოედნიდან სტვენით გააცილეს. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ყველაფერი გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **იოახიმ ლიოვის** თვალწინ მოხდა.

მიუხედავად ამისა, მატჩის შემდეგ სლომკამ თავისი ფორვარდი მაინც დაიცვა. აი, რა უთხრა მირკომ ჩვენს გერმანელ კოლეგებს: *"იანვარში კევინს ფილტვების ანთება ჰქონდა, რის გამოც მოსამზადებელი შეკრება არ გაუვლია. დარწმუნებული ვარ, რომ ფორმას ძალიან მალე აღიდგენს. კურანი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა."*

მაგრამ თუ კურანი ასე გააგრძელებს, სლომკა მას დიდხანს ველარ ენდობა. მეორე წრეში კევინის მონაგარი ძალიან მწირია – უმეტესად ძალიან სუსტად გამოიყურებოდა და თავად განსაჯეთ, ბუნდესლიგაში მხოლოდ 2 (ორივე შტუტგარტთან), ჩემპიონთა ლიგაში კი სულაც 1 (პორტუსთან) გაიტანა.

ესეც არ იყოს, კევინს უკვე თანაგუნდელებიც ამრეზით უყურებენ. ეს განსაკუთრებით თავდამსხმელ **სიორენ ლარსენზე** ითქმის, რომელიც კურანის უშუალო კონკურენტია და რომელსაც სლომკამ კევინის გამო მუდმივი სათადარიგო ფეხბურთელის სტატუსი მიანიჭა. დანიელი თავდამსხმელი სასტარტო შემადგენლობაში თამაშს ითხოვს და არც გაემტყუნება. *„ჩვენი თავდამსხმელები მეტოქეზე ვერანაირ ზეწოლას ვერ ახორციელებენ და გოლებიც ვერ გააქვთ. იქნებ დროა, რომ თავდასხმის ხაზი მთლიანად შეიცვალოს?"* – აცხადებს ლარსენი.

ესეც ასე – კურანი აღარ არის შეუცვლელი ფიგურა და დიდი შანსია, რომ სასტარტო შემადგენლობაში თავისი ადგილი დაკარგოს. ეს კი, ცალსახად იმას ნიშნავს, რომ ადგილი ველარც გერმანიის ნაკრებშიც ექნება გარანტირებული, სადაც მისი კონკურენტები **მარიო გომესი, მიროსლავ კლოზე, ლუკას პოდოლსკი, მაიკ ჰანკე, შტეფან კისლინგი** და **ოლივერ ნოივილი** არიან. გუშინაც ვწერდით, რომ ბუნდესმწვრთნელი ლიოვი ევროპის ჩემპიონატზე 5 თავდამსხმელს წაიყვანს. გეხსომებათ, 2006 წლის მუნდიალზე გამგზავრების შანსი კურანიმ ბოლო მომენტში დაკარგა, როცა გერმანელთა იმდროინდელმა თავკაცმა **იურგენ კლინსმანმა** მას **დავიდ ოდონკორი** ამჯობინა.

შაბათს „შალკეს" როსტოკის „ჰანზა" ესტუმრება – გუნდი, რომელსაც ბუნდესლიგაში გასვლაზე ჩატარებულ მატჩებში ერთ-ერთი ყველაზე უარესი შედეგი აქვს. თუკი კურანი ვერც „ჰანზას" გაუტანს, მაშინ უნდა ეშინოდეს, რომ ევროპის ჩემპიონატი მის გარეშე ჩაივლის...

**გოტფრიდ ლენცი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# რამდენი ხანი გაუცდება ვიდიჩს?

## ფერგიუსონი რომაული შედეგით კმაყოფილია, მასა და კეიროშს სასჯელები ემუქრებათ

"მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის საგზური, ფაქტობრივად, გაინაღდა. რომში ორი უპასუხო გოლის გატანით, "ჯალოროსის" შანსი, რომ მომდევნო ეტაპზე გაალწიოს, მეტისმეტად შემცირდა. ამას იტალიელი მიმომხილველებიც აღიარებენ. **სერ ალექს ფერგიუსონი** თავს იზღვევს და ამბობს, საქმე მოთავებული ჯერ არ არის, საპასუხო შეხვედრას (9 აპრილს) სრული პასუხისმგებლობით მოვეკიდებითო:

*"თამაშის წინ რომ ეკითხათ, 2:0-ს დათანხმდებით თუ არაო, რა თქმა უნდა, ვეტყოდი, რომ დიახ. ვფიქრობდით, რომ ძნელი თამაში გამოვიდოდა. ცალკეულ ეპიზოდებში ასეც იყო. მეორე ტაიმის დასაწყისში რამდენჯერმე გაგვიმართლა კიდეც (0:1-ისას ედვინ ვან დერ სარმა ერთი მკვდარი ბურთი აიღო), მაგრამ უეინ რუნის გოლმა თამაშს წერტილი დაუსვა. გულშემატკივარი ვარაუდობს, რომ მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავალთ. ფეხბურთელებმა ეს კარგად იციან და შეეცდებიან, ქომაგები არ გაანბილონ. სულ ცოტა გვაშორებს ძალიან დიდ წარმატებამდე. როცა ფსონი ასეთი მაღალია, ვალდებული ხარ, კონცენტრაცია ერთი წუთითაც არ დაკარგო. ფეხბურთელები მოტივაციის ნაკლებობას არ უჩივიან. გუნდში ჩინებული ატმოსფერო შექმნილი."*

თუ "მანჩესტერი" ნახევარფინალში გავა, მისი სავარაუდო მეტოქე "ბარსელონა" იქნება. კატალონიელებმა "შალკე" მისსავე მოედანზე მინიმალურად დაამარცხეს. კითხვაზე, რას ფიქრობს "ბარსელონასთან" მოსალოდნელ დაპირისპირებაზე, ფერგიმ მიუგო: *"ჩემპიონთა ლიგაში პროგნოზების გაკეთება უმადური საქმეა. თანაც "ბარსელონამდე" კიდევ ერთი დაძაბული მატჩი გველოდება. მთავარია მობილიზება. იმედი მაქვს, ნახევარფინალში გავალთ და მომდევნო მეტოქის ვინაობის გარკვევას დაველოდებით."*


სერ ალექსსა და კარლუშ კეიროშს არბიტრის შეურაცხყოფისათვის სთხოვენ პასუხს

სერ ალექსი **ნემანია ვიდიჩის** ტრავმასაც გამოეხმაურა. სერბი მცველი 34-ე წუთზე დაშავდა. მან თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. ფერგიმ მაშინვე **ჯონ ოში** გამოიყვანა. მატჩის დასრულებისთანავე 26 წლის ფეხბურთელს გამოკვლევა ჩაუტარეს. საბოლოო დიაგნოზი უცნობია. სერ ალექსმა განაცხადა, ვლოცულობთ, რომ ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდესო. სეზონის დასკვნით ეტაპზე წამყვანი მცველის გამოკლება დიდი დანაკლისი იქნებოდა.

რადგან "მანჩესტერ იუნაიტედზე" ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, რომ ფერგისა და მის ასისტენტ **კარლუშ კეიროშს** სასჯელები ემუქრებათ. ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ მათ ოფიციალურად წაუყენა ბრალი. "მენიუს" ბოსებს არბიტრების მისამართით უცენზურო გამონათქვამების გამო ედავებიან. ინციდენტი 8 მარტს, "პორტსმუთთან" ასოციაციის თასის მატჩს (0:1) უკავშირდება. სერ ალექსმა ნერვები ვერ მოთოკა იმის გამო, რომ **კრისტიანო რონალდოსთან** უხეშობისათვის **სილვენ დესტენი** არ გააძევეს. ამიტომ მსაჯი **მარტინ ატკინსონი** უდიერად მოიხსენია: *"ასეთი შეცდომების გამო მწვრთნელებს სამსახურებიდან ითხოვენ. ის კი (ატკინსონი) მომავალ უქმეებზე ისევ რომელიმე მატჩს მოემსახურება."* ფერგი უფრო შორსაც წავიდა და ასოციაციის სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე **კიტ ჰეკეტს** გაჰკრა კბილი და თქვა, თავის საქმეს სათანადოდ ვერ უძღვებაო. კეიროშმა ატკინსონს სამარცხვინო მსაჯი უწოდა.

ნიუკასლი. ტრანსფერები

# 30 მილიონი კიგანს

## მისტერ კევინი ფეხბურთელებს ესპანეთში ეძებს



"ნიუკასლი" ზაფხულის ტრანსფერებში 30 მილიონ გირვანქას დახარჯავს. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. ჯორდებმა ხანგრძლივი კრიზისი, როგორც იქნა, დაასრულეს. 13 მოუგებელი მატჩისა და მკვეთრად გაუარესებული სატურნირო მდგომარეობის შემდეგ, მათ ზედიზედ სამი შეხვედრა ჩაატარეს წაუგებლად. უფრო მეტიც, გუნდმა ბოლო ორი შეხვედრა მოიგო და გასავარდნ ზონას კარგა მანძილით დაშორდა. დირექტორები მიიჩნევენ, რომ საამსეზონო ამოცანა - პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება - შესრულებულია და შეუძლიათ, მომავალ სეზონზე იფიქრონ. **კევინ კიგანს** იანვრის ტრანსფერებისას მნიშვნელოვანი შენაძენი არ გაუკეთებია. ის იმ ფეხბურთელებთან მუშაობს, რომლებიც გუნდში მისმა წინამორბედმა, **სემ ელერდაისმა** მიიყვანა. მისტერ კევინს ამბიციური გეგმები აქვს. მათ გასახორციელებლად მწვრთნელს მისივე გემოვნებით დაკომპლექტებული შემადგენლობა სჭირდება.

"ნიუკასლში" მოსალოდნელ ცვლილებებს "სანიც" ეხმაურება. მისი ინფორმაციით, ჯორდები 6.5 მილიონ გირვანქას შესთავაზებენ "ჩელსის" **უეინ ბრიჯის** სანაცვლოდ. "სენტ ჯეიმს პარკზე" გადასვლას უწინასწარმეტყველებენ სევილიელ **ლუიშ ფაბიანოსა** და ატლეტიკოელ **ხოსე ანტონიო რეიესს**. "ნიუკასლის" ტრანსფერების მენეჯერი **ტონი ხიმენესი** რეიესის აგენტს უკვე შეეხმიანა და გარიგება შესთავაზა. ხოსე ანტონიოს მადრიდულ კლუბში პრობლემები აქვს. მის ინგლისში დაბრუნებას იანვრის შემდეგ წინასწარმეტყველებენ.

"სანის" ცნობით, კიგანი "ტოტენჰემის" გარემარბ **აარონ ლენონსაც** აკვირდება. ლენონს უფერული სეზონი გამოუვიდა. ლონდონურ კლუბში ხუანდე რამოსის მისვლის შემდეგ ის თადარიგში გამანესეს და თავის გამოჩენის შანსი თითქმის არ ეძლევა. მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

სასამართლო

# ლიპის დაკითხეს

სამშაბათს **მარჩელო ლიპი** რომის სასამართლოს წინაშე წარდგა. იტალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი მოწმის სტატუსით დაკითხეს. საქმე კომპანია "გეა უორლდს" უკავშირდება. ის იტალიის ჩემპიონატში რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელისა და მწვრთნელის საქმეებს უძღვებოდა. კომპანიას განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა ჰქონდა "იუვენტუსთან". არცაა გასაკვირი: მისი ხელმძღვანელი "იუვეს" ყოფილი გენერალური დირექტორის **ლუჩანო მოჯის** შვილი **ალესანდრო** იყო, ხოლო ერთ-ერთი გავლენიანი მოხელე ლიპის შვილი - **დავიდე**. ეს ჯენტლმენები განსასჯელები არიან. სინიორ მარჩელოს ფაქტობრივად თავისი შვილის სასამართლოზე მოუხდა მოწმედ გამოსვლა.

ლიპი შეეცადა, დაერწმუნებინა მოსამართლე და მსაჯულები, რომ მისი მწვრთნელობისა და დავიდე ლიპის აგენტად მუშაობისას, ინტერესთა კონფლიქტი არ ყოფილა. ლიპი "იუვენტუსში" 1994-99 და 2001-04 წლებში მოღვაწეობდა. ამ პერიოდში ტურინული გიგანტის გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი იყო: *"მთავარი მწვრთნელის მოვალეობები გარკვევით იყო ჩამოყალიბებული. ამავე დროს, კატეგორიულად უარვყოფ მოსაზრებას, თითქოს ფეხბურთელებს გენერალური მენეჯერის, არ ვინმე სხვა პირის მოთხოვნით ვუფორმებდით კონტრაქტს. ნაკრებში ყოფნისას ფეხბურთელებს მხოლოდ საკუთარი შეხედულების მიხედვით ვიძახებდი, თუმცა ყოფილა შემთხვევები, როდესაც მოჯისათვის მითხოვია ინფორმაცია რომელიმე მათგანის მომზადების შესახებ."*

ჩვენება მისცა ფეხბურთელმა **დავიდე ბაიოკომაც**, რომელიც 2002 წელს ალესანდრო მოჯის კლიენტი გახდა და იმავე წელს "იუვენტუსთან" სარფიანი კონტრაქტი გააფორმა. ბაიოკომ ოთხწლიან ხელშეკრულებაზე მოაწერა ხელი, თუმცა "ქალბატონის" შემადგენლობაში, ფაქტობრივად, არ უთამაშია. "იუვედან" წასვლის შემდეგ მისი და უმცროსი მოჯის ურთიერთობაც დასრულდა. ბაიოკომ განაცხადა, რომ მისი კარიერის განმავლობაში არცერთ აგენტს წნეხის ქვეშ არ მოუქცევია.


მარჩელო ლიპი

ხეტაფე

# 200-მილიონიანი პროექტი

## ხეტაფეს მერი ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს

"ხეტაფეს" ბოლოდროინდელი წარმატებებით აღფრთოვანებულმა ქალაქის მერმა **პედრო კასტრომ** მადრიდის ავტონომიის ხელმძღვანელობას საინტერესო წინადადებით მიმართა. მოგეხსენებათ, ხეტაფე ესპანეთის დედაქალაქის ერთ-ერთი გარეუბანია, თუმცა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ითვლება და საკუთარი მერიც ჰყავს. სენიორ პედრო კასტრო მიიჩნევს, რომ რეგიონის ხელმძღვანელობა ამ გუნდს ყურადღებას საერთოდ არ აქცევს. ავტონომიის ხელისუფლებას მან 200-მილიონიანი კრედიტის ასაღებად ბანკებთან შუამდგომლობა სთხოვა. ბატონი პედრო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ "ხეტაფემ" ახალი სტადიონი ააშენოს და ასევე ახალ ბაზაზე ივარჯიშოს: *"ჩემი აზრით, "ხეტაფეს" უდიდესი პოტენციალი აქვს. სამწუხაროდ, ფინანსური პრობლემების გამო შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ ვამჟღავნებთ. სახელმწიფოს თავდებით ბანკიდან კრედიტის გამოტანა აპრობირებული მეთოდია. "ატლეტიკომ" და "რეალმა" ამ გზის უამრავი პრობლემა გადაწყვიტეს. ჩვენ გამართული ბიზნესგეგმა შევიმუშავეთ და ყველაზე სკეპტიკურად განწყობილ ექსპერტსაც კი დავუმტკიცებთ, რომ ჩვენი პროექტი მინიმალურ რისკს შეიცავს. ხეტაფე მადრიდის სამხრეთით მდებარეობს. ამ ზონაში კი, ოფიციალური მონაცემებით, 1 300 000 კაცი ცხოვრობს. აუცილებელი არ არის, ყველამ "რეალს" ან "ატლეტიკოს" უგულშემატკივროს. ახალი პოლიტიკითა და სწორად ჩამოყალიბებული პრიორიტეტებით ჩვენს გუნდს 10-ათასობით გულშემატკივარს შევმატებთ. შესაბამისად, გაიზრდება შემოსავლები. მოკლედ, 200 მილიონი ევრო გვჭირდება იმისთვის, რომ ახალი 20-ათასიანი სტადიონი და ახალი ბაზა ავაშენოთ. ჩვენი გათვლებით, კრედიტს მომდევნო 20 წლის განმავლობაში დავფარავთ. იმედია, მადრიდის ავტონომიის დეპუტატები ჩემს ინიციატივას გაგებით შეხვდებიან და პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმარებიან".*

ინტერი

# მორატი მოურინიოს უარყოფს

**მასიმო მორატი** უარყოფს ინფორმაციას "ინტერში" **ჟოზე მოურინიოს** შესაძლო დანიშვნის თაობაზე. ორშაბათს იტალიურმა სააგენტოებმა მოურინიოს აგენტზე დაყრდნობით გაავრცელეს ცნობა მორატისა და მოურინიოს შეხვედრის შესახებ. პორტუგალიელმა მწვრთნელმა ინფორმაცია არ დაადასტურა. ახლა კი ანალოგიური განცხადება გააკეთა "ინტერის" პრეზიდენტმაც:

*"რადიკალური ცვლილებების აუცილებლობას ვერ ვხედავ. მასშტაბური ცვლილებები ყოველთვის რისკთანაა დაკავშირებული. არავინ იცის, გაამართლებს თუ არა ის. "ინტერმა" პროგრესი უნდა გააგრძელოს. მას საკუთარი პოტენციალი ჯერ არ გამოუვლენია. გაზეთებს ყურადღებით ვეცნობი. ბევრ ინფორმაციას ვკითხულობთ. ამბავი, რომლის შესახებაც მეკითხებით, დაახლოებით ორი თვის წინათ გავრცელდა. სპეკულაციებს ვერ ავკრძალავთ ვერც მე და ვერც მანჩინი."*


მასიმო მორატი რადიკალურ ცვლილებებს არ გეგმავს

სპეკულაციები უსაფუძვლოდ არ გავრცელებულა. ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნის შემდეგ **რობერტო მანჩინიმ** თავად განაცხადა, სეზონის დასრულებისთანავე გადავდგებიო. მორატისთან შეხვედრისა და მოთათბირების შემდეგ მან ტონი შეარბილა. მაგრამ მას შემდეგ "ინტერს" იტალიის ჩემპიონატშიც პრობლემები შეექმნა. კლუბმა ბოლო ცხრა თამაშიდან მხოლოდ ორი მოიგო. სეზონის დასრულებამდე რვა ტურით ადრე "ნერაძურისა" და "რომას" შორის 11-ქულიანი სხვაობა ოთხ ქულამდე შემცირდა. მილანელებს იმ ტიტულის დაკარგვა ემუქრებათ, რომელიც უკვე მოპოვებული ეგონათ.

### თითო ბილეთი ხუთ ევროდ

სეზონის დასაწყისში ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ესპანეთის ჩემპიონატის დასრულებამდე 8 ტურით ადრე "სარაგოსა" პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის საფრთხის წინაშე იდგებოდა. მაგრამ ეს რეალობაა და არაგონელები საკუთარი ტყავის გადასარჩენად მუხლჩაუხრელად მუშაობენ. მწვრთნელი ფეხბურთელებს ავარჯიშებს. კლუბის ხელმძღვანელობა კი სხვა მიმართულებით მუშაობს. მოგეხსენებათ, პირთამდე გადაჭედილი სტადიონი ხშირად მე-12 ფეხბურთელის ფუნქციას ასრულებს. "სარაგოსის" შეფებს სწორედ ინჩასების დახმარების იმედი აქვთ.

მომავალ უქმეებზე "ბეტისთან" მატჩზე გულშემატკივართა მოსაზიდავად კლუბმა ბილეთების გაიაფება გადაწყვიტა. ჩვეულებრივ, "ლა რომარედაზე" შესასვლელი ბილეთების ფასი 25-დან 80 ევრომდე მერყეობს. "რეალისა" და "ბარსელონის" სანახავად ქომაგებს 150 ევროს გადახდაც უწევთ. ამჯერად კი არაგონული კოლექტივის მესვეურებმა ფიქსირებული ფასი დააწესეს. ვისაც "ბეტისთან" "სარაგოსის" გამხნევება მოუნდება, სულ რაღაც 5 ევროს გადახდა მოუწევს. ამ იდეის ავტორები დარწმუნებულები არიან, რომ ერთი თავისუფალი ადგილიც არ დარჩება და დიდი ჟრიამულის ფონზე "სარაგოსა" "ბეტისს" დაამარცხებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ბერნდ შუსტერთან

# ჰუნტელაარი ვან ბასტენის კლონია

## გერმანელი სპეციალისტი დარჩენილ რვა შეხვედრაში უშელავათო ბრძოლებს ელის...

**ბერნდ შუსტერს "რეალის" გულშემატკივართა 100 პროცენტი იმედის თვალით უყურებს. ამ კაცმა სამეფო კლუბს გამარჯვებები უნდა მოაპოვებინოს. საქმე არა რომელიმე ერთ შეხვედრას, არამედ მთლიანად სეზონსა და საჩემპიონო ტიტულის ბედს ეხება. შუსტერი "დიარიო ასის" კორესპონდენტს შეხვდა და საათნახევრის განმავლობაში კითხვებს დაულალავად პასუხობდა. ბუნებრივია, ჩვენი გაზეთის მკითხველების სამსჯავროზე ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს გამოვიტანთ. შუსტერს მართლაც ბევრი სალაპარაკო დაუგროვდა.**

**- ჩემპიონობა განაღდებული გაქვთ?**

- საჩემპიონო ტიტულზე საუბარი ნაადრევია. წინ რვა ფინალი გველის. ფინალი შემთხვევით არ მიხსენებია, რადგან ყოველი ტურის შეხვედრა ძალიან დაძაბული და უშელავათო იქნება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ იმ მატჩებს ჩვენი მოწინააღმდეგეებისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ექნება. ზოგი უეფას თასის საგზურს უმიზნებს, ზოგი ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას ცდილობს, ზოგი კი პრიმერა დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. გასვლაზე "მალიორკასთან", "რასინგთან", "ოსასუნასა" და "სარაგოსასთან" მოგვიწევს თამაში. დამეთანხმებით, ოთხივე გუნდი კონკრეტული მიზნისთვის იბრძვის. თითოეულ შეხვედრას მათთვის მართლა სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. საჩემპიონო გზა იოლი არასოდეს ყოფილა. განა ბევრი წარმოიდგენდა, რომ "ბეტისთან" და "დეპორტივოსთან" დავმარცხდებოდით, თან რა საშინლად ვითამაშეთ. მოკლედ, დარჩენილ რვა დაპირისპირებას წარმოუდგენლად დიდი ფასი აქვს.

**- დღეს ძალიან ფრთხილი ხართ.**

- სიფრთხილე არაფერ შუაშია. ჩვენდა საბედნიეროდ, "რეალის" ბედი მხოლოდ და მხოლოდ "რეალზეა" დამოკიდებული. თუ სწორი ტაქტიკით ვიხელმძღვანელებთ და ფეხბურთელები ჩემს მითითებებს შეასრულებენ, აუცილებლად გავიმარჯვებთ. "სევილიასთან" შესანიშნავად ვითამაშეთ. იმედია, დამეთანხმებით, რომ ძალიან ბევრი ხარვეზი გამოვასწორეთ. ჩემი გუნდი სწორედ ასე უნდა თამაშობდეს. მთელი 90 წუთის განმავლობაში დამაჯერებლად ვასპარეზობდით. საგოლე მომენტები გამოვიყენეთ და მოწინააღმდეგეს სერიოზული პრობლემები შევუქმენით. ასე თუ გავაგრძელებთ, ჩემპიონობას ვერავინ შეგვეცილება. მთავარია, რომ პირველ ადგილზე ვართ და უახლოეს მდევარს სოლიდური სხვაობით ვუსწრებთ.

**- ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ "დეპორტივოსთან" მატჩის შემდეგ თვალი აგეხილათ და სხვანაირად თამაში დაიწყეთ. ყოველ შემთხვევაში, იმ დღიდან ბაპტიშტამ და დიარამ პოზიციები დათმეს. ახლა მთავარი როლი გაგოს, სნეიდერსა და იგუაინს ეკისრებათ.**

- გირჩევთ, ასეთი სერიოზული საკითხის შეფასებისას უფრო წინდახედული იყოთ. "დეპორტივოსთან" იმიტომ წავაგეთ, რომ თავდასხმა არ გვყავდა. სნეიდერი და გუტი მაშინაც აქტიურები იყვნენ, თუმცა დრენტემ მანუელ პაბლოს ვერაფერი მოუხერხა და ფლანგი დავთმეთ. ჩემი აზრით, იმ თამაშში საკმაოდ კარგად ვიცავდით თავს. "დეპორტივო" ჩვენს საჯარიმოში შესვლასაც ვერ ახერხებდა. რაღაც სიახლეს ვეძებდი და სოლდადო სწორედ ამიტომ გამოვიყვანე, მაგრამ არ გამიმართლა. ისიც უნდა ითქვას, რომ "დეპორტივო", ფაქტობრივად, ათი კაცით იცავდა თავს. გეფიცებით, ასეთი რამ ცხოვრებაში არ მინახავს.

**- ხალხი თქვენგან სანახაობრივ ფეხბურთს მოითხოვს. შედეგი, რა თქმა უნდა, ყველაზე მნიშვნელოვანია, მაგრამ თქვენ თანამდებობაზე ლამაზი თამაშისთვისაც დაინიშნეთ.**

- ვინ თქვა, რომ "რეალი" ლამაზად არ თამაშობს? თუნდაც "ვალენსიასთან" წაგებული შეხვედრა ავიღოთ. იმ მატჩში მრავალი კარგი თვისება გამოვავლინეთ, უამრავი მომენტი შევქმენით, მაგრამ 2:1-ზე იდიოტურ სიტუაციაში პენალტი ავიკიდეთ. შემდეგ "რეალისთვის" ფატალური რამ მოხდა. არისმენდი ეშმაკს შეეკრა და დაუნდობლად დაგვსაჯა. ჩემმა ფეხბურთელებმა ისეთი შეცდომა დაუშვეს, ამ საქმეში აშკარად ეშმაკის ხელი ერია. მოკლედ, ფეხბურთი ისეთი საქმეა, ყოველთვის ცივი გონებით უნდა მოქმედებდე. ხომ ნახეთ, "ვალენსიასთან" ემოციები ვერ მოვთოკე და დავისაჯეთ. აუცილებელია, კონკრეტულ მატჩში კონკრეტული პრაგმატული სცენარით იხელმძღვანელო. თუ ხედავ, რომ ყველაფერი კარგად გამოგდის და კონტრშეტევებზე პრობლემებს არ აწყდები, რა თქმა უნდა, თამამად უნდა შეუტიო, მაგრამ დაცვის მოლიავების ფასად არაფერი არ უნდა გააკეთო.

**- სავიოლასა და სოლდადოზე რას გვეტყვით, დაზუსტებით ვიცი, რომ ხავიერის გადაბირება თქვენ მოითხოვეთ, მაგრამ არგენტინელი თითქმის არ თამაშობს.**

- სავიოლას "მალიორკასთან" სათასო შეხვედრის შემდეგ ტრავმა ჰქონდა. ის დიდი ხნის განმავლობაში მკურნალობდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფორმა მხოლოდ ახლა აღიდგინა. მე ის კაცი არ ვარ, რომელიმე ფეხბურთელს შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსი არ მივცე, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ჩვენს გუნდში დიდი კონკურენციაა. იმედია, ვან ნისტელროი მალე დაგვიბრუნდება. მისი ტრავმა უდიდეს პრობლემას გვიქმნის. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად "სევილიასთან" მატჩში იგუაინი დავაყენე. სხვათა შორის, გონსალოს სერიოზულად ვამზადებდი. არგენტინელი, რა თქმა უნდა, ისეთივე გამოკვეთილი გოლეადორი არ არის, როგორებიც რაული და ვან ნისტელროი არიან, თუმცა დამეთანხმებით, თამაშს საკმაოდ ამწვავებს და საგოლე მომენტების მომწიფებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. დარწმუნებული ვარ, დროთა განმავლობაში იგუაინი სულ უფრო და უფრო მეტ გოლს გაიტანს.

**- ჰოლანდიელი ექიმები აცხადებენ, რომ ვან ნისტელროი პრიმერა დივიზიონის ბოლო ოთხ ტურში თამაშს შეძლებს. ისინი სიმართლეს გეუბნებიან თუ გატყუებენ?**

- რა თქმა უნდა სიმართლეა. რატომ უნდა მოგვატყუონ? აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ 7 მაისს რუუდი "ბარსას" წინააღმდეგ ითამაშებს. ვან ნისტელროი უდიდესი პროფესიონალია და, ალბათ, ყველაზე კარგად იცის, ტრავმებს თავი როგორ აარიდოს. ამას ისე აკეთებს, რომ გუნდს არაფერი აკლდება. მოკლედ, ვან ნისტელროის დაბრუნებას მოუთმენლად ველოდები.

**- ჰოლანდიელმა ოპერაციის გაკეთების ნებართვა კლუბისგან აიღო თუ გადაწყვეტილება თვითნებურად მიიღო?**

- გაოცებულები დავრჩით, როცა გავიგეთ, რომ ოპერაცია უნდა გაეკეთებინა. ვერ წარმოვიდგენდით, საქმე ამდენად სერიოზულად თუ იყო. ერთ-ერთი ვარჯიშის შემდეგ რუუდმა აუტანელი ტკივილი იგრძნო და გვთხოვა, სამკურნალოდ ჰოლანდიაში გამიშვითო. ის პირად ექიმს ყველაზე მეტად ენდობა. რა თქმა უნდა, ხელი არ შეგვიშლია და ამსტერდამში გავუშვით. საგულდაგულო დიაგნოსტიკის შემდეგ ვან ნისტელროიმ დაგვირეკა და გვითხრა, ოპერაცია მჭირდებაო. მართლა გავოგნდით. მახსოვს, რამონ კალდერონს ღამის სამ საათზე დავურეკე, ის კი მიატოვიჩს დაუკავშირდა და მცირე სატელეფონო თათბირი ჩავატარეთ. გამთენიისას გადაწყვეტილება მივიღეთ და რუუდს ოპერაციის გაკეთების უფლება მივეცით. დღეს უკვე დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ შეცდომა არ დაგვიშვია.

**- თავადაც აღნიშნეთ, რომ ვან ნისტელროის გარეშე ძალიან გიჭირთ. თქვენი შეგირდი ტრავმებისგან მომავალშიც არ იქნება დაზღვეული. როგორც ვიცით, შემადგენლობის გაძლიერებაზე ზრუნავთ. სხვათა შორის, ჩვენმა გაზეთმა პირველად დაწერა, რომ ჰუნტელაარს ეპატიჟებით.**

- მიკიბვ-მოკიბვას აზრი არა აქვს, ამიტომ პირდაპირ გეტყვით, რომ ჰუნტელაარი "რეალის" ერთ-ერთი უპირველესი სამიზნეა. მის თამაშს გულშემატკივარი გულგრილად ვერ შეხვდება. უნიჭიერესი და უაღრესად პერსპექტიული ფორვარდია. მას "აიაქსის" უდიდესი სკოლა აქვს გამოვლილი. ჩემი დამოკიდებულება უფრო ნათლად რომ გამოვხატო, გეტყვით, რომ ჰუნტელაარი ვან ბასტენის კლონია. მათ უამრავი საერთო თვისება აქვთ - სისწრაფე, ტექნიკა, საგოლე ალღო და უზადო დარტყმა. თუ "რეალი" ჰუნტელაარის გადმობირებას შეძლებს, ფორვარდის პრობლემას, ფაქტობრივად, ათი წლით გადაჭრის.



მოსწავლე და მასწავლებელი: ბერნდ შუსტერი და რობინიო

**- სხვათა შორის, ლუიშ ფაბიანუსა და დიდიე დროგბას შესახებაც სერიოზულად საუბრობენ.**

- ჩემი აზრით, ისინიც ჩინებული ფორვარდები არიან. "რეალის" სატრანსფერო პოლიტიკა არ იცვლება. ეს გუნდი ახლაც საუკეთესო ფეხბურთელებს ეძებს.

**- დღევანდელ შემადგენლობაში მხოლოდ პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელები თამაშობენ?**

- ეს არასერიოზული კითხვაა. "რეალს" გენიალური პროექტი აქვს შემუშავებული. ვცდილობთ, ახალგაზრდებისა და ვეტერანების ნაზავი შევქმნათ და შემართება გამოცდილებას შევუხამოთ.

**- ძალიან კარგად მესმის, რასაც ამბობთ, მაგრამ "რომამ" ამ ნაზავისგან არაფერი დატოვა.**

- ეს იშვიათი გამონაკლისი გახლდათ. გარწმუნებთ, მსგავსი რამ აღარ განმეორდება.

**- შემადგენლობის გაძლიერებაზე ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით საუბრობთ. რაშია საქმე, თქვენი შეგირდები არ მოგწონთ?**

- რა სისულელეა. ჩემს განკარგულებაში საოცარი მოთამაშეები არიან. თუ რამეს მივაღწევთ, ყველაფერი ამ ბიჭების დამსახურება იქნება. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი გუნდი ისე უნდა თამაშობდეს, როგორც წინა ტურში "სევილიასთან" იასპარეზა. ვფიქრობ, გულშემატკივრებმა ნამდვილი "რეალი" სწორედ გასულ უქმეებზე იხილეს. რა თქმა უნდა, თვითკმაყოფილებას არ მივეცემი. ხარისხის გაუმჯობესებაზე პერმანენტულად უნდა ვიმუშაოთ. წინ კიდევ რამდენიმე ნაბიჯით თუ წავიწევთ, სამეფო კლუბის შეჩერებას ველარავინ შეძლებს. "რომასთან" მატჩს რაც შეეხება, უბრალოდ არ გაგვიმართლა.

**- იოლი სათქმელია, იქნებ დაგვიკონკრეტოთ, უიღბლობაში რას გულისხმობთ?**

- არა მგონია, ასეთი ძნელი მისახვედრი იყოს. განმეორებით შეხვედრაში რობენი, სნეიდერი, სერხიო რამოსი და ვან ნისტელროი გვაკლდნენ. გარდა ამისა, პეპე და რობინიო მოედანზე მოურჩენელი ტრავმით გავიდნენ. არ გეჩვენებათ, რომ ძალიან ბევრი დაბრკოლება შეგვექმნა? შეუძლებელია ბრძოლა მოიგო მაშინ, როცა არმიის ნახევარი ბრძოლის ველზე არ იმყოფება. ტრაბახი არ მახასიათებს, თუმცა ამჯერად მაინც ვიტყვი, რომაელებთან განმეორებით შეხვედრაში სრული შემადგენლობით რომ გვეთამაშა, მეოთხედფინალში გავიდოდით და სამშაბათს "მანჩესტერის" წინააღმდეგ ვიბრძოლებდით. სხვათა შორის, ყველაზე მეტად რობენი დამაკლდა.

**- რატომ მაინცდამაინც რობენი?**

- იმიტომ, რომ რომში არიენმა მთელი ფლანგი აიკლო. რა თქმა უნდა, მადრიდში კიდევ უფრო კარგად ითამაშებდა. "რეკრეატივოსთან" მატჩის გახსენებაც კი აღარ მინდა. იმ წყეულ თამაშში რობინიოს არაადამიანურად მოეპყრნენ. გვარი დამავიწყდა, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. მასპინძელთა ის ნახევარმცველი, რომელმაც რობენს მიზნობრივად ჩაარტყა, დაუნდობლად უნდა გაროზგო.

**- გასაგებია, რომ რობენი შესანიშნავი ფეხბურთელია, მაგრამ ერთი კაცის, ან თუნდაც რამდენიმე მოთამაშის არყოფნა მერვედფინალში განცდილ მარცხს ვერ გაამართლებს.**

- ჰო, მართალი ხართ. თან, ამ ყველაფერს, იტალიელების დამღლელი და მომაბეზრებელი ტაქტიკა დაერთო. "ოლიმპიკოზე" ჩატარებული შეხვედრის საფინალო სასტვენის შემდეგ გასახდელისკენ წავედი და ჩემთვის ჩავილაპარაკე, ეს იტალიელები ყელში ამომივიდნენ-მეთქი. რომში ლაღად ვთამაშობდით. ვცდილობდით, საფეხბურთო სპექტაკლი დაგვედგა, ისინი კი ძირითადად ფეხებში ჩარტყმით იყვნენ დაკავებულები. მაგალითად, პანუჩის სხვა არაფერი გაუკეთებია. მოედანზე ერთადერთი ამოცანით გავიდა - რობინიოსთვის სიცოცხლე უნდა გაემწარებინა. საბრალო ბრაზილიელს იმდენი ურტყა, სანამ ორივე კოჭი არ გაუსივდა. ეს ხომ ანტიფეხბურთია. მსაჯიც ღრუბლებში დასეირნობდა და, ალბათ, გაფრენილ სიყვარულზე ფიქრობდა. ერთი სიტყვით, ყველა უბედურება ერთმანეთს დაემთხვა და, საბოლოო ჯამში, მეოთხედფინალს მიღმა აღმოვჩნდით. არადა, ყველაფერი სხვაგვარად უნდა მომხდარიყო.

**- რას გულისხმობთ?**

- შობის წინ "კამპ ნოუზე" "ბარსელონა" დავამცირეთ. დიახ, დავამცირეთ, რადგან ეს ჩვეულებრივი მოგება არ იყო. თამაშის მსვლელობას მთელი 90 წუთის განმავლობაში ჩვენ ვაკონტროლებდით. იმ ორთაბრძოლაში "რეალის" ამოუწურავი პოტენციალი გამოჩნდა. ყველა პირობა გვქონდა იმისთვის, რომ 2008 წელს მაქსიმალური შედეგებისთვის მიგვეღწია, მაგრამ როგორც იცით, სერიოზული პრობლემები შეგვექმნა.

**- "ბარსელონის" კრიზისი რონალდინიოს კრიზისის ლოგიკური შედეგია?**

- არა, რონალდინიო რა შუაშია, კატალონიელებისთვის ლეო მესის ტრავმა აღმოჩნდა დამღუპველი. არ გახსოვთ, როცა მესი ჯანმრთელად იყო და სრული დატვირთვით ვარჯიშობდა, "ბარსა" ფანტასტიკურად გამოიყურებოდა. შესაძლოა, კატალონიაში ბევრი გავალიზიანო, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ "ბარსელონა" მესის გარეშე "ბარსელონა" არ არის. გარდა ამისა, ეტოოზეც უნდა ვთქვათ. სამუელმა სერიოზული ტრავმა ორჯერ მიიღო. შემდეგ, თითქმის ერთი თვე აფრიკის თასზე გაატარა. რა თქმა უნდა, ასეთი მაღალი დონის მოთამაშეების დაკარგვით "ბარსელონამ" თამაშის ხარისხიც დაკარგა. და კიდევ ერთი, კატალონიელებს ბოლომდე ჯერაც არ აქვთ გაცნობიერებული, რომ თანამედროვე ფეხბურთში იოლად ვერავის დაამარცხებ. თუნდაც "ბეტისთან" მატჩი აიღეთ. სტუმრებმა საქმე დასრულებულად მიიჩნიეს და კისერი მოიტეხეს.

**- თავს უფლებას მივცემ, ამჯერადაც შეგეკამათოთ. ნუთუ "ბარსელონაშიც" ყველაფერი ცალკეულ მოთამაშეებზეა დამოკიდებული?**

- გააჩნია, ცალკეულ მოთამაშეებში ვის და რამდენ ადამიანს გულისხმობთ. მესისა და ეტოოზე უკვე ვისაუბრეთ. რონალდინიოს რაღაც დაემართა და ალბათ, სარკეში ჩახედვისას თავის თავსაც ველარ ცნობს. დეკუსა და მარკესის ტრავმებიც უნდა ვახსენოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ "ბარსელონას" ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხუთი წამყვანი ფეხბურთელი ვერ ეხმარებოდა. გესმით რას ნიშნავს ეს? ხუთი კაცი ნახევარი გუნდია.

**- რამდენიმე თვის წინათ მითხარით, რომ კრისტიანო რონალდოსთან მუშაობაზე ოცნებობთ. მისი გადაბირების იმედი ხომ არ დაგიკარგავთ?**

- ჩემთვის ძალიან მტკივნეულ თემას შეეხეთ. კრისტიანო რონალდო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. თქვენ როგორ გგონიათ, ასეთ კაცს "მანჩესტერი" "სანტიაგო ბერნაბეუზე" გამოუშვებს? არ დაიჯეროთ. ინგლისელები ფულში ცურავენ და მათი სატრანსფერო თანხით მოხიბვლა შეუძლებელია. თუ მაინცდამაინც დავიჟინებთ და კრისტიანოს გადმოსაბირებლად მოლაპარაკებებს დავიწყებთ, "სანტიაგო ბერნაბეუს" გაყიდვა და დამატებით ბანკიდან სოლიდური ვალის აღება დაგვჭირდება.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## თვის მონაგარი. მარტი

**1. სროლა:** ნინო სალუქვაძემ შვეიცარიულ ვინტერტურში ევროპის ჩემპიონატზე პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მეორე ადგილი დაიკავა.

**1. ფუტზალი:** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა 1:13 წააგო ესპანეთის ნაკრებთან.

**2. ძიუდო:** ჩეხეთის მსოფლიო თასზე **გიორგი ბაინდურაშვილი** და **ირაკლი ცირეკიძე** ჩემპიონები გახდნენ, **საბა გავაშელიშვილი** ვერცხლის მედალს დასჯერდა.

**2. ანტიკური. ჭიდაობა:** უნგრეთში „ოქროს დიდ პრიზზე" **ბადრი ხასაიამ** იმარჯვა.

**3. ფუტზალი:** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში საქართველოს ნაკრებმა 1:8 წააგო ხორვატიის ნაკრებთან.

**5. ფეხბურთი: ვიტალი დარასელია** და **რატი ალექსიძე** თბილისის „ლოკომოტივში" ჩაირიცხნენ.

**6. ფეხბურთი: დავით სირაძე** ნალჩიკის „სპარტაკში" ერთი სეზონით გადავიდა.

**9. სუმო:** ქალაქ ოსაკაში მარტის ბაშო დაიწყო, სადაც უმაღლეს დივიზიონში **ლევან ცაგურია** (კოკაი), პირველში კი **ლევან გორგაძე** (ტოჩინოშინი) მონაწილეობენ.

**15. ჩოგბურთი: ოქსანა კალაშნიკოვამ** ქაიროს ტურნირის (10 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგი მოიგო.

**16. რაგბი:** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ინგლისთან 3:53 წააგო.

**18. ფეხბურთი:** რუსთავის „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა **ანატოლი პისკოვეცმა**, მის ნაცვლად **ხვიჩა ქასრაშვილი** დაინიშნა.

**19. კალათბურთი:** თბილისის „მაკაბიმ" კოტე მახარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი მოიგო. „მაკაბიმ" ფინალში კიევის „ბუდეველნიკი" დაამარცხა – 87:81.

**19. რაგბი:** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა რუსეთს 25:6 მოუგო და ელიტაში ადგილი შეინარჩუნა.

**19–20. ფიგურული ციგურაობა: ელენე გედევანიშვილმა** მსოლფიო ჩემპიონატზე მე-20 ადგილი დაიკავა.

**22. ფეხბურთი: შოთა არველაძემ** პირველად ითამაშა ესპანურ პრიმერა დივიზიონში.

**22. კალათბურთი: გიორგი შერმადინი** „მაკაბიდან" წავიდა, ის ამერიკაში ივარჯიშებს და ნბა-ს დრაფტისთვის მოემზადება.

**23. რაგბი:** ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა რუმინეთთან 5:6 წააგო და მეექვსე ადგილი დაიკავა.

**23. სუმო:** ოსაკას ბაშო ქართველთათვის წარმატებულად დასრულდა, **კოკაიმ** 12-3 ბალანსით მებრძოლი სულის პრიზი მიიღო, **ტოჩინოშინმა** კი 9-6 ბალანსით სავარაუდოდ უმაღლესის საგზური მოიპოვა.

**25. ფეხბურთი:** საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა 4:0 დაამარცხა ლატვიის ნაკრები

**26. ფეხბურთი:** საქართველოს ნაკრებმა ბელფასტში 1:4 წააგო ამხანაგური მატჩი ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან.

**27. ფეხბურთი:** ლელოსთან ინტერვიუში **კლაუს ტოპმიოლერმა** განაცხადა, რომ სფფ-ს სასამართლოში უჩივლებს.

**29. ჩოგბურთი: ოქსანა კალაშნიკოვამ** ქაიროს ტურნირის (10 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგი მოიგო.

**29. რაგბი:** ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა 22:3 მოიგო პრაღაში ჩეხეთის ნაკრებთან.



ნინო სალუქვაძე (მარცხნივ) ევროპის ჩემპიონატზე

ჩოგბურთი. დევისის თასი

# ქართული სასწაულის მოლოდინში

## ირაკლი ლაბაძე ნაკრებშია



ირაკლი ლაბაძე

11-13 აპრილს, საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები „დევისის თასის" მატჩს გამართავს სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში. საქართველოს ნაკრები ევროპა-აფრიკის I ზონაშია, სადაც წლეულს პირველ მატჩს ძლიერ სლოვაკეთთან ატარებს. მთავარი სიახლე ისაა, რომ ჩვენი საუკეთესო ჩოგბურთელი **ირაკლი ლაბაძე** განაცხადშია! ჯერ კიდევ უცნობია, შეძლებს თუ არა ირაკლი ბრატისლავაში თამაშს, იმედი ვიქონიოთ, რომ შეძლებს. სხვა მხრივ, სლოვაკეთში ძალზე გადახალისებული ნაკრები მიდის.

საქართველოს ნაკრებს ახალი კაპიტანი გაიყვანს მატჩზე – **ვიქტორ ბაქში**. ნაკრების პირველი ნომერია 26 წლის ირაკლი ლაბაძე, რომელსაც „დევისის თასზე" გამართული 26 მატჩიდან 22 მოგებული აქვს. ერთ დროს მსოფლიოს 42-ე ჩოგანს ძალიან ბევრი გაუცდა, ცაცია ქართველმა ბოლოს შარშან თებერვალში ითამაშა „დევისის თასზე" პორტუგალიის ნაკრების წინააღმდეგ, მანამდეც მას სამთვიანი იძულებითი პაუზა ჰქონდა ჩოგბურთში. ლაბაძის გარდა ნაკრების დანარჩენი სამი წევრი დებიუტანტია: 20 წლის ნოდარ **ითონიშვილი**, 19-19 წლის **რევაზ ოსაძე** და **ნიკოლოზ ქურდაძე**. ითონიშვილი მსოფლიოს 1240-ე ჩოგანია, ოსაძე და ქურდაძე კი ურეიტინგო ჩოგბურთელები არიან, ისევე როგორც, ლაბაძე. შარშან საქართველოს ნაკრებმა ჯერ პორტუგალია დაამარცხა 3:2, რითაც I ზონაში თამაში გაინაღდა, შემდეგ კი პლეი ოფის საგზურისთვის ბრძოლაში **ნოვაკ ჯოკოვიჩთან** და კომპანიასთან 0:5 დამარცხდა. პირველ მატჩში ირაკლი ლაბაძემ, **ლადო ჩიხლაძემ, გიორგი ჭანტურიამ** და **გიორგი ხრიკაძემ** ითამაშეს. მეორეში კი ლაბაძე ტრავმის გამო აღარ ყოფილა, სერბეთში ნაკრები სამი კაცით გაემგზავრა.

ჩვენი მოწინააღმდეგე, სლოვაკეთის ნაკრების კაპიტანმა **მიროსლავ მეჩირმა** შეარჩია. პირველი ჩოგანი 20 წლის **ლუკაშ ლაჩკოა**, რომელიც მსოფლიოს 150-ე ჩოგანია. მეორე ნომერი ვეტერანი და მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავი **დომინიკ ჰრბატია**. ჰრბატი დღეისთვის მსოფლიოს მე-200 ჩოგანია (2004 წელს მე-12 ჩოგანი იყო), ის 30 წლისაა. სლოვაკებს მესამე ნომრადაც გამოცდილი **მიხალ მერტინაკი** ჰყავთ, 29 წლის მერტინაკი 455-ე ჩოგანია, მაგრამ მისი ძლიერი მხარე წყვილებში თამაშია, სადაც დღეისთვის მსოფლიოს 47-ე ჩოგანია. ნაკრების მეოთხე ნომერი 18 წლის **მარტინ კლიზანია**, მსოფლიოს 344-ე ჩოგანი, კლიზანი შარშან მსოფლიოს პირველი ჩოგანი იყო ახალგაზრდებში. სლოვაკთა ნაკრებში ვერ მოხვდნენ: **კაროლ ბეკი** (237) და **ივო კლეჩი** (241). მოკლედ, სლოვაკეთი აშკარა ფავორიტია, ჩვენები კი ლაბაძის სასწაულისა და ცაცია ლაჩკოს ბოლოდროინდელი ცუდი სათამაშო ფორმის იმედად უნდა იყვნენ.

მატჩი ბრატისლავის „სიბარნაკ არენაზე" გაიმართება, დარბაზში კორტის საფარად თიხნარი შეირჩა. ამ მატჩის გამარჯვებული მსოფლიო ჯგუფის პლეი ოფის საგზურს მოიპოვებს, რაც ქართული ჩოგბურთისთვის უდიდესი წარმატება იქნება. დამარცხებული ნაკრები კი 19-21 სექტემბერს I ზონაში დარჩენისთვის იბრძოლებს, მეტოქე ჯერ არ გარკვეულა, სავარაუდოდ, ის პოლონეთი ან ბელარუსი იქნება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ბასილაშვილი დაუმარცხებელია

ამერიკის ქალაქ პელჰემში საერთაშორისო ტურნირის (25 ათასი დოლარი) წყვილთა თანრიგში ბრძოლას **ანა ტატიშვილი** და **სალომე დევიძე** აგრძელებენ. ანაცა და სალომეც მეოთხედფინალში არიან. ანა ტატიშვილმა და **ქიმბერლი კაუტსმა** (აშშ) საკვალიფიკაციო ბადიდან გაალწიეს ძირითადში, სადაც პირველ ნომრად განთესილ **რაქელ კოპს-ჯოუნსთან** და **ებიგეილ სპირსთან** მოუხდათ ურთიერთობის გარკვევა. მეტოქეები წყვილთა რეიტინგის ასეულში არიან, მიუხედავად ამისა ტატიშვილმა და კაუტსმა იმარჯვეს – 6:7, 6:1, 10:4. მეოთხედფინალში მათი მეტოქეთა ვინაობა ჯერ არ გარკვეულა. სალომე დევიძემ და 15 წლის **ანა ორლიკმა** (ბელარუსი) პირველ წრეში მე-3 ნომრად განთესილ დუეტს (**ჩანი, ლუჟანსკა**) მოუგეს – 6:2, 2:6, 10:6. მეოთხედფინალში სალომეს ჩეხი **პაშტიკოვასა** და ამერიკელი **როლის** წყვილი ელის. თუკი ქართველები თავიანთ მეოთხედფინალურ მატჩებს მოიგებენ, ნახევარფინალში ერთმანეთის წინააღმდეგ მოუწევთ თამაში.

თურქულ ბელეკში (10 ათასი) ტურნირი უქართველოდ გრძელდება, ძირითადი ბადის პირველივე წრეში დამარცხდა ტურნირსშემორჩენილი ორი ქართველი. **სოფიო ქვაცაბაიამ** საკვალიფიკაციო ტურნირიდან გამოსულ სლოვაკ **პატრისია ვერესოვასთან** დათმო, ხოლო საკვალიფიკაციოდან ძირითადში მოხვედრილმა **თეონა ცერცვაძემ** დიდი ბრძოლის მიუხედავად მე-7 ნომრად განთესილ რუს **ელიზავეტა ტოჩილოვსკაიასთან** (503) დათმო – 3:6, 6:4, 4:6.



ნიკოლოზ ბასილაშვილი

16 წლის **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** წინა კვირაში ამერიკაში „ტენის ექსპრესის" ტურნირი მოიგო, რომელიც 18-წლამდელთა ასპარეზზე მე-4 კატეგორიისაა. მას მერე ქართველი პირველი კატეგორიის ტურნირ „სპრინგ ინტერნეიშენალზე" გამოდის. ბასილაშვილი დღეისთვის 18-წლამდელთა რეიტინგში მსოფლიოს 244-ე ჩოგანია. პირველ წრეში მან ორი წლით უფროს ამერიკელ **მატეუშ კეცკის** (166) მოუგო – 4:6, 6:3, 6:4. მეორე წრეში ბასილაშვილს ძლიერი მეტოქე ელის, მე-6 ნომრად განთესილი დომინიკელი **ხოსე ერნანდესი** (47), რომელიც 18 წლისაა. წლეულს ქართველს ჯერ არ წაუგია. შეგახსენებთ, რომ ნიკამ დეკემბერში 16-წლამდელთა „ორანჯ ბოულის" ნახევარფინალში გაალწია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი. საქართველოს კადეტთა ჩემპიონატი

# გურჯაანი, ბაქო და ევროპა

გურჯაანში დასრულდა კადეტ მოკრივეთა საქართველოს ჩემპიონატი. შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის 135 მოკრივე ასპარეზობდა.

მიუხედავად იმისა, რომ გურჯაანს აქვს შარშან გარემონტებული მშვენიერი სპორტკომპლექსი, ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ორიგინალურობა გამოიჩინეს და რინგი ქალაქის კულტურის სახლის სცენაზე დადგეს. სამდღიანმა შეჯიბრებამ საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. სამივე დღეს დარბაზში მაყურებლების ტევა არ იყო. ყველაზე მეტად კახელებმა ფინალურ დღეს გაიხარეს, როდესაც გურჯაანელმა **ლექსო ჯინჭარაძემ** ბოლო წამებზე შემოატრიალა თითქმის წაგებული ორთაბრძოლა. მან ოქროს მედალსა და მქუხარე აპლოდისმენტებთან ერთად, "ჯეოსელისაგან" ჩემპიონატის საუკეთესო მოკრივისთვის განკუთვნილი პრიზი - მესამე თაობის მობილური ტელეფონიც მიიღო.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს კრივის ფედერაციამ გურჯაანში ჩაიტანა შარშან ნაყიდი თანამედროვე ელექტროტაბლოები, რომელიც მინიმუმამდე ამცირებდა სადავო საკითხებს.

საბოლოოდ, წონითი კატეგორიების მიხედვით, საქართველოს ჩემპიონები გახდნენ **ლევან კაჟაშვილი** (თბილისი, დკდ. 46 კგ), **ავთანდილ ჭუბაბრია** (ფოთი, 48), **ირაკლი ჭინჭარაული** (გარდაბანი, 50), **გიგა ბუკია** (52, ფოთი), **ლექსო ჯინჭარაძე** (გურჯაანი, 54), **ჯანო არსენიძე** (ფოთი, 57), **თორნიკე ბიწაძე** (ჭიათურა, 60), **გიორგი ჯაფარიძე** (ჭიათურა, 63), **გიორგი გიორგაძე** (დკდ, 66), **გიორგი გულბანი** (გარაბანი, 70), **ირაკლი ქამადაძე** (დკდ, 75), **ზაზა სტურკი** (რუსთავი, 80), **ბადრი ზურაბიანი** (გარდაბანი, 86).

კადეტებს წლეულს ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრება ივნისში ბულგარულ პლოვდივში აქვთ - ევროპის ჩემპიონატი. კადეტთა ნაკრების თავკაცი **რამაზ ნიკოლაძე** საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით ჩამოაყალიბებს იმ ბირთვს, რომელსაც ევროპაზე იახლებს. როგორც საქართველოს კრივის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **კოტე ბერძენიშვილმა** გვითხრა, გუნდს აუცილებლად ექნება რამდენიმე შეკრება, ხოლო ევროპაზე წასვლამდე, 7-12 მაისს ბაქოში დიდ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებს, რომელიც "პრეზიდენტ ალიევის თასის" სახელს ატარებს.

**კობა ხატისაშვილი**

კრივი

# ტიბუა პეკინშია, ჯერი მოკრივეებზეა

**მართალია, საქართველოს მოკრივეთა ეროვნული ნაკრები კვლავ პეკინის ოლიმპიადის საგზურის გარეშეა და ბოლო სალიცენზიო ტურნირს ელოდება, მაგრამ გუშინ გაირკვა, რომ ოლიმპიადა ქართული საკრივო წრის წარმომადგენლის გარეშე არ ჩაივლის.**

საქმე ის არის, რომ ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა პატივი დასდეს საერთაშორისო კატეგორიის არბიტრ **ზურაბ ტიბუას**, რომელიც სამსაჯოდ მიიწვიეს. ეს ინფორმაცია გუშინ, საქართველოს კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ვლადიმერ ახალკაცმა** მოგვაწოდა:

*- ახლახან მივიღეთ ფაქსი, რომელშიც წერია, რომ პეკინის ოლიმპიადაზე სამსაჯოდ მიწვეულია საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ზურაბ ტიბუა, რაც ჩვენთვის დიდი პატივია. ასე რომ, ერთი "ლიცენზია" უკვე გვაქვს, ახლა ჯერი მოკრივეებზეა. ტიბუა პეკინში ქართული კრივის სამყაროს ერთადერთი წარმომადგენელი არ იქნება.*

**კობა ხატისაშვილი**

თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი

# ორი ოქრო ორ დღეში

## გიორგი გოგშელიძე ევროპის ჩემპიონია

**ოქროთი დაწყებული ევროპის ჩემპიონატი ოქროთივე დავასრულეთ - ჩვენმა ნაკრებმა ფინურ ტამპერეში გუშინ მეორე ოქროს მედალიც მოიპოვა, ამჯერად - გიორგი გოგშელიძემ (96), მთლიანად ჩვენი გუნდის მონაგარი კი 2-2 ოქრო-ვერცხლია. შეგახსენებთ, რომ ტურნირის პირველ დღეს ევროპის ჩემპიონი დავით მოძმანაშვილი (120) გახდა, ვერცხლის მედლები კი კობა კაკალაძემ (66) და რევაზ მინდორაშვილმა (84) ირგუნეს. გოგშელიძემ მედალთან ერთად პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიაც მოიპოვა და ახლა ჩვენი ნაკრების აქტივში 5 საგზურია. ლიცენზიები მოსაპოვებელი მხოლოდ 55 და 60 - კილოგრამ წონით კატეგორიებში გვრჩება.**



გიორგი გოგშელიძე

29 წლის გოგშელიძემ სურვილი აისრულა და რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ პირველხარისხოვანი ტურნირიდან სამშობლოს პირველი ოქროს მედალი მოუტანა. იგი 2001 წელს რუსეთის სახელით მსოფლიო ჩემპიონი გახდა, თუმცა მაშინვე განაცხადა, რომ მისი სურვილი წარმატებული სპორტსმენის რანგში ოლიმპიადაზე საქართველოს სახელის დაცვა იყო. ოლიმპიადა ან უკვე ახლო, მაგრამ ჯერ მაინც მომავლის საქმეა, მაგრამ სამშობლოს ჰიმნი უკვე ააჟღერა და ქართული დროშაც დამსახურებულად აფრიალა დარბაზში.

არსებითად, მისი ჩემპიონობა ნახევარფინალის შემდეგ გაირკვა, როცა უძლიერესი და უხერხული მეტოქე, ტურნირის გამოკვეთილი ფავორიტი, რუსეთის ნაკრების ლიდერი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** დაამარცხა. მათი მეტოქეობა სათავეს ჯერ კიდევ იმ პერიოდიდან იღებს, როცა ორივე რუსეთის ნაკრებში გამოდიოდა, და ხშირად მკვეთრად სცილდებოდა სპორტული პაექრობის ფარგლებს. ეს დამოკიდებულება რამდენიმე ეპიზოდში გუშინდელ შეხვედრასაც დაეტყო - უფრო რუსის მხრიდან, თუმცა ამან გოგშელიძე ვერ შეაკრთო. თუ აქამდე ხალიჩაზე მიმდინარე ბრძოლებში უფრო მეტად გაცალოვი ყოჩაღობდა, გუშინ ჩვენებური აშკარა უპირატესობას ფლობდა და უძლიერესი მეტოქე ძირითად დროშივე, ორ პერიოდში დაჯაბნა.

შეხვედრა დაზვერვის გარეშე, აზარტულად და ჟინიანად დაიწყო, მაგრამ უფრო გოგშელიძე უტევდა. ბუნებრივია, უსაქმოდ არც გაცალოვი იდგა და კონტრილეთების მცდელობის პარალელურად, თავსაც კარგად იცავდა. მისთვის საბედისწერო მომენტი წუთნახევრის შემდეგ დადგა, როცა მორიგი შეტევის მოგერიებისას უკან გახტა. ამ დროს ფეხები სულ რაღაც წამიერად დაუცველად დატოვა, რითაც კარგად ისარგებლა გოგშელიძემ, ელვის სისწრაფით შეუვარდა, ორივე ფეხზე მჭიდროდ შემოესალტა და ერთქულიანზე უპრობლემოდ დააგდო. იქვე ტრიალიც წამოიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა, თუმცა ამასობაში დროც დამთავრდა და პირველი პერიოდი მინიმალური უპირატესობით - 1:0 მოიგო.

მეორეში მისი უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო - 4:2. რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია, აქ მან უპირატესობა კონტრშეტევისას მოიპოვა, როცა ფეხში შესულ მეტოქეს ჯერ კარგად დაუხურა გდება და ჩოქბჯენში გადაიყვანა, მერე კი წარმატებით დაატრიალა. გაცალოვი აქ უკვე საბოლოოდ გატყდა.

გაცალოვთან გამარჯვების შემდეგ ფინალში უკრაინელი **გიორგი თიბილოვის** დამარცხება დროის ამბავი ჩანდა. ბუნებრივია, პროგნოზები სარისკო საქმეა, მაგრამ ამ წყვილში უკრაინელის გამარჯვებას ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე. მით უფრო, გოგშელიძის კარგი ჭიდაობის ფონზე. სასწაული არც მომხდარა - ჩვენებურმა პირველი პერიოდი 2:0 მოიგო, მეორეში კი, შეიძლება ითქვას, მშვიდად აიყვანა მეტოქე ფეხიდან და წრის გარეთ გაიყვანა. ეს საჩემპიონო ქულა აღმოჩნდა.

მანამ გოგშელიძემ სამი შეხვედრა მოიგო - ბულგარელ **ნიკოლაი ჩირევთან**, ბელარუს **რუსლან შეიკოვთან** და მოლდოველ **ნიკოლაი ჩებანთან**. აღსანიშნავია, რომ ხუთივე შეხვედრა ძირითად დროში მოიგო. მთლიანობაში მისი გამოსვლა ძალზე დადებითად უნდა შევაფასოთ, რადგან, ამდენწლიანი ჩავარდნის შემდეგ, როგორც იქნა, ძველი გიორგი გოგშელიძე ვიხილეთ. ეს საოლიმპიადოდაც სერიოზული განაცხადია, თუმცა ის სულ სხვა დატვირთვის ტურნირია და ბევრად რთული. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გოგშელიძემ ძველებური ოპტიმიზმი დაგვიბრუნა. მას აშკარად არგო თბილისში სავარჯიშოდ გადმოსვლამ და აუცილებლად უნდა ითქვას საყვედური იმის გამო, რომ ეს საშური საქმე აქამდე არ მოხერხდა; რომ ერთი ბინა (თუნდაც საქირაოდ) მისთვის გადაუჭრელ პრობლემად იქცა; რომ ქვეყნის პრეზიდენტის სიტყვაც კი სიტყვად დარჩა და მისი საბინაო პრობლემა აქამდე არ მოგვარებულა. ამ თემაზე სულ გვესმოდა ლაპარაკი, ჯერ მოიგოს და მერეო. აჰა, ბატონებო, მოიგო - ახლა ჯერი თქვენზეა!

სამწუხაროდ, გუშინ **მალხაზ ქურდიანიც** (60) და **გელა საღირაშვილიც** (74) წარუმატებლად გამოვიდნენ. ქურდიანი უძლიერეს ჯგუფში რომ მოხვდა, გუშინაც ვწერდით. მან მხოლოდ პირველ შეხვედრაში იყოჩაღა, როცა თურქი ევროპის ჩემპიონი **ტევფიკ ოდაბასი** დაამარცხა, მერე კი უკრაინელ ორგზის ევროპის ჩემპიონ **ვასილი ფედორიშინთან** წააგო. მოგვიანებით სანუგეშოში გადაერთო, სადაც ფინელ **იარნო ჰიიტიანინენს** კი მოუგო, მაგრამ რუს **ადამ ბატიროვთან** წააგო. საღირაშვილმა იტალიელ **სალვატორე რინელას** აჯობა, მაგრამ პოლონელ **კრისტიან ბრჟოზოვსკისთან** წააგო და ისე გავარდა, ვერც სანუგეშოში გადაერთო.

**დღეს და ხვალ ტამპერეში ქალები იჭიდავებენ და ჩვენ იქ არაფერი გვესაქმება, რადგან მონაწილე არ გვყავს. სამაგიეროდ, შაბათ-კვირას ისევ გვმართებს ქომაგობა, როცა "ანტიკოსთა" პირველობა გაჩაღდება.**

**ირაკლი თავაძე**

| 60 კგ |
|---|
| 1. ვასილ ფედორიშინი (უკრაინა) |
| 2. დიდიე პეის (საფრანგეთი) |
| 3. ანატოლი გუიდეა (ბულგარეთი) |
| 3. დიორდ ვიოლერი (უნგრეთი) |
| 8. მალხაზ ქურდიანი (საქართველო) |

| 74 კგ |
|---|
| 1. მახაჩ მურთაზალიევი (რუსეთი) |
| 2. მურად გაიდაროვი (ბელარუსი) |
| 3. ემზარიოს ბენტინიდისი (საბერძნეთი) |
| 3. ჩამსულვარა ჩამსულვარაევი (აზერბ.) |
| 11. გელა საღირაშვილი (საქართველო) |

| 96 კგ |
|---|
| 1. გიორგი გოგშელიძე (საქართველო) |
| 2. გიორგი თიბილოვი (უკრაინა) |
| 3. ჰაჯიმურატ გაცალოვი (რუსეთი) |
| 3. ჰაკან კოჩი (თურქეთი) |

ხელბურთი. 18-წლამდელთა ნაკრები

# სომხები ორჯერ დავამარცხეთ

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები სტუ-ს ბაზაზე მოსამზადებელ შეკრებას შეუდგა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისათვის.**

საქართველოს ხელბურთის ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის ერთობლივი ძალისხმევით, 18-წლამდელებს ისეთი მოსამზადებელი ეტაპი ექნებათ, რაც აქამდე არც ამ ასაკს ჰქონია და თუ არ ვცდებით, არც სხვა ნაკრებ გუნდებს.

18-წლამდელები სტუ-ს ბაზაზე არიან დაბანაკებული და 4 მწვრთნელის მეთვალყურეობით ვარჯიშობენ. მთავარ მწვრთნელ **ვახტანგ ბერიაშვილს** ეხმარებიან **იაგო ჩხაიძე, გია მამაცაშვილი** და **გია ბარათაშვილი**.

ახლახან, თბილისში ჩამოვიდა სომეხ 18-წლამდელთა ნაკრები, რომელთანაც ჩვენებურებმა 2 საკონტროლო მატჩი ჩაატარეს. მართალია, სომხური ხელბურთი გვარიანად ჩამორჩება ჩვენსას, მაგრამ არც ისეთი სუსტი 18-წლამდელები ჰყოლიათ, როგორც გვეგონა. ეგეც არ იყოს, უცხოელ თანატოლებთან გაჯიბრებას სულ სხვა მუხტი აქვს...

პირველ ამხანაგურში ბერიაშვილის შეგირდებმა 36:24 დაჯაბნეს სომხები, მეორეში კი პირველ ტაიმში საკმაოდ გაიჭირდათ. სომხები თავიდან 4:0 დანინაურდნენ და მთელი ნახევარი საათი ანერვიულეს ქართველი მეტოქეები, მაგრამ ბოლოს კლასმა მაინც თავისი გაიტანა და მეორედაც ვიმარჯვეთ - 28:17.

8 აპრილს ჩვენი 18-წლამდელები ნორვეგიაში გაემგზავრებიან, სადაც 14 აპრილამდე იქაურ თანატოლებთან შეკრებასა და საკონტროლო მატჩებს გამართავენ. აღსანიშნავია, რომ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ერთ-ერთი მეტოქე სწორედ ნორვეგიაა. ამდენად, მომავალ მეტოქეს იქვე მოვუსინჯავთ კბილს.

სკანდინავიელებს ეგებ არც უნდოდათ ახლა ქართველებთან ამხანაგურად გაჯიბრება, მაგრამ საქართველო-ნორვეგიის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმზე წიხლი ვერ გვიკრეს და დაგვპატიჟეს.

ნორვეგიიდან დაბრუნების შემდეგ, ნაკრების წევრები საკუთარ კლუბებში საქართველოს თასზე ითამაშებენ, მაისის დასაწყისში კი სომხებს საპასუხო ვიზიტით ესტუმრებიან. სომხეთის შემდეგ, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გველის ხორვატიის ქალაქ პულაში (8-11 მაისი), სადაც მასპინძლების გარდა, ნორვეგიელებსა და ბელგიელებს გავეჯიბრებით.

**კობა ხატისაშვილი**

ხელბურთი. საქართველოს ჩემპიონატი

# გაზაფხულის პირველი დაქუხება

| მამული-სტუ/თელავი | 15:39 |
|---|---|

მამული: ხონელიძე, ბერეკაშვილი, შონია (1), გილიგაშვილი (1), გველესიანი (1), ი. გელაშვილი, თეთრუაშვილი (3), ქუთათელაძე, სეთურიძე, კვერნაძე (8), ჩაჩანიძე (1)
სტუ: გ. ტორონჯაძე, გოგალაძე (1), ქობელაშვილი (2), ა. ყიფიანი (8), ჯორბენაძე, გ. ჩიქოვანი (4), კობახიძე (6), საჯაია (3), ი. ჩიქოვანი (9), ტალახაძე (6), ო. ყიფიანი
მსაჯები: ელენე არაბული, თამარ არჩაია

| თბილისი-ქუთაისი | 36:4 |
|---|---|

თბილისი: გონჩაროვი, ანდრიაძე, ი. ტორონჯაძე (10), ქარდავა (11), ლალანიძე (1), ნივნივაძე (5), მაისურაძე (3), ყაველაშვილი (5), ფორაქიშვილი, ლ. გელაშვილი (1), სამარლანიშვილი
ქუთაისი: ხინგავა, შიშინაშვილი, დ. გობეჯიშვილი, ნიკურაძე (1), გ. გობეჯიშვილი, თუთბერიძე, დოლაკიძე, ჯანაშია, ჩხაიძე, ადამია (2), დოლიძე, სვანიძე (1), სიხარულიძე, ცერცვაძე
მსაჯები: ინა ჭკუასელი, ნინო ელოშვილი

შარშან შემოდგომით შეწყვეტილი ხელბურთელ ვაჟთა XVIII ეროვნული ჩემპიონატი გუშინ განახლდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში. თავიდან მოედანზე სტუ-"თელავი" და "მამული" გამოვიდნენ. პირველ რიგში თვალშისაცემი იყო



ტიტე კალანდაძე თბილისში მოთამაშე მწვრთნელად დაბრუნდა

ორივე გუნდის განახლებული ფორმა. სტუ-ელებმა ჩვეული ყვითელი სამოსელი გაამშინდისფრეს, ხოლო თეთრი "მამული" გალურჯდა.

საშემოდგომო ეტაპის შემდეგ, ცვლილებები იყო შემადგენლობებშიც. "თელავი" დატოვა ორმა წამყვანმა მეკარემ - ეროვნული ნაკრების ძირითადმა გოლკიპერმა **შოთა თევზაძემ** (მალმიო, შვედეთი) და მისმა დუბლიორმა **გაგა სამყურაშვილმა** (ჩაიკური, თურქეთი). სამყურაშვილის გუნდშივე გადავიდა **ლევან ბერძენიშვილი**, ხოლო წამსვლელთა სია **მამია კობახიძემ** დააგვირგვინა, რომელიც ორიგინალურსახელიან ესტონურ კლუბ "შოკოლადის ბიჭებში" გადაბარგდა.

მეკარეების პრობლემა სტუ-ელებს მაინც არ დატყობიათ, რადგან დარჩათ არანაკლებ ძლიერი კარის დარაჯი **გიგა ტორონჯაძე**. თანაც შვედეთში ჩემპიონატი დამთავრდა და დღე-დღეზე ელიან თევზაძის დაბრუნებას, რომელიც სეზონს "თელავში" დაასრულებს. აი, ბერძენიშვილი და კობახიძე კი საგრძნობი დანაკლისია, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ **ირაკლი კეკელიძის** განკარგულებაში საკმაოდ გრძელი სათადარიგოთა სკამია. გუშინ კეკელიძემ ნახევრად ხუმრობით გვითხრა - ოღონდ ბიჭებმა უცხოეთის ნორმალურ კლუბებში აიწყონ კარიერა და იმდენი ხელბურთელი გვყავს, რომ კიდევ გავუშვებთ რამდენიმესო...

"მამულმა" კი შემადგენლობა შეინარჩუნა და რამდენიმე ახალგაზრდაც დაიმატა - **გიორგი ავაზაშვილი, შოთა ლობჟანიძე** და მეკარე **ლევან ბერეკაშვილი**. "მამულს" გუშინ არ ჰყავდა მთავარი მწვრთნელი **რევაზ ჭანტურია**, რომელიც ავარიაში მოყოლილა. მის არყოფნაში, დროებით მოთამაშე მწვრთნელობა იტვირთა **რამაზ შონიამ**.

მამულელები მრისხანე მეტოქეს მხოლოდ საწყის ათწუთიან მონაკვეთში გაუძალიანდნენ. მერე კი როგორც მოსალოდნელი იყო, სტუ-ს კლასმა იჩინა თავი, რომელმაც დაცვაში მარწუხებს მოუჭირა, მეტოქე აიძულა, რომ შეტევაში შეცდომები დაეშვა და მამულელთა ლამის ყველა შეცდომა სწრაფი კონტრშეტევით გატანილ გოლად აქცია.

მთავარი მწვრთნელი შეიცვალა სტუ-ს უშუალო კონკურენტმა "თბილისმა". **ელიზბარ არსენაშვილის** წასვლის შემდეგ, კლუბის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა მთავარმა მწვრთნელმა **მამუკა მჟავანაძემ**, რომელიც წლების განმავლობაში მოძღვრავდა თბილისელებს. მჟავანაძის თანამდებობა კი ვეტერან **ტიტე კალანდაძეს** ერგო, რომელიც მოთამაშე მწვრთნელი იქნება. ტიტეს ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ მოედანზე გასვლას ჯერ ვერ ახერხებს. საქმე ის არის, რომ ისლანდიიდან წამოსვლის შემდეგ, საბუთების მცირე პრობლემა შექმნილა, რომელიც მალე მოგვარდება და ახლა თუ ვერა, წესით შემდეგი ტურისთვის მაინც უნდა ვიხილოთ კალანდაძის დაბრუნება საქართველოს ჩემპიონატში. სხვა მხრივ, ერთადერთი ცვლილება შემადგენლობაში არის ის, რომ "თბილისს" დაემატა **ვახტანგ ჯიშკარიანი**...

არავინ გაუშვია "ქუთაისსაც", მაგრამ შევსება მიიღო. გუნდს დაუბრუნდა გამოცდილი მეკარე **დავით ხინგავა**, ინგლისიდან კი **დავით გობეჯიშვილის** ძმა **გიორგი** ჩამოვიდა, რომელიც ბრიტანეთში სწავლობდა და სტუდენტურ დონეზე თამაშობდა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქუთათურთა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე **გიორგი ჯავახაძე** ტრავმირებულია და გუნდს ჯერ ვერ ეხმარება.

რაც შეეხება უშუალოდ მატჩს, თუ ზემოთ ანგარიში უკვე ნახეთ, ალბათ, მატჩის მსვლელობაზე ყველაფერი გასაგები იქნება. მხოლოდ იმას დავძენთ, რომ "თბილისმა" გოლების უმეტესობა ანალოგიურ სიტუაციაში გაიტანა. ტიტე კალანდაძის შეგირდები დაცვაში იოლად ჩაგრავდნენ ახალგაზრდა მეტოქეებს და დაცვიდან ართმეულ ბურთს სწრაფად აწვდიდნენ წინ გაჭრილ გარემარბებს (**ირაკლი ტორონჯაძე** და **ვანო ქარდავა**), რომლებიც მეკარესთან პირისპირ რჩებოდნენ და გოლი გოლზე გაჰქონდათ...

მოკლედ, რიონისპირელები თითო ტაიმში ოდენ 2-2 ბურთს დასჯერდნენ, საკუთარ კარში კი 36 მიიღეს. იმერელთა თავკაცმა **გია თავხელიძემ** გვითხრა, რომ ზედმეტი ამბიციები არა აქვთ და მისი გამოუცდელი სამწყსოს მთავარი ამოცანა უშუალო კონკურენტ "მამულის" დამარცხებაა, რასაც ხვალ შეეცდებიან.

**კობა ხატისაშვილი**

| დღეს (სტუ დარბაზში) |
|---|
| სტუ-თელავი - ქუთაისი (13:00) |
| თბილისი - მამული (14:30) |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-თელავი | 7 | 7 | 0 | 0 | +139 | 14 |
| თბილისი | 7 | 5 | 0 | 2 | +143 | 10 |
| მამული | 7 | 2 | 0 | 5 | -111 | 4 |
| ქუთაისი | 7 | 0 | 0 | 7 | -171 | 0 |

ფრენბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ქალები

# ფავორიტები უდანაკარგოდ მიიწევენ



| | | |
|---|---|---|
| თბილისი – ბათუმი | 25:18 25:17 25:11 | 3:0 |
| ჯიკო-დუშეთი | 25:17 25:19 25:14 | 3:0 |
| ქუთაისი-ბოლნისი | 12:25 18:25, 21:25 | 0:3 |
| ბათუმი-ბოლნისი | 25:23 18:25, 4:25, 17:25 | 1:3 |
| ჯიკო-ქუთაისი | 25:16, 25:15, 25:19 | 3:0 |
| თბილისი-დუშეთი | 25:15, 25:22, 25:18 | 3:0 |

დიდი ჯიხაიშის აგრარული კოლეჯის დარბაზში საქართველოს ქალ ფრენბურთელთა მე-17 ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე დაიწყო. ჩემპიონატში ექვსი გუნდი მონაწილეობს, აქედან პლეი-ოფში ოთხი გუნდი მოხვდება. ტურნირის ფავორიტები დიდი ჯიხაიშის „ჯიკო" და თბილისის „სპორტსკოლა" მეორე წრეს საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობებით შეხვდნენ და ისინი სხვა გუნდებზე კვლავ ერთი თავით მაღლა დგანან. მეორე წრის სტარტზე ჩემპიონატის ფავორიტებმა თავიანთი მეტოქეები იოლად დაამარცხეს. „ჯიკომ" პირველ დღეს დუშეთს სძლია, გუშინ კი ქუთათურებს არ დაუტოვა შანსი. **ნუგზარ მიქაძის** შეგირდები ზედიზედ მეშვიდედ უმიზნებენ საქართველოს ჩემპიონობას.

ერთადერთი გუნდი, რომელიც „ჯიკოს" ოქროს მედლებში შეეცილება, თბილისის „სპორტსკოლაა". თბილისელები წლეულს საკმაოდ გაძლიერდნენ. რამდენიმე გუნდი გაერთიანდა და ფაქტობრივად, ჩემპიონატში თბილისის ნაკრები ასპარეზობს. მათ საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხეს თავისი მეტოქეები და სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციაზე მყარად მოიკიდეს ფეხი. უკვე რამდენიმე წელია, „სპორტსკოლა" „ჯიკოს" ჰეგემონიის დამხობას ცდილობს, თუმცა ეს აქამდე ვერ მოახერხა და წელს ორმაგად მოტივირებულია ამ მიზნის მისაღწევად.

სხვა გუნდებს რაც შეეხებათ, ისინი ძირითადად სკოლის მოსწავლეებით არიან დაკომპლექტებული და შედეგებზე მეტად მათ აღზრდაზე არიან ორიენტირებული. ამათგან დუშეთის გუნდი გამოირჩევა, რომელიც ყველა შეხვედრაში ბოლომდე იბრძვის და ზოგჯერ ლიდერებს ანერვიულებს კიდეც. „დუშეთმა" „ჯიკოსთან" და „სპორტსკოლასთან" რამდენჯერმე გაიბრძოლა, მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი იყო.

თანაბარი დონის მეტოქეების, ქუთაისისა და ბოლნისის შეხვედრა წესით საინტერესო ბრძოლაში უნდა წარმართულიყო, მაგრამ ბოლნისელებმა მეტოქე საკმაოდ იოლად დაამარცხეს. გუშინ ბოლნისმა აუტსაიდერ ბათუმსაც ძლია და მესამე ადგილზე გადაინაცვლა. პირველი სეტი ზღვისპირელებმა მოიგეს, მაგრამ შემდეგ ქვემოქართლელებმა თამაში დაალაგეს და მეტოქეს დანარჩენ სამ სეტში შანსი არ დაუტოვეს. განსაკუთრებით მესამე სეტია აღსანიშნავი, რომელშიც ბოლნისმა 25:4 გაიმარჯვა.

ჩემპიონატს 14 ქულით „ჯიკო" ლიდერობს. 13 ქულა აქვს „სპორტსკოლას", 11 ქულით მესამეა ბოლნისი, დუშეთს 10 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზეა. 5-6 პოზიციებზე კი ქუთაისი (8 ქულა) და ბათუმი (7 ქულა) იმყოფებიან.

**დავით კოხრეიძე**
**დიდი ჯიხაიშიდან**

ცურვა

# ორი ქართველი მსოფლიო ჩემპიონატზე




9-13 აპრილს ინგლისის ქალაქი მანჩესტერი ცურვაში მე-9 მსოფლიო ჩემპიონატს მასპინძლობს 25-მეტრიან აუზებში. ჩემპიონატში ორი ქართველი მოცურავე იასპარეზებს, **ირაკლი რევიშვილი და გიორგი მწყრალაშვილი**. ქართველები ჯამში ოთხ დისციპლინაში გამოვლენ - რევიშვილი 400 და 1 500 მეტრ დისტანციაზე ცურვაში გამოვა, ხოლო მწყრალაშვილი 100 და 200 მეტრ დისტანციაზე გაცურავს. ყველა თავისუფალი ცურვის დისციპლინაა, გარდა 100 მეტრისა, სადაც მწყრალაშვილს კომპლექსურ ცურვაში მოუწევს თავისი შესაძლებლობების წარმოჩენა. ბუნებრივია, ჩვენ 18 წლის რევიშვილის უფრო გვეიმედება, რომელსაც საერთაშორისო ასპარეზზე მეტი გამოცდილება აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჭადრაკი. ლევან ფანცულაია, საქართველოს ჩემპიონი

# შვეიცარული, წრიული თუ ნოკაუტ სისტემა?

**გუშინ, ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ვაჟთა 67-ე ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალი, რომელიც სულ რაღაც 5 წუთში დასრულდა: ტურნირის დირექტორმა ვალერიან გაფრინდაშვილმა, რომელიც ამავე დროს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, მადლობა გადაუხადა მონაწილეებს ჩემპიონატში თამაშისთვის და საკმაოდ მაღალი სათამაშო კლასის ჩვენებისთვის და მომავალში უფრო მეტი წარმატებები უსურვა. იგივე სიტყვა, ოღონდ უფრო ლაკონურად წარმოთქვა ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ყაჭეიშვილმა და ცერემონიალიც დასრულდა. მოკლედ და კონკრეტულად რომ ვთქვათ, ასეთი მიდგომა საქართველოს ჩემპიონატს არ ეკადრება, უფრო მეტის თქმისგან კი დღეს თავს შევიკავებთ. შეგახსენებთ პრიზიორთა სამეულს - ლევან ფანცულაია, გიორგი მარგველაშვილი და მიხეილ მჭედლიშვილი.**

**22 წლის ლევან ფანცულაიამ ნამდვილად დაიმსახურა ჩემპიონობა და საჭადრაკო თემიც ულოცავს მას წარმატებას. მილოცვას "ლელოც" უერთდება და ახალ ჩემპიონთან ინტერვიუს გთავაზობთ.**



ლევან ფანცულაია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- ლევან, გილოცავ ჩემპიონობას! შენთვის ასეთი წარმატება პირველია და, თქმა არ უნდა, განსაკუთრებულ გრძნობებს აღგიძრავს, თუმცა საკითხავი სხვა გვაქვს: გაგიჭირდა პირველობა, თუ დიდი უპირატესობით გაიმარჯვე?**

- დიდი მადლობა. სპორტული თვალსაზრისით, იმდენად არ გამჭირვებია, როგორც ფსიქოლოგიურად, - საქმე ის არის, რომ ნოკაუტ-სისტემით თამაშის დროს წინა პლანზე სწორედ ფსიქოლოგიური მდგომარეობა იწევს - უდიდესი წნეხის ქვეშ ხარ, ერთი შეცდომის უფლებაც არ გაქვს და ამიტომ მაქსიმალური კონცენტრაცია გმართებს. აქ დიდ როლს თამაშობს გამოცდილება. მე ძალიან მაღალ დონეზე მქონდა ამ სისტემით ნათამაშები - 2006 წლის ზამთარში ხანტი-მანსიისკში მსოფლიო თასზე ვიასპარეზე და სხვათა შორის, წარმატებულადაც - ორი წრე გავიარე და მხოლოდ დამატებით პარტიაში წავაგე ებრაელ ბორის გელფანდთან. ამ გამოცდილებამ დიდი როლი ითამაშა...

**- მოჭადრაკეები და სპეციალისტები ნოკაუტ-სისტემას ხშირად იწუნებენ. შენ რა აზრის ხარ?**

- არც მე ვარ ნოკაუტ-სისტემის დიდი მეხოტბე - მიმაჩნია, რომ საქართველოს ჩემპიონი წრიული სისტემით უნდა გამოვლინდეს - ამ დროს ყველა ერთმანეთს ხვდება და უძლიერესის გამოვლენაც უფრო ობიექტურად ხდება. ნოკაუტ-სისტემის დროს შესაძლოა სუსტმა აჯობოს ძლიერს, ამის ალბათობა ბევრად მეტია, ამას გარდა, შესაძლოა უხერხული მეტოქეც შეგხვდეს...

**- არის კიდევ ერთი ვარიანტი - შვეიცარული სისტემა, სადაც ერთბაშად რამდენიმე ათეულს შეუძლია თამაში. სხვათა შორის, ქართული საჭადრაკო სამყაროს ახალგაზრდული ნაწილი ასეთი ფორმის მომხრეა...**

- ჩემი აზრით, შვეიცარული სისტემით საქართველოს ჩემპიონატი არ უნდა იმართებოდეს. ჩემპიონის გამოვლენა ჭეშმარიტად უძლიერეს მოჭადრაკეთა კომპანიაში უნდა ხდებოდეს. იქამდე შესარჩევი ტურნირები უნდა ჩატარდეს და თუკი ვინმე მოახერხებს ფინალში გასვლას, მხოლოდ მივესალმები. ასეთი შეიძლება იყოს დაბალრეიტინგიანიც, თუმცა დამსახურებას ვერ დავუკარგავთ. სხვა საქმეა, როცა რამდენიმე ათეული იქნება დაბალრეიტინგიანი - ასეთ მოჭადრაკეებთან თამაში რომ არ სურთ მოწინავე მოჭადრაკეებს, ერთია, მეორე კი ის გახლავთ, რომ თავად ჩემპიონატის პრესტიჟი ეცემა. ჩვენ თავის დროზე ასეთი გზა გავიარეთ და ლიდერებად შესაბამისი ძალისხმევით ვიქეცით. ობიექტური იქნება თუ მომავალი თაობაც ლიდერებთან გაპაექრების უფლებას ამავე ხერხით მიიღებენ.

**- შენს წარმატებას არავინ აკნინებს, მაგრამ წლევანდელ ჩემპიონატში რამდენიმე ძლიერმა მოჭადრაკემ თამაში არ ისურვა. გული ხომ არ გეთანაღრება მათი არყოფნის გამო, შენს ჩემპიონობას ეშხი ხომ არ მოაკლდა?**

- ბაადურ ჯობავას პირადული მიზეზები ჰქონდა, თუმცა ვერ მოგახსენებთ, ზუსტად - რა. ზურაბ აზმაიფარაშვილი, რომელიც ორი ათეული წელი საქართველოს უპირველესი მოჭადრაკე იყო, საქართველოს ჩემპიონატებში კარგა ხანია აღარ თამაშობს, ხოლო გია გიორგაძეს კონკრეტული პრეტენზია ჰქონდა ფედერაციის ხელმძღვანელობისადმი: როგორც შარშანდელ ჩემპიონატში, წელსაც იგივე პირობის ამოქმედებას ითხოვდა, ანუ ვინც საქართველოს ჩემპიონატში არ ითამაშებდა, ნაკრებში არ უნდა მოხვედრილიყო. წელს ასეთი პირობა არ არსებობდა და გიორგაძემ არ მიიჩნია საჭიროდ თამაში. ცხადია, ყველა უძლიერესის ყოფნა ტურნირს უფრო გაალამაზებდა და ჩემი გამარჯვებაც მეტად დაფასდებოდა, მაგრამ საკუთარ თავში დარწმუნებული ვიყავი და გამარჯვების იმედი მაინც მექნებოდა.

**- ჩვენ არაერთხელ გვქონია საუბარი და ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ქართველ მოჭადრაკეებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევათ. დრო გადის და ამ მხრივ თუ იცვლება რამე?**

- სამწუხაროდ, ახალს ვერაფერს მოგახსენებთ - რაც ადრე იყო, ისევ ისეა, შეიძლება ითქვას, რომ უარესადაც: წლების შემდეგ მოჭადრაკეები იზრდებიან და მათი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მეტი და მეტი რესურსია საჭირო - როგორც ფინანსური, ისე - ადამიანური. ადამიანურში მწვრთნელთა კვალიფიკაციას ვგულისხმობ. ჩვენში მხოლოდ ორიოდე მაღალი კლასის მწვრთნელია, რაც არასაკმარისია, მაგრამ იმათაც რომ მთელი დატვირთვით იმუშაონ, შესაბამისი ხელშეწყობა და სტიმული სჭირდებათ? ასევე ვართ მოჭადრაკეები - კაცი არაა ჩვენი პატრონი და შედეგებს კი ითხოვენ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ არასდროს არ მყოლია სპონსორი, ფინანსური შემწე და მეოხი, რომელიც ყველა პრობლემას მოაგვარებდა. არადა, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ვარ ასაკობრივ ჯგუფებში და 16-წლამდელთა შორის მსოფლიო ჩემპიონიც გავხდი. იქ ისეთ მოჭადრაკეებს ვაჯობე, რომელთა ნაწილიც დღეს მსოფლიო საჭადრაკო ელიტაში შედის; ასეთი მიღწევა სხვა ქართველებსაც აქვთ, მაგრამ დღეისთვის უპირატესობა დაკარგული გვაქვს. ამით იმის თქმა მსურს, რომ ნიჭით არავის ჩამოვუვარდებით, პირიქით - თითქმის ყველას ვჯობნით, მაგრამ მხოლოდ ნიჭით გარკვეულ ეტაპზე მიდიხარ, შემდეგ სხვაგვარი მიდგომებია საჭირო და ვინც ეს მხარე მოაწესრიგა, შედეგიც მიიღო. თვალსაჩინო მაგალითია ჩვენი მეზობლების - აზერბაიჯანელების წარმატება: შახრიარ მამედიაროვი და თეიმურ რაჯაბოვი მსოფლიოს ათეულში შედიან, არადა, ჩვენ ბავშვობაში მათზე ცუდი შედეგები არ გვქონია. აზერბაიჯანში ნიჭიერებას სახელმწიფომ უდიდესი ყურადღება დაუთმო, დააფინანსა და შედეგიც შესაბამისი მიიღეს. ასევეა სომხეთშიც, რომელთა ეროვნული ნაკრები ბოლო ოლიმპიადის ჩემპიონიც კი გახდა.

**- ახლა წმინდა საჭადრაკო კუთხით გამოვარჩიოთ დასრულებული ჩემპიონატი. სათამაშო ხარისხი მაღალი იყო?**

- ცუდი ნამდვილად არ გახლდათ, მაგრამ, ისევ და ისევ, ნოკაუტ-სისტემის სპეციფიკიდან გამომდინარე, რთულია მოჭადრაკეებს მაღალი დონის ჭადრაკის თამაში მოსთხოვო - ძალიან დიდია ფსიქოლოგიური წნეხი და ასეთ დროს ხარისხი, როგორც წესი, იკლებს. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ დასაწუნი ჩემპიონატს ამ მხრივ არაფერი ჰქონდა; ჩემი თამაშითაც კმაყოფილი ვარ - გარდა იმისა, რომ გავიმარჯვე, პარტიათა ხარისხიც არ იყო ურიგო...

**- ჩვენს ადრინდელ საუბარში აღნიშნე, რომ სადებიუტო მომზადება სათანადო დონეზე არ გქონდა. ამ მხრივ თუ გამოაკეთე მდგომარეობა.**

- ეს პრობლემა რომ დაძლიო, კომპეტენტურ მწვრთნელებთან მუშაობაა საჭირო, თანაც ხანგრძლივი დროით. როგორც უკვე გითხარით, ჩვენთან არც მწვრთნელს და არც მოჭადრაკეს მუშაობის არანაირი სტიმული არა აქვთ, ამიტომ ამ მხრივ დიდ პროგრესს არ უნდა ელოდოთ. არ მოგატყუებთ და მეც ისევ ისეთ მდგომარეობაში ვარ - სისტემატურ წვრთნას ვერ გავდივარ და ერთადერთი, რითაც შეიძლება სათამაშო რიტმი შევინარჩუნო, ინტერნეტით თამაშია. თუმცა ზრდისთვის, ინტერნეტში თამაში, ცხადია, არასაკმარისია...

**- ამის მიუხედავად, რეიტინგში მაინც იმატებ და სერიოზულ მიზნებს ისახავ. წელს რა გეგმები გაქვს? სად აპირებ თამაშს?**

- ორიოდ დღეში დუბაის საერთაშორისო ტურნირში ვითამაშებ, რომელშიც საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა იყრის თავს. სხვათა შორის, დუბაის ტურნირი 2003 წელში ბაადურ ჯობავამ მოიგო, შარშან კი მე გავიმარჯვე. იმედი მაქვს, რომ წელსაც იგივე შედეგს მივაღწევ. დუბაიდან დაბრუნების შემდეგ სამ დღეში გეზს ბულგარეთის ქალაქ პლოვდივისკენ ავიღებ, სადაც ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი გაიმართება. ევროპის ჩემპიონატი ბევრად ძლიერი ტურნირია, მაგრამ იქაც წარმატებას ვგეგმავ და მჯერა, რომ შევძლებ კიდეც სასურველი შედეგის ჩვენებას.

**- ღმერთმა ხელი მოგიმართოს და ჩვენც იმედიანად ვიქნებით. ერთსაც გკითხავ: ოლიმპიადამდე როგორ აპირებ სათამაშო პრაქტიკის შევსებას?**

- ოლიმპიადამდე დიდი დროა - ნოემბერში ტარდება, ამიტომ მანამდე სხვადასხვა ტურნირებში ვითამაშებ. კერძოდ რომელში, ჯერ ვერ გეტყვით. ამას გარდა, თურქული და ესპანური კლუბების წევრი ვარ და მათი სახელითაც მომიწევს თამაში. ასე რომ, პრაქტიკა არ მომაკლდება და იმედია, წარმატებით დაწყებულ წელს, ასევე დავამთავრებ. მთავარი მაინც ოლიმპიადაზე კარგი შედეგის ჩვენებაა და მჯერა, რომ დრეზდენიდან თავაწეულები დავბრუნდებით.

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ნოდარ შენგელიასთან

# თამაში ლიტვაში, მოტეხილი ფეხით

**ლიტვის მეორე ლიგაში გამოსვლა ნაადრევად დაასრულა ნოდარ შენგელიამ. მან ვილნიუსის პირველობაზე ფეხი მოიტეხა და ლიტვის ჩემპიონატში "აკადემიის" დახმარება ველარ შეძლო. საკუთარი ჯანმრთელობასა და გუნდის გამოსვლაზე თავად ნოდარი მოგვითხრობს.**

- მარჩულიონისის აკადემიასთან ერთად ლიტვის მეორე ეშელონშიც ვთამაშობდი და დედაქალაქის პირველობაზეც. ტრავმა სწორედ ვილნიუსის ჩემპიონატში მივიღე - ტერფის ძვალი გამიტყდა. მესამე ტაიმში დაშავებულმა შეხვედრა ბოლომდე ჩავამთავრე. ხოლო მეორე დღეს მეორე ლიგის მატჩის სათამაშოდ გამოვედი. მართალია, მოედანზე მხოლოდ 3 წუთი გავატარე, მაგრამ ამ მცირე დროში ტრავმა სერიოზულად გამიმიზეზდა და მას შემდეგ ვმკურნალობ.

**- ფეხის სრულად მოშუშებას რა დრო დასჭირდება?**

- ტრავმირებულ ტერფზე თაბაშირი მადევს, იგი ექიმების კონტროლის ქვეშაა. შეხორცების პროცესი მთლად სახარბიელოდ არ მიმდინარეობს. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ თაბაშირს მალე მოვიხსნი.

**- "აკადემია" უმაღლეს ლიგაში მოხვედრისთვის ბრძოლას უკვე გამოეთიშა...**

- გუნდი მეოთხედფინალიდან გამოვარდა და ახლა მეშვიდე-მერვე ადგილებისთვის თამაშობს. სამწუხაროდ, პლეი ოფში ზედიზედ 7 მატჩი წავაგეთ.

**- როგორც წესი, მწვრთნელი 5-10 წუთს გათამაშებს. ერთ მერვედფინალში გენდო და შენც ორმაგი დუბლი შეასრულე. ნელ-ნელა ფორმაში შეხვდი, თუ...**

- როგორც უკვე ვთქვი, ლიტვის მეორე ლიგის პარალელურად, დედაქალაქის პირველობასა და მოსწავლეთა ჩემპიონატში ვირჯები. ურიგო ფორმაში არ ვყოფილვარ. ჩემს უთამაშებლობას სხვა მიზეზი აქვს - მწვრთნელი არ მენდობა!

**- რატომ?**

- რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ჩემს მწვრთნელს ქართველები არ უყვარს. უფრო სწორად: ლიტველი სპეციალისტები ზედმეტად პატრიოტები არიან და ლეგიონერებს არ სწყალობენ. "აკადემიის" თავკაცი მხოლოდ მაშინ მათამაშებს, როცა სხვა სათანადოდ ვერ ირჯება, ან ძალისმიერი ბრძოლაა საჭირო - 204 სმ სიმაღლისა ვარ და 107 კილოგრამს ვიწონი.

**- მომავალი სეზონისთვის "აკადემიას" დატოვებას ხომ არ აპირებ?**

- გუნდთან 7-წლიანი კონტრაქტი მაკავშირებს, რომლის მიხედვით საწყისი 4 წლის შემდეგ ხელშეკრულების გაწყვეტის უფლება მეც მქონდა და კლუბსაც. მას შემდეგ, რაც "აკადემიის" ღირსებას ვიცავ, 4 წელი გავიდა, ამიტომ კონტრაქტის გაუქმების უფლება მაქვს. თუმცა აჩქარებას არ ვაპირებ, ჯერ სასურველ გუნდს მოვნახავ და "აკადემიასთან" ხელშეკრულებას მას შემდეგ გავწყვეტ. ახალი კლუბის ძიების საკითხზე ჩემი მენეჯერი მუშაობს.

**- მარჩულიონისის აკადემიას უფროსობის მხრიდან კონტრაქტის გაგრძელებაზე საუბარი არ ყოფილა?**

- "აკადემიის" ხელმძღვანელებს ჩემი დატოვება სურთ. თუ სხვა გუნდს ვერ ვნახავ, ისევ ლიტვაში დავბრუნდები და ერთ სეზონს "აკადემიკოსების" რიგებში ჩავამთავრებ. მოკლედ, საკონტრაქტო საკითხებზე ჯერ კონკრეტულად საუბარი ნაადრევია.

**- ამ ზაფხულს ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი გელის. მანამდე მწყობრში ჩადგომას ხომ მოასწრებ?**

- სანაკრებო მატჩებს ოპტიმალურ ფორმაში უნდა შევხვდე, მაგრამ საკითხავი ისაა - ჭაბუკთა ნაკრებში გამომიძახებენ თუ ახალგაზრდულში.



ნოდარ შენგელია

**- სად გირჩევნია?**

- რა თქმა უნდა, ახალგაზრდულში. მაგრამ მთავარია, მწვრთნელები რას გადაწყვეტენ.

**- ბოლოს ტატო ვაშაკიძეზე გკითხავ, რომელიც "პუნტუკასის" ლიდერია.**

- მართალია, ტატოს გუნდი ლიტვაში ვარსკვლავებს ვერ წყვეტს, მაგრამ თავად ვაშაკიძე "პუნტუკასის" ერთპიროვნული ლიდერია და ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებში გასინჯვასაც იმსახურებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი. ლეგიონერები

# ორი ტური დარჩა

**საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ ფედერალურ დივიზიონში ქართველ მორაგბეთა სამი გუნდიდან ორი ჯგუფის ლიდერია. თუმცა, დარჩენილ ორ ტურში ყველა მათგანს ასპროცენტიანი შედეგი სჭირდება, რათა მეორე დივიზიონში გადასასვლელად ბრძოლა გააგრძელოს.**

A ჯგუფში **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით გასვიანის** "ბობინიმ" საკუთარ მოედანზე "არჟელეს" სძლია 16:3 და ჯგუფის ლიდერს "შალონს" 1 ქულით ჩამორჩება. გასვიანს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. სუთიაშვილი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ირჯებოდა. შალონი - 14 ქულა, **ბობინი - 13,** არჟელე - 8, ობენა - 1

D ჯგუფში **თედო ზიბზიბაძის** "პერიგომ" გასვლით შეხვედრაში წააგო უშუალო კონკურენტ "ლანამეზანთან" 7:12, თუმცა, მაინც ერთპიროვნულად ლიდერობს გათამაშებას. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა და 56-ე წუთზე არბიტრმა მოედნიდან 10 წუთით გააძევა. **პერიგო - 13 ქულა,** ლანამეზანი - 12, ლავორი - 10, ვანი - 2

E ჯგუფის ლიდერი კი **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანია", რომელმაც ჯგუფური ტურნირის მე-4 ტურის მატჩში შინ რაგბისთვის უჩვეულო ანგარიშით 3:0 სძლია "დიჟონს". აბუსერიძემ თავიდან ენკოს "რუანმა" გუნდიშვილის "მიოს" უმასპინძლა და 27:9 დაამარცხა. ნიკოლაენკო თამაშში 51-ე წუთიდან ჩაერთო. **ალექსანდრე მარგველაშვილის, ზურაბ მჭედლიშვილისა და გიორგი ნემსაძის** "დომონმა" შინ დიმა პავლოვის "ნიცი" დაამარცხა 19:3. მჭედლიშვილმა და მარგველაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშეს. პავლოვი განაცხადში არ იყო. ნემსაძე საქართველოს ნაკრებში იყო გამოძახებული. **რუანი - 49 ქულა, დომონი - 44, ნიცი - 37, მიო - 12**

B ჯგუფში თავი ქუდში აქვს **ვიქტორ დიდებულიძის, გიორგი ჩხაიძისა და დავით დადუნაშვილის** "მასის". პარიზელებმა მე-4 ტურში აუტსაიდერი "ფლორანსი" დაამარცხა 28:8. დიდებულიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ჩხაიძე და დადუნაშვილი საქართველოს ნაკრებში იყვნენ. ლა სეინი - 47 ქულა, **მასი - 46,** გროლე - 34, ფლორანსი - 12

E ჯგუფში ორივე ქართული კლუბი დამარცხდა. **დიმა ხოჭოლავას** "სერჟი პონტუაზმა" სტუმრად წააგო "ლურდესთან" 5:16. **პალიკო ჯიმშელაძის** "შამბერი" კი "ლანჟონისთან" დამარცხდა ასევე სტუმრად 13:16. ხოჭოლავა თამაშში 55-ე წუთიდან ჩაერთო, ჯიმშელაძე განაცხადში არ იყო. ლურდი - 40 ქულა, ლანჟონი - 37, **სერჟი პონტუაზი - 29, შამბერი - 26**



ვიქტორ დიდებულიძე, მასი

ბოლომდე ითამაშა. **ორლეანი - 13 ქულა,** მარმანდი - 12, დიჟონი - 9, რომანსი - 3

**დივიზიონში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლთა შორის, ფაქტობრივად, გასავარდნად არიან განწირული ირაკლი გუნდიშვილის "მიიო" და პალიკო ჯიმშელაძის "შამბერი". დარჩენის შანსს ჯერაც ინარჩუნებენ დიმა ხოჭოლავას "სერჟი პონტუაზი" და დიმა პავლოვის "ნიცი".**

A ჯგუფში ლიდერმა სოსო ნიკოლა-

F ჯგუფში არაფერი ემუქრება **სანდრო ესაკიას "სენ ნაზერს"**, რომელმაც შინ **ელიზბარ ყუფარაძის** "ვილერბანი" დაამარცხა 17:3. ყუფარაძე განაცხადში არ იყო. ესაკიამ კი თავიდან ბოლომდე ითამაშა. ამავე ჯგუფში ლიდერმა "მორლამ" შინ დაამარცხა "რუმიი" 17:3. მორლა - 48 ქულა, **სენ ნაზერი - 43, ვილერბანი - 33,** რუმიი - 20

**ბესიკ ჯანგავაძე**

ლეგიონერები

# მანუ ვარსკვლავთა მატჩს გამოტოვებს

"აზოვმაშ"-"კიევის" მატჩის მიმოხილვაში გაცნობეთ, რომ **მანუჩარ მარკოიშვილის** უთამაშებლობის მიზეზი ტრავმა იყო. ახლა დავაზუსტებთ - მანუს მუხლი აწუხებს და რამდენიმე დღე დასვენება მოუწევს.

ტრავმის გამო ქართველ ფორვარდს უკრაინის "ოლ სტარის" გამოტოვება მოუწევს. დონეცკში 5 აპრილს გასამართ ვარსკვლავთა მატჩში მარკოიშვილი სამქულიანების კონკურსში უნდა გამოსულიყო. ვინ შეცვლის მანუს, ამის შესახებ უკრაინელებს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ.

# ფაცაციამ არკანზასი დატოვა

ამერიკულ პრესაში გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, **დიმიტრი ფაცაცია** კოლეჯების პირველი ლიგის ბინადარ "არკანზასის" კოლეჯში აღარ ითამაშებს. ფაცაციასთან ერთად სასწავლებლის საკალათბურთო გუნდი ნეით რუიკსტროუმ დატოვა. მოთამაშეებს წასვლისთვის ერთი და იგივე მიზეზი ჰქონდათ - სათამაშო დროის ნაკლებობა. სად გააგრძელებს ფაცაცია კარიერას, ამას უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**

ბატუტზე ხტომა. საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი

# წლეულს ევროპა, გაისად მსოფლიოზე მედლებისთვის

**თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალში დამთავრდა საქართველოს 18-წლამდელ ბატუტზე მხტომელთა ჩემპიონატი. აღნიშნული ფილიალის 2 გუნდის გარდა, შეჯიბრებაში მონაწილეობდა აფხაზეთის, აჭარის, იმერეთისა და გარდაბნის 70 სპორტსმენი.**

ვაჟთა შორის სპორტის ოსტატობის პროგრამით ჩემპიონობა არავის დაუთმო თბილისელმა **გიორგი ფუტკარაძემ.** მეორე- მესამე ადგილები კი შესაბამისად, გაიყვეს ასევე დედაქალაქელებმა - **ზურაბ ნოზაძემ** და **რუსტამ კალოევმა.** ამავე დისციპლინაში, გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: 1. **ლიკა სამხარაძე** (თბილისი), 2. **თამარ კაკაშვილი** (აჭარა), 3. **თეონა ჯანჯღავა** (თბილისი).

სპორტის ოსტატობის კანდიდატებს შორის გაიმარჯვა **ანა ოდიშვილმა** (თბილისი), უფროსთა პირველი თანრიგები მოიგეს **ლაშა გაბაშვილმა** (თბილისი) და **ანა სონღულაშვილმა** (გარდაბანი), ხოლო უმცროსებში პირველთანრიგოსნობა გაინაღდეს **გიორგი ენუქიძემ** და **მარი ზაბახიძემ** (ორივე თბილისი).

**შეჯიბრების მთავარი მსაჯი - საქართველოს ნაკრების თავკაცი ზაურ სულაშვილი ახალი თაობით ფრიად კმაყოფილი ჩანდა:** - უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდი ფილიალის დირექტორ როზა ბერიკაშვილს, ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ რუსუდან ხოფერიასა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ჩემპიონატის ორგანიზებაში გაწეული თანადგომისთვის. საკმაოდ ბევრი პერსპექტიული ახალგაზრდა დავინახე. გიორგი ფუტკარაძე, ზურაბ ნოზაძე, რუსტამ კალოევი, გოგი სონღულაშვილი, ლიკა სამხარაძე, თამარ კაკაშვილი, ანა ოდიშვილი, ნანა გოგაშვილი, თეონა ჯანჯღავა და თინათინ ჩადუნელი - ეს ის ბატუტისტები არიან, რომლებიც ყველაზე მეტად მომეწონა და რომლებიც ქართული ბატუტზე ხტომის ხვალინდელ დღედ მიმაჩნია. წლევანდელ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ორი სპორტსმენით წარვდგებით, გაისად კი მსოფლიოს ახალგაზრდულ პირველობაზე უფრო მეტ სპორტსმენს წავიყვანთ და იქ მედლებისთვის ვიბრძოლებთ.

სასიამოვნოა ისიც, რომ უფროს ასაკში საქართველოს ნაკრების წამყვანი სპორტსმენები მსაჯობით ინტერესდებიან და აქედანვე ცდილობენ ამ პროფესიის დაუფლებას. რა თქმა უნდა, მათ გვერდში ვუდგავართ და ყველანაირად ვეხმარებით. 18-წლამელთა საქართველოს ჩემპიონატზე მსაჯების როლში წარდგნენ **ლუბა გოლოვინა, თენგიზ კოშკაძე, ნანა ლუჭაშვილი** და **სოფო გულიაშვილი,** რომლებმაც საკმაოდ კარგად გაართვეს დაკისრებულ მოვალეობას თავი...

**კობა ხატისაშვილი**

ბილიარდი

# ჩემპიონი ცხენოსანია



ეკა მხეიძე და ომარ გელაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ცნობილია, რომ ბილიარდს ბევრი მიმდევარი ჰყავს - თამაშობენ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანები. სხვათა შორის, ბილიარდის თამაშით გატაცებულნი არიან სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც და ისინი ხშირად მაღალ შედეგებსაც აღწევენ. 21 წლის **ომარ გელაშვილი,** მაგალითად, ცხენოსანია, საქართველოს ნაკრების წევრი, წარმატებით ასპარეზობს სხვადასხვა შეჯიბრებებში დაბრკოლებათა გადალახვაში, თავისუფალ დროს კი ბილიარდში იმაღლებს ოსტატობას. სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა ამ დღეებში თბილისში ბილიარდის კლუბ "რიოში" გამართული საქართველოს პირველობა პულში. ომარმა ფინალში **ნოდარ მთავრიშვილს** სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა.

ქალთა შორის გაიმარჯვა **თეონა შარეიძემ,** რომელმაც ფინალში **ეკა მხეიძეს** აჯობა.

**თორნიკე ბაჩეჩილაძე**

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# სწორება კიმიზე


რობერტ კუბიცა


სებასტიან ფეტელი


ფერნანდო ალონსო

ფორმულა 1-ის 59-ე მსოფლიო ჩემპიონატის პირველ ორ ეტაპზე ფელიპე მასას შეცდომების სერიამ და სკუდერიაზე ტოდტების კლანის გავლენის შემცირებამ, ბრაზილიელი პილოტის "ფერარიდან" გაშვების შესახებ ჭორების პროვოცირება მოახდინა. ევროპული პრესა მასას პოტენციური შემცვლელების სიას აანალიზებს.

მასმედიის ჭორი კი აქტიურობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბრაზილიელის მოქმედების გამო ლუკა დი მონტეძემელომ ("ფერარის" პრეზიდენტი) სამართლიანი აღშფოთება გამოხატა, თავისი უკმაყოფილება ვერ დამალა სტეფანო დომენიკალიმაც (სპორტული დირექტორი). საყოველთაო უკმაყოფილების ფონზე, ხმა აიმაღლა "ფერარის" ექს-შეფმა ჩეზარე ფირიომაც. მან ბრაზილიელის მოშორების სურვილი და მისი რომელიმე პერსპექტიული პილოტით შეცვლა ისურვა. ამ სპეციალისტმა პრეტენდენტთა რიცხვში სამი ავტომრბოლი შეიყვანა - სებასტიან ფეტელი, რობერტ კუბიცა და ფერნანდო ალონსო. მოდით გავერკვიოთ, რით დაიმსახურა ამ ტრიომ სკუდერიას ინტერესი.

## რობერტ კუბიცა

**პლიუსები**. 2008 წლის ბოლოს, პოლონელს "BMW-ზაუბერთან" კონტრაქტი ეწურება და ის თავისუფალი აგენტი გახდება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს კუბიცას ხელფასი ძლივს უახლოვდება 5 მილიონს, აპენინელებს პილოტის დასაკმაყოფილებლად განსაკუთრებით ჯიბეზე ხელის გაკვრა არ დასჭირდებათ. პოლონელს საოცარი შრომისმოყვარეობა და ფიზიკური ამტანობა ახასიათებს, რასაც მარანელოში აფასებენ და მოსწონთ. რამდენიმე ენის ცოდნა (მათ შორის, იტალიურის) და რბილი ხასიათი, კუბიცას მექანიკოსებთან და ინჟინრებთან ურთიერთობას გაუადვილებს.

**მინუსები**. მანქანის მართვის არასტანდარტული მანერა კარდინალურად განსხვავდება **კიმი რაიკონენის** სტილისგან. კუბიცამ ძალიან უნდა მოინდომოს, რათა შასი თავისი მოთხოვნების მიხედვით გადააწყობინოს. საქმე ისაა, რომ F2008 ძალიან მგრძნობიარეა საჭესთან და სატერფულებთან მუშაობისას. ხოლო იმის გამო, რომ 2009 წლის ბოლიდის შექმნისას, საერთო კონსტრუქციის სტრუქტურა და ფილოსოფია დიდად არ შეიცვლება, პოლონელს დიდი ოფლის ღვრა მოუწევს იმისთვის, რათა კომპრომისი გამონახოს.

გარდა ამისა, კუბიცა არ აპირებს, შეურიგდეს მეორე პილოტის სტატუსს, თუმცა გრძნობს, რომ მსგავსი ტაქტიკის გამოყენების შემთხვევაში, გუნდს დიდი სარგებელი ექნება. ინტერვიუში მას არაერთხელ უთქვამს, რომ არ აღიარებს თანაგუნდელის ხელოვნურად დაწინაურებას და საჭურველთმტვირთავის როლს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეასრულებს, როცა ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი აღარ ექნება.

## სებასტიან ფეტელი

**პლიუსები**. მიუნხენელი ვუნდერკინდი იდეალურად ერგება მეორე პილოტის სტატუსს. როგორც რაიკონენი, ფეტელი საკუთარ ინსტინქტებს უფრო ენდობა, ვიდრე წინასწარ გათვლებსა და ელექტრომოწყობილობების მაჩვენებლებს. საკმაოდ აკურატულია მოსახვევების გავლისას. მოთმინების უნარი გააჩნია - შეუძლია ერთნაირი წარმატებით დაელოდოს შეტევის მომენტს და დაიცვას საკუთარი პოზიცია.

სებს სწავლისკენ აქვს მიდრეკილება - ძალიან სწრაფად ისრუტავს გამოცდილი კოლეგების საუკეთესო თვისებებს. დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ მოსახვევების გავლისას ნაკლები დროის დახარჯვა, **ნიკ ჰაიდფელდთან** ნაცნობობისა და თანამშრომლობის შედეგია.

**მინუსები**. პოტენციური დამქირავებლის ყველაზე დიდი პრობლემა ფეტელის კონტრაქტის ჩახლართულობაა. ფეტელზე უფლებები "ტორო როსოს" მფლობელ **დიტრიხ მატეშიცს** ეკუთვნის, რომელთანაც პილოტს პირადი შრომითი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. მაგრამ ამასთან, დოკუმენტში არსებობს პუნქტი, რომლის მიხედვითაც "BMW-ზაუბერს" 2009 წლის დეკემბრამდე, სეზონებს შორის პაუზის დროს, სრულად შეუძლია სებას კონტარქტის გამოსყიდვა. ხოლო თუ გერმანელის მიმართ რომელიმე სხვა გუნდი გამოთქვამს ინტერესს, პრიორიტეტი მაინც ბავარიელებს დარჩებათ - მხოლოდ BMW-ის ოფიციალური უარის შემთხვევაში გახდება შესაძლებელი მესამე მხარესთან მოლაპარაკებები.

ფეტელს კონცენტრაციის დაკარგვა სჩვევია. ხანდახან ეს დაღლილობის გამო ხდება, ხანდახან ახალგაზრდა ასაკი და წარმატების მიღწევის გადამეტებული სურვილია მიზეზი. იაპონიაში შანდელი ავარია კარგად წარმოაჩენს პილოტის არასტაბილურობას. გერმანელს დღემდე ვერ აუხსნია, რატომ შეეჯახა მისი STR2 **მარკ უებერის** ბოლიდს.

დაბოლოს, ფეტელის ნაკლად უნდა ჩავთვალოთ გამოუცდელობა და ფსიქოლოგიური გაუწაფავობა. თუ ის სკუდერიაში აღმოჩნდება, ფორმულა 1-ში სებასტიანის მშვიდ ცხოვრებას ჟურნალისტები თავიანთი გადამეტებული ინტერესით მომენტალურად პრობლემებს შეუქმნიან. და ვინ იცის, რამდენად წარმატებით შეძლებს სება ამ ზეწოლისთვის გამკლავებას.

## ფერნანდო ალონსო

**პლიუსები**. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი დამატებით რეკლამას არ საჭიროებს. ბრწყინვალე პილოტი, რომელიც არ გრძნობს დისკომფორტს როგორც შეტევის, ასევე დაცვის დროს. შესანიშნავი სპეციალისტი, რომელიც მანქანას საკუთარი ხუთი თითივით იცნობს.

ალონსო რეკლამირებული ბრენდია, რომელსაც საჯინიბოში სოლიდური სპონსორები და სავაჭრო პარტნიორები მიჰყავს... მარტივად რომ ვთქვათ, ეს არის თანამედროვე ფორმულა 1-ში ნებისმიერი ელიტური გუნდისთვის გემრიელი ლუკმა.

**მინუსები**. მთავარი პრობლემა ნანდოს სამსახურის ანაზღაურებაა. მოქმედ პილოტებს შორის, მას ყველაზე მაღალი ხელფასი აქვს, თანაც ბონუსები და დამატებითი შემოსავლებიც არავის გაუუქმებია.

მეორე პრობლემა - მისი მართვის მანერა თითქმის აბსოლუტურად განსხვავდება კიმის პილოტირების ტექნიკასთან. ასე რომ, ამ პილოტების შორის რაიმე ტექნიკურ თანამშრომლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

და მესამე - "ფერარიში" არავინ არ იზრუნებს ალონსოს ვარსკვლავური სტატუსის გამყარებაზე და არავინ აღიარებს მის განსაკუთრებულობას. სკუდერია შარშან დარწმუნდა, რომ კიმიზე არჩევანის გაკეთებისას არ შემცდარა და შესაბამისად, არ დაუშვებს საჯინიბოში არსებული სიმშვიდე და ჰარმონია ახალბედას ისევე დაარღვევინოს, როგორც ეს ალონსომ "მაკლარენში" გააკეთა. საკითხავია, შეძლებს კი ნანდო შეელიოს თავის ჭარბი თავმოყვარეობის ნაწილს, რათა მარანელოში დაიმკვიდროს ადგილი?

**გია თვალაბეიშვილი**

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**მინესოტა-დეტროიტი 90:94**
30:18, 19:26, 23:21, 18:29
**მ:** ჯეფერსონი (26+7 მოხსნა), ფოიე (18), იარიჩი (10), ბრიუერი (10).
**დ:** სტაკი (27), პრინსი (15+6 პასი), ერმანი (11).

**ჩიკაგო-ბოსტონი 92:106**
17:22, 26:28, 30:29, 19:27
**ჩ:** ტომასი (24+7 მოხსნა), ნოჩიონი (19), დენგი (10).
**ბ:** ალენი (22), გარნეტი (20+7 მოხსნა+4 დაფარება), პირსი (17), პოუსი (11+7 მოხსნა).

**ორლანდო-ნ. ორლეანი 97:98**
27:21, 26:23, 23:30, 21:24
**ო:** თურქოგლუ (26+7 პასი), ლუისი (24), ჰოვარდი (17+15 მოხსნა), ბოგანსი (11), ევანსი (11).
**ნ-ო:** როლი (19+12 პასი), პიტერსონი (19), უესტი (18+11 მოხსნა), ჩენდლერი (12+7 მოხსნა), სტოიაკოვიჩი (10+7 მოხსნა).

**დენვერი-ფინიქსი 126:120**
36:28, 34:37, 31:30, 25:25
**დ:** აივერსონი (31), ეტონი (25+8 მოხსნა), მარტინი (18+8 მოხსნა), სმიტი (17), კემბი (6+11 მოხსნა), კარტერი (8+10 პასი+6 ჩაჭრა).
**ფ:** ბარბოზა (27), ა. სტაუდმაიერი (25+10 მოხსნა), ნეში (17+18 პასი), გირიჩეკი (16), ო'ნილი (14+13 მოხსნა).

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 97:108**
32:35, 25:22, 16:21, 24:30
**ნ-ჯ:** კარტერი (29+7 პასი), ჰარისი (22), ჯეფერსონი (14+6 პასი), ნახბარი (14).
**ფ:** მილერი (24+11 მოხსნა), იგუოდალა (17), გრინი (16), დალემბერი (15+13 მოხსნა+5 დაფარება), უილიამსი (13).

**მილუოკი-ნიუ იორკი 119:115 (ო)**
27:31, 32:30, 18:27, 32:21, 10:6
**მ:** რედი (36+9 პასი), ბოგუტი (24+13 მოხსნა), სიმონსი (24).
**ნ-ი:** რიჩარდსონი (22), კროუფორდი (19+8 პასი), რენდოლფი (19+10 მოხსნა), ჩენდლერი- (12), ლი (11).

**გ. სტეიტი-ს. ანტონიო 116:92**
35:34, 25:17, 26:22, 30:19
**გ-ს:** დევისი (19+6 მოხსნა), ელისი (14), უოტსონი (13).
**ს-ა:** პარკერი (26+7 პასი), დანკანი (17+12 მოხსნა+3 დაფარება), ჯინობილი (16+7 მოხსნა), ფინლი (13), ბოუენი (12+7 მოხსნა), ობერტო (8+10 მოხსნა).

**საკრამენტო-ჰიუსტონი 99:98**
28:29, 21:17, 28:30, 22:22
**ს:** არტესტი (30+5 ჩაჭრა), მარტინი (27), მური (11), მილერი (10+7 მოხსნა).
**ჰ:** მაკგრეიდი (32+7 მოხსნა), სკოლა (20+8 მოხსნა), ელსტონი (16+8 პასი), მუტომბო (11+7 მოხსნა).

## ევროლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

**ცსკა-ოლიმპიაკოსი 74:76**
20:24, 12:15, 20:23, 22:14
**ც:** სმოდიში (21+5 მოხსნა), ანდერსენი (15), შიშკაუსკასი (12), ლენგდონი (10).
**ო:** ვუდსი (20), ლ. გრირი (19+6 პასი), ვასილოპულოსი (14), ბლეკნი (10).
**სერია: 0:1**

**მაკაბი-ბარსელონა 81:75**
16:14, 20:15, 21:28, 24:18
**მ:** ე. ბატისტა (15), ტ. მორისი (14+10 მოხსნა), ვუიჩიჩი (12+6 მოხსნა), ბინუმი (11), ჰალპერინი (11).
**ბ:** ილიასოვა (21+9 მოხსნა), ბაზილე (17), კასუნი (12).
**სერია: 1:0**

**ტაუ-პარტიზანი 74:66**
18:16, 18:22, 20:12, 18:16
**ტ:** პლანინჩიჩი (18), რაკოჩევიჩი (15).
**პ:** კეჩმანი (13), პეკოვიჩი (12), პალასიო (10+3 ჩაჭრა), ველიჩკოვიჩი (10+8 მოხსნა).
**სერია: 1:0**

**მონტეპასკი-ფენერბახჩე 73:66**
23:16, 16:20, 16:15, 18:15
**მონტეპასკი:** კ. ლავრინოვიჩი (16+3 ჩაჭრა), ტორნტონი (14), მაკინტაირი (12).
**ფენერბახჩე:** ერდენი (12+7 მოხსნა), კინსი (12+4 ჩაჭრა), სოლომონი (11), კაანი (11).
**სერია: 1:0**

ევრო 2009

# გორდონი ბრიტანეთის ნაკრებში

"ჩიკაგო ბულზის" შემტევი მცველი **ბენ გორდონი** იმ 33 კალათბურთელს შორის შეიყვანეს, რომლებიც ბრიტანეთის ნაკრების რიგებში, ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის დაიწყებენ მზადებას. ეს შეჯიბრი წელს, სექტემბერში გაიმართება.

24 წლის გორდონი ლონდონშია დაბადებული, მაგრამ ბავშვობაში ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად. ის პირველად მიიწვიეს ბრიტანეთის ეროვნულ გუნდში.

უნდა აღინიშნოს, რომ კალათბურთელს ჯერ არ მიუცია ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში თამაშის თანხმობა - ნაკრების მთავარი მწვრთნელი უახლოესი ორი კვირის განმავლობაში აპირებს ამერიკაში გამგზავრებას. სხვათა შორის, ბრიტანეთის ნაკრებში უკვე თამაშობს "ჩიკაგოს" კიდევ ერთი ლიდერი, 22 წლის ფორვარდი **ლუოლ დენგი**.

**გია თვალაბეიშვილი**

საავარაუდო ტრანსფერი

# ელისი ჰიუსტონში მიდის

"გოლდენ სტეიტის" ერთ-ერთმა საუკეთესო მოთამაშემ, მსროლელმა **მონტა ელისმა** ჟურნალისტებს გაუმხილა, რომ მის აგენტს "ჰიუსტონ როკეტსიდან" დაურეკეს და მომავალი სეზონიდან ტეხასურ გუნდში თამაში შესთავაზეს. ელისის თქმით, მას კალიფორნიელებთან კიდევ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ "ჰიუსტონის" მიერ შეთავაზებული პირობები იმდენად სარფიანია, რომ იგი მზად არის, წელსვე დაარღვიოს ხელშეკრულება "მეომრებთან" და "როკეტსში" გადავიდეს.

ცხადია, მონტას კომენტარმა "მეომართა" მთავარი მწვრთნელი, **დონ ნელსონი** გაანაწყენა: *"ჩვენი გუნდი საპლეიოფო ბრძოლაშია ჩაბმული. ელისი "გოლდენ სტეიტის" ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა და ამ ეტაპზე ასეთი ტიპის განცხადება უარყოფითად მოქმედებს გუნდზე. ისე, თუ ვინმეს სხვაგან გადასვლა სურს, აქ ძალით არავის ვაკავებთ."*

ელისი, რომელიც შარშან ლიგის ყველაზე გაუმჯობესებულ მოთამაშედ დაასახელეს, სეზონის დაწყებამდე "დალასში" გადასვლას გეგმავდა, მერე კი გადაიფიქრა და "უორიორზში" დარჩა.

**ზურაბ თალაკვაძე**

ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# ნაკრები პიჩკოკს ჩააბარეს

მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე კანადის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ცნობილ სპეციალისტს, **კენ ჰიჩკოკს** ანდეს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც გაირკვა, რომ "კოლამბუსი" ველარ ხვდებოდა პლეი ოფში. სწორედ ამ გუნდის მთავარი მწვრთნელი გახლავთ ჰიჩკოკი.

56 წლის მწვრთნელს სანაკრებო დონეზე ადრეც არაერთხელ უმუშავია. 2002 და 2006 წლების ოლიმპიადებზე ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო, ასევე მუშაობდა ეროვნულ გუნდში 2004 წლის მსოფლიო თასზე და 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

რაც შეეხება საკლუბო დონეს, ჰიჩკოკმა "დალასს" 1999 წელს სტენლის თასი მოაპოვებინა.

*"საერთაშორისო არენაზე ჰიჩკოკის გამოცდილება ოქროს მედლის მოპოვების დიდ იმედს გვაძლევს"*, - ამბობს კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერი **სტივ აიზერმანი**.

კანადელები მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადებას 24 აპრილს დაიწყებენ. სხვათა შორის, პირველად ბოლო 20 წლის განმავლობაში, პლანეტის პირველობა კანადაში ტარდება.

**გია თვალაბეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# სერენას რევანში



მაიამიში მიმდინარე მასტერსის ტურნირი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ქალთა ბადეში პირველი ორი ნახევარფინალისტი უკვე გამოვლინდა, რომელთაგან ერთი შარშანდელი ჩემპიონი, ამერიკელი **სერენა უილიამსია,** რომელმაც მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** დაამარცხა, მეორე კი რუსი **სვეტლანა კუზნეცოვამ,** რომელმაც ტურნირი **ვენუს უილიამსს** დაატოვებინა.

წინსვლას აგრძელებს მამაკაცთა რეიტინგის პირველი ჩოგანი, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი,** რომელმაც მეოთხედფინალის გზაზე არგენტინელ **ხოსე აკასუსოს** მოუგო. რაც მთავარია, მას აშკარად ეტყობა, რომ ჩვეულ ფორმაში შედის და ვინძლო, მაიამის ტურნირის მესამე ტიტულისთვისაც იბრძოლოს. სხვათა შორის, ამ ტურნირის მეოთხედფინალში ზედიზედ მეექვსედ გავიდა.

ფედერერი, ვინც აკასუსოსთან შეხვედრაში, თავის სერვისზე სულ ათი ქულა დათმო, მეოთხედფინალში ამერიკელ **ენდი როდიკს** დაუპირისპირდება, რომელსაც სამი სეტი დასჭირდა ფრანგი **ჟულიან ბენეტოუს** დასამარცხებლად. როდიკი სტაბილური თამაშით ვერ დაიკვეხნის, თუმცა იმედოვნებს, რომ ამჯერად მაინც შეძლებს ფედერერის დამარცხებას. ადრე თუ გვიან, მას აუცილებლად დავამარცხებ და ვიმედოვნებ, რომ ეს აქ მოხდებაო, - ამბობს ამერიკელი.

ფედერერს კარიერაში 53 ტურნირი აქვს მოგებული, მაგრამ ამ სეზონში ტიტულის მოპოვებას ვერ ახერხებს, რისი მიზეზიც, გლანდების ანთებაა, რომელმაც სეზონის დასაწყისი ჩაუგდო, ამან კი მის გამოსვლებზე მოგვიანებითაც უარყოფითად იმოქმედა. აკასუსოს რომ გაუსწორდა, როჯერი პრესას მისდგა, ხშირად დასკვნების გამოტანას ჩქარობთ ხოლმე და ალბათ ამის გამოა, რომ ბევრმა ჩემი კარიერის დალმავლობა იწინასწარმეტყველაო, - უსაყვედურა ჟურნალისტებს.

მისი და აკასუსოს შეხვედრის პირველმა სეტმა ბრეიკების გარეშე ჩაიარა, ტაიბრეიკი კი შვეიცარიელმა ბოლო ორი ქულის მოპოვებით მოიგო. მეორე სეტი ისე დაიწყო, როგორც ფედერერს სჩვევია - პირველი ოთხი გეიმი იოლად მოიგო და აქედან მოყოლებული, ყოველგვარი პრობლემის გარეშე მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე.

როდიკის და ბენეტოუს შეხვედრის დასაწყისი ამერიკელისთვის თავზარდამცემი იყო. ფრანგი ბრწყინვალედ ირჯებოდა და ერთხელ მეტოქის სერვის-გეიმის მოგებაც მოახერხა. სამაგიეროდ, თავისაზე მას ხელის განძრევის საშუალებასაც არ აძლევდა. მეორე სეტი დაახლოებით პირველის მსგავსი გამოდგა, თუმცა ამჯერად ამერიკელმა გაილალა და მერვე გეიმში ბრეიკსაც მიაღწია, რამაც სეტებში ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა.

მესამე სეტის დასაწყისში კი როდიკმა ზედიზედ სამი გეიმი მოიგო და ფრანგი ვერც იმან იხსნა, რომ მეოთხე გეიმის დაწყებამდე გაწვიმდა და თამაში თითქმის საათით შეწყდა. შეხვედრის შემდეგ ამერიკელი თავისი გამოსვლით კმაყოფილი ჩანდა. *"გამოცდილების მიღების კვალობაზე, სულ უფრო ხშირად ვახერხებ უხეიროდ დაწყებული თამაშების შემობრუნებას. დაშვებულ შეცდომებს ვაანალიზებ და მაშინაც კი, როცა კარგ ფორმაში არ ვარ, სწორი ტაქტიკის შერჩევას ვახერხებ, რასაც გამარჯვებამდე მივყავარ. არ შემიძლია, ამით კმაყოფილი არ ვიყო"*, - განაცხადა როდიკმა.

კიდევ ერთ ფრანგს - **პოლ-ანრი მატიეს** მეოთხედფინალისკენ გზა მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** გადაუღობა, რომელსაც ნახევარფინალის საგზურისთვის პაექრობა ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკთან** მოუწევს.

რაც შეეხება სერენას, რა თქმა უნდა, მსოფლიოს პირველი ჩოგნის ძლევით ის ძალიან კმაყოფილი დარჩა. მით უმეტეს, რომ ბელგიელი ამ შეხვედრაში მასთან შედარებით, ახალბედასავით გამოიყურებოდა. *"ასეთ კარგ განწყობაზე 1982 წლის შემდეგ არ ვყოფილვარ"*, - შეხვედრის დასრულების შემდეგ ოხუნჯობდა 1981 წელს დაბადებული სერენა. *"შარშან, ეს ტურნირი რომ მოვიგე, ასე კარგად მაშინაც კი არ ვგრძნობდი თავს და ვიმედოვნებ, რომ ასეც გავაგრძელებ და ტრავმას აღარ მივიღებ"*, - განაცხადა სერენამ, ვისაც ფინალის საგზურისთვის კუზნეცოვასთან მოუწევს თამაში.

*"სერენა ძალიან სტაბილურია. რაც მთავარია, ამ შეხვედრაში, ყველა სათამაშო კომპონენტში მაჯობა. მე კი, მოწოდება არ გამომდიოდა და თანაც, ის მცირე შანსებიც ვერ გამოვიყენე, რომლებიც დასაწყისში მქონდა. ეს კი, პირველ რიგში, მისი დამსახურებაა"*, - განაცხადა ბელგიელმა, ვისაც, ფედერერის მსგავსად, ამ სეზონში ჯერ ტურნირი არ მოუგია.

შეგახსენებთ, რომ ეს ორი ჩოგბურთელი გასულ სეზონში დიდი სლემის სამ ტურნირზე შეხვდა ერთმანეთს და სამივე შემთხვევაში, გამარჯვება ჟუსტინმა მოიპოვა - ბელგიელმა სერენა საფრანგეთის ღიას, უიმბლდონისა და აშშ-ის ღიას მეოთხედფინალში დაამარცხა. მაიამის ტურნირის ნახევარფინალში კი პირველი რევანში შედგა. სხვათა შორის ჟუსტინმა სერენას საქმე 32 უნებლიე შეცდომით გაუადვილა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

## ATP

### Pacific Life Open

ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 770 000 დოლარი

#### 1/8 ფინალი

**როჯერ ფედერერი (შვეიც, 1)**-ხოსე აკასუსო (არგ) 7:6 (5), 6:2; **რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-პოლ ანრი მატიე (საფ, 16) 6:4, 6:4; **ნიკოლაი დავიდენკო (რუს, 4)**-მარიო ანჩიჩი (ხორ) 4:6, 6:3, 7:5; **ენდი როდიკი (აშშ, 6)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 4:6, 6:3, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 27) 6:3, 6:4; **ტომას ბერდიხი (ჩეხ, 10)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს) 6:2, 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-მიხაილ იუჟნი (რუს, 11) 3:6, 6:0, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს, 31)**-გილერმო კანიასი (არგ, 15) 6:4, 7:6 (6).

#### 1/4 ფინალში ხვდებიან

ფედერერი (1)-როდიკი (6); დავიდენკო (4)-ტიპსარევიჩი; ბერდიჩი (10)-ანდრეევი (31); ბლეიკი (9)-ნადალი (2).

## WTA

### Sony Ericsson Open

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 3 770 000 დოლარი

#### 1/4 ფინალი

**სერენა უილიამსი (აშშ, 8)**-ჟუსტინ ანენი (ბელ, 1) 6:2, 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 3)**-ვენუს უილიამსი (აშშ, 6) 6:4, 6:4.

## ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**აილენდერსი-ნიუ ჯერსი 1:2 (ო)**

1:0, 0:1, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 ვაშიჩეკი-16 (გერინი-21, ბერგენჰაიმი-12), 1:1 ელიაში-20 (ოდუია-19, მარტინი-26), 1:2 პარიზე-32 (ოდუია-20, ელიაში-35).

**ვაშინგტონი-კაროლინა 4:1**

2:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 კუკი-10 (მ. გრინი-34, ფიოდოროვი-27), 2:0 ლეიჩი-21 (ფლიშმანი-20, ერქ. კოზლოვი-36), 2:1 ს. უოკერი-13 (პედიკანი-14, ბაიდა-3), 3:1 სიომინი-25 (მ. გრინი-35, ფიოდოროვი-28), 4:1 ოვეჩკინი-63 (ბექსტრომი-53, შულტცი-13).

**ტორონტო-ბაფალო 3:4 (ბ)**

2:0, 0:1, 1:2, 0:0

გოლები: 1:0 ტაკერი-18 (კუბინა-28, ბელი-6), 2:0 ტ. კაბერლე-8 (ჯ. ბლეიკი-36, ტაკერი-14), 2:1 დ. რუა-32 (აფინოგენოვი-18), 2:2 ბერნიე-16 (მეირი-12, პაეტში-8), 3:2 სტინი-15 (პონიკაროვსკი-17, სტრალმანი-6), 3:3 ვანეკი-33 (სეკერა-5, პომინვილი-52).

**ბულიტები გაიტანეს:** ტ. კაბერლე (ტორონტო), კოტალიკი (ბაფალო), აფინოგენოვი (ბაფალო).

**ატლანტა-ფლორიდა 2:3**

0:1, 1:0, 1:2

გოლები: 0:1 ო. იოკინენი-34 (მაკლინი-22), 1:1 ლავალ-სმოტერმანი-1 (პაველიდი-13), 1:2 ბოუმისტერი-14, 1:3 ბეტი-22 (მ. იოჰანსონი-13, პორტონი-34), 2:3 რეკი-14 (ლავალ-სმოტერმანი-1).

**სენტ ლუისი-ნეშვილი 3:4 (ო)**

3:0, 0:1, 0:2, 0:1

გოლები: 1:0 ე. მაკდონალდი-18 (პერონი-13, ბექსი-17), 2:0 მეიერსი-12 (ჯეკმენი-13, უ. ჯონსონი-26), 3:0 პერონი-12 (ე. მაკდონალდი-31, ბექსი-18), 3:1 ბოჩენსკი-3 (პევერლი-5, ტუტუ-7), 3:2 ტუტუ-11 (ტიდლიცკი-38, ბოჩენსკი-10), 3:3 ფიდლერი-11, 3:4 პევერლი-4 (პლავაჩი-20, სუტერი-23).

**ვანკუვერი-კოლორადო 2:4**

1:0, 1:3, 0:1

გოლები: 1:0 ვ. მიტჩელი-2 (ლინდენი-5, დ. სედინი-45), 2:0 კესლერი-21 (შ. სედინი-61, ნესლუნდი-30), 2:1 ლაილსი-6 (საკიკი-25, ჰეიდუკი-24), 2:2 ჰეიდუკი-28 (ფორსბერგი-10), 2:3 ვოლსკი-18 (საკიკი-26, ბრუნეტი-39), 2:4 ფორსბერგი-1 (ბრუნეტი-40).

**ოტავა-მონრეალი 0:3**

0:1, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 კოვალიოვი-35 (რაიდერი-17, ბრისბუა-8), 0:2 დანდენო-9 (ლატენდრესი-11, ლაპიერი-11), 0:3 ა. კოსტიცინი-26 (კოვალიოვი-48, მტრაიტი-47).

**ედმონტონი-კალგარი 2:3**

1:1, 0:1, 1:1

გოლები: 1:0 გლენკროსი-14 (ბროძიაკი-16, სტაოისი-9), 1:1 ა. ოკუანი-10 (ნოლანი-16, ლომბარდი-20), 1:2 ტანგეი-17 (ა. ერიქსონი-17, ფანოფი-42), 2:2 გლენკროსი-15 (ბროძიაკი-17), 2:3 ნოლანი-16 (ლომბარდი-21, ფანოფი-43).

**სან ხოსე-ლოს ანჯელესი 5:2**

1:0, 2:2, 2:0

გოლები: 1:0 გრირი-9 (რისმილერი-9, მაკლარენი-8), 1:1 ო'სალივანი-21, 2:1 მარლო-18 (რიონიკი-18, ბ. კემპბელი-53), 2:2 ივანსი-5 (ფროლოვი-43, დ. არმსტრონგი-26), 3:2 მ. მიხალეკი-24 (ჯ. თორნტონი-66, ქლოუ-5), 4:2 კ. ბრაუნი-5 (მელი-6), 5:2 ბ. კემპბელი-8 (მ. კარლი-13, მარლო-27).

## TV სპორტი

### 3 აპრილი. ხუთშაბათი

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ფენერბაჰჩე-ჩელსი.
**14:20** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ლიბერტადი (პარაგვაი).
**16:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:20** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:30** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ლიბერტადი (პარაგვაი).
**17:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. არსენალი-ლივერპული.
**19:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**19:40** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**19:50** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**21:30** ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ფენერბაჰჩე-ჩელსი.
**23:30** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფლუმინენსე (ბრაზილია)-ლიბერტადი (პარაგვაი).
**01:15** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**01:30** ზუსტი გათვლა.
**01:45** საფეხბურთო კლუბი.

#### SPORT 1 (უკრაინა)

**07:05** სპორტდოსიე.
**07:30** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:23** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**08:53** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**09:25** ფეხბურთი. Barca TV.
**09:33** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**10:01** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. I მატჩი. ფენერბაჰჩე-ჩელსი.
**11:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**12:50** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსის სერია. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
**16:55** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**17:25** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-ფილადელფია.
**19:13** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
**19:36** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**20:10** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ლევერკუზენი-ზენიტი (LIVE).
**22:25** სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
**22:45** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ბაიერნი-ხეტაფე (LIVE).
**00:41** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**01:06** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**01:37** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალის მიმოხილვა.
**02:34** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**03:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-რეინჯერსი (LIVE).
**05:40** სპორტდოსიე.
**06:06** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### EUROSPORT

**10:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ლევერკუზენი.
**11:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ხეტაფე-ბენფიკა.
**12:00** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა.
**13:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**14:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
**16:30** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჰამბურგი-ლევერკუზენი.
**17:15** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ხეტაფე-ბენფიკა.
**18:00** სნუკერი.
**19:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები.
**20:00** ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
**20:15** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
**21:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. მაიამი. აშშ (LIVE).
**22:45** პროფესიული კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი. IBF-ის ვერსია. ნიუ იორკი. აშშ.
**00:15** კიკ-ბოქსინგი.
**02:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები.

#### EUROSPORT-2

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ფეხბურთი. უეფას თასი.
**13:00** ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ნოვარა (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია).
**17:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. მონტესკიავო (იტალია)-პერუჯა (იტალია).
**18:00** ფეხბურთი. უეფას თასი.
**19:00** საფეხბურთო ფრისტაილი. პარიზი. საფრანგეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** რალი. Intercontinental Rally Challenge. სეზონის მიმოხილვა.
**21:00** ფრისტაილი. მსოფლიო ტური. შვეიცარია.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** ბილიარდი.
**00:00** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი. ნოვარა (იტალია)-ციურიხი (შვეიცარია).
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. არგენტინა.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ბერგჰაუზენი-როიტლინგენი | 1:0 |
| **საფრანგეთი** | |
| პსჟ-სტრასბური | 1:0 |
| **დანია** | |
| ლუნგბიუ-ოდენსე | 0:3 |
| **II დივიზიონი** | |
| ჰერფიოლგე-ნაესტვედი | 2:0 |
| აკადემისკი-სილკებორგი | 3:0 |
| **შვეიცარია** | |
| გრასჰოპერსი-ბაზელი | 1:1 |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ლოზანა-ლოკარნო | 0:1 |
| ივერდონი-სერვეტი | 0:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| ტრასივულოსი-ოლიმპიაკოსი | 2:3 |
| არისი-ატრომიტოსი | 1:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| აპოელ-ანორთოსისი | 0:0 |
| არისი-აგია | 2:4 |
| **პოლონეთის თასი** | |
| ლეგია-ლეხია | 1:0 |
| ზაგლებე-პოლონია | 5:0 |
| **სლოვენია** | |
| პუბლიკუმი-კოპერი | 0:2 |
| **სერბეთი** | |
| ბორაცი-ოფკ | 0:0 |
| ჩუკარიჩკი-ბანატი | 2:0 |
| მლადოსტი-სარტიდი | 0:1 |
| პარტიზანი-ბეჟანია | 2:2 |
| ვოივოდინა-ჰაიდუკი | 4:1 |
| ცრ. ზვეზდა-ნაპრედაკი | 5:0 |
| **უნგრეთის თასი** | |
| ინტეგრალი-დებრეცენი | 1:4 |
| **იაპონია** | |
| ოიტა-გამბა | 1:2 |
| ომიია-ნაგოია | 1:2 |
| ნიიგატა-კაშიმა | 0:2 |
| საპორო-კავასაკი | 0:2 |
| ჯეფ იუნაიტედი-კობე | 1:1 |
| კიოტო-კაშივა | 0:1 |
| შიმიცუ-ურავა | 1:2 |
| ვერდი-ივატა | 1:2 |
| იოკოჰამა-ტოკიო | 3:0 |

### ჰოკეი

| | |
|---|---|
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-კიეკო | ო.ტ. 1:2 |

### ჩოგბურთი

| | |
|---|---|
| **ATP. მაიამი** | |
| ნადალი-ბლეიკი | 3:6, 6:3, 6:1 |
| **WTA. მაიამი** | |
| იანკოვიჩი-დემენტიევა | 6:1, 6:1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

### ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები

**არსენალი-ლივერპული 1:1**

არსენალი: ალმუნია, ტურე, გალასი, სენდეროსი, კლიში, ფაბრეგასი, ფლამინი, ებუე (68. ბენდტნერი), გლები, ვან პერსი (46. უოლკოტი), ადებაიორი.

ლივერპული: რეინა, კარაგერი, ჰიიპია, შკრტელი, ფაბიო აურელიო, მასკერანო, ჩაბი ალონსო (77. ლუკას ლეივა), კუიტი, ჯერარდი, ბაბელი (58. ბენაიუნი), ფერნანდო ტორესი (85. ვორონინი).

გოლები: 1:0 ადებაიორი (23), 1:1 კუიტი (26)

მაყურებელი: 60 139

არბიტრი: პიტერ ფინკი (ჰოლანდია)

| | სტატისტიკა | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: ლივერპული | |
| | პირველი ჯარიმა: არსენალი | |
| | პირველი კუთხური: ლივერპული | |
| | პირველი გაფრთხილება: ლივერპული | |
| 13(5) | დარტყმა | 4(4) |
| 8 | ჯარიმა | 12 |
| 6 | კუთხური | 3 |
| 0 | გაფრთხილება | 1 |
| 61% | ბურთის ფლობა | 39% |

#### სტენოგრამა

**I ტაიმი**

6 - უსიამოვნო მომენტი "ლივერპულის" კართან. რეინამ საჯარიმო დატოვა, სველ გაზონზე ფეხი დაუცდა, თუმცა ადებაიორმა მახვილი კუთხიდან ცარიელ კარში ვერ დაარტყა.

10 - "ლივერპულის" დაცვა შენყობილად მოქმედებს. ადებაიორი მეორედ მოხვდა ხელოვნურ თამაშგარეში.

15 - მასკერანო-ალონსოს კომბინაციის შემდეგ, მეკარესთან პირისპირ რჩებოდა ჰიიპია, რომელსაც ბოლო მომენტში მცველმა დაასწრო.

19 - ტურეს დრიბლინგის შემდეგ, "ლივერპულის" კართან კუთხური დაინიშნა. კუთხიდან ჩანოდებას კინაღამ გოლი მოჰყვა - სენდეროსს სიზუსტე დააკლდა.

20 - ფლამინის ულამაზესი პასის შემდეგ, ვან პერსი ერთი შეხებით ახლოდან ურტყამდა, მაგრამ ზედა ძელს გადააცილა.

22 - "არსენალის" უსწრაფესი კომბინაციის შემდეგ, ფაბრეგასმა ვან პერსი მონახა. ჰოლანდიელს რეინამ აჯობა და ნახტომში კუთხურზე გაუშვა ბურთი. გოლი მომწიფდა!

23 - გოოოოოოოლ!!!!! კუთხური ვან პერსიმ და ფაბრეგასმა გაითამაშეს. საჯარიმოს ცენტრში ჩანოდებულ ბურთზე ყველაზე მაღლა ადებაიორი ახტა და იოლი გოლი გაიტანა.

26 - გოოოოოოოლ!!!!! "ლივერპულმა" პასუხი არ დააყოვნა. ჯერარდი მარცხნიდან დრიბლინგით შევარდა საჯარიმოში და კარის გასწვრივ დაარტყა. კუიტმა გალასთან და ტურესთან ორთაბრძოლაში გაიტანა.

32 - ფერნანდო ტორესმა მოძრაობაში მოატყუა ორი მცველი და ბაბელს მიაწოდა. ჰოლანდიელის დარტყმას ალმუნია ადგილზე დახვდა.

35 - ჯერარდმა შორეულ კუთხესთან ჩაჰკიდა საჯარიმო, კუიტმა კარიდან სამ მეტრში ისე მიიღო ბურთი, ხელს არავინ უშლიდა. ჰოლანდიელის პასით ჯერ ჰიიპიამ, შემდეგ ჯერარდმა ვერ იხეირეს და კუთხური დაინიშნა.

**II ტაიმი**

48 - ალმუნიამ "არსენალი" გადაარჩინა. ჯერარდისა და შკრტელის ძალისხმევით კუიტი ურტყამდა. ესპანელმა მეკარემ ლამაზ ნახტომში მოიგერია.

56 - უოლკოტი მარცხენა ფლანგიდან ცენტრისკენ დაიძრა და უძლიერესად დაარტყა. ბურთი ოდნავ აცდა კარს.

65 - უოლკოტმა უკიდურესად გაამწვავა "არსეალის" შეტევები. ახალგაზრდა ფორვარდმა მარცხენა ფლანგი ააწიოკა და მისი აქტიურობის შემდეგ, შკრტელმა ცარიელი კარიდან გამოიტანა ბურთი.

67 - კუიტმა საკუთარ საჯარიმოში აშკარად გამოსდო ხელი გლებს. მსაჯმა არ გარისკა პენალტის დანიშვნა.

70 - სასწაული! ადებაიორმა შკრტელი მოატყუა, მისი ჩაწოდებული რეინამ მოიგერია, მაგრამ ფაბრეგასმა მოახერხა კარში დარტყმა. ოფსაიდში მყოფმა ბენდტნერმა თანაგუნდელის დარტყმული ცარიელი კარიდან გამოიტანა.

75 - პირველი გაფრთხილება მატჩში - ჩაბი ალონსომ ხელით ითამაშა.

90+1 - ფაბრეგასი საჯარიმოს ცენტრიდან თავით ურტყამს. ბრწყინვალედ თამაშობს რეინა.

90+3 - "არსენალის" ბოლო შეტევა. ტურეს პასის შემდეგ, ადებაიორი დასწრებაზე თამაშს ცდილობს, მაგრამ ჰიიპიამ იმარჯვა.

**ფენერბაჩე-ჩელსი 2:1**

ფენერბაჰჩე: ვოლქან დემირელი, ონდერ თურაჩი, ლუგანო, ედუ დრასენა, ვედერსონი, მალდონადო, მეჰმეთ აურელიო, უგურ ბორალი (54. ქაზიმი), დეივიდი, ალექსი, კეჟმანი (72. სემიჰ შენთურქი).

ჩელსი: კუდიჩინი, ესიენი, ტერი, რიკარდო კარვალიო, ე. კოული, მაკელელე, ჯ. კოული (86. ანეკლა), ბალაკი, ლემპარდი (76. ობი მიკელი), მალუდა, დროგბა.

გოლები: 0:1 დეივიდი (13-საკ. კარში), 1:1 ქაზიმი (65), 2:1 დეივიდი (81)

მაყურებელი: 50 500

არბიტრი: კლაუს ბო ლარსენი (დანია)

| | სტატისტიკა | |
|---|---|---|
| | მატჩი დაიწყო: ფენერბაჰჩე | |
| | პირველი ჯარიმა: ჩელსი | |
| | პირველი კუთხური: ჩელსი | |
| | პირველი გაფრთხილება: არ ყოფილა | |
| 7(4) | დარტყმა | 15(5) |
| 11 | ჯარიმა | 11 |
| 4 | კუთხური | 4 |
| 0 | გაფრთხილება | 0 |
| 51% | ბურთის ფლობა | 49% |

#### სტენოგრამა

**I ტაიმი**

12 - მაკელელეს გრძელი პასით მეკარესთან პირისპირ მალუდა დარჩა, მაგრამ მას წამით მცველმა დაასწრო და ბურთი კუთხურზე გაუშვა.

13 - გოოოოოოოლ!!!!! მალუდას ჩაწოდებული საკუთარ კარში ჩაჭრა დეივიდმა. "ჩელსი" წინ გავიდა!

17 - ესიენმა 35 მეტრიდან ბრწყინვალე დარტყმით ზედა ძელს გაარტყა ბურთი.

23 - დროგბა მცველს გაუსხლტა და შორეულ კუთხეში დაარტყა. აცდა.

29 - დროგბას უძლიერესი დარტყმა ახლო კუთხეში. ვოლქანმა აშკარა ვოლისგან იხსნა მასპინძლები.

34 - დროგბამ ამჯერად 30 მეტრიდან გაისროლა - არაზუსტად.

37 - ტაიმის ბოლოს "ფენერბაჰჩე" გამოცოცხლდა, მაგრამ არა იმდენად, რომ "ჩელსის" დაცვას დააკლოს რამე.

45 - 100-პროცენტიანი მომენტი. ბალაკმა დროგბა ერთიერთზე გაიყვანა, მაგრამ ვოლქანმა ფეხებში ვარდნით აჯობა ივუარელს.

**II ტაიმი**

49 - ისევ ბალაკი-დროგბას კომბინაცია. აფრიკელი ფორვარდის კიდევ ერთი გასვლა პირისპირ, მაგრამ ამჯერად მცველმა განმუხტა სიტუაცია.

50 - მეჰმეთ აურელიომ მარჯვნიდან ჩააწოდა, მაგრამ ალექსმა ახლო მანძილიდან თავით უხეიროდ დაარტყა.

51 - საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან თურქები შეცდნენ, რამაც ლემპარდს კარში დარტყმის საშუალება მისცა. მასპინძელთა საბედნიეროდ, არაზუსტად.

54 - "ფენერმა" ზედიზედ რამდენიმე კუთხური ჩააწოდა და ყველა შემთხვევაში სულ მცირე დააკლდა ანგარიშის გასათანაბრებლად.

57 - ბალაკმა ძალიან ძლიერად დაარტყა. ისევ ვოლქანი თამაშობს ზუსტად.

59 - დროგბამ შორეულ ცხრიანში სცადა ბურთის ჩახვევა - არ გამოუვიდა.

65 - გოოოოოოოოლ!!!!! ზიკომ შეცვლა გამოიცნო. მეჰმეთ აურელიომ მეკარესთან პირისპირ ქაზიმი გაიყვანა, რომელმაც მინიმალური შანსიც არ დაუტოვა კუდიჩინის.

68 - დროგბამ საჯარიმოს ხაზიდან დაარტყა ჯარიმა და ძალიან არაზუსტად.

81 - გოოოოოოოოლ!!!!! დეივიდმა პირველ ტაიმში ჩადენილი დანაშაული გამოისყიდა და ამჯერად საპირისპირო კარში შეაგდო ბურთი. თან როგორი! 30 მეტრიდან ცხრიანში ულამაზესი დარტყმა.

88 - "ჩელსი" სიტუაციის გამოსწორებას ცდილობს, მაგრამ "არისტოკრატები" შეტევაში ბევრ შეცდომებს უშვებენ.

# ფენერმა გრანტი აიღო



კუიტის გოლმა ლივერპულს კარგი შანსი გაუჩინა

სამშაბათის თამაშებისგან განსხვავებით, როცა სტუმრებმა გაიმარჯვეს და ნახევარფინალში გასვლის დიდი შანსი შეიძინეს, ამჯერად გუშინდელმა ორმა მეოთხედფინალმა გაცილებით მეტი თავსატეხი გაუჩინა პროგნოზების მოყვარულებს.

ჩემპიონთა ლიგაზე ინგლისური დერბები უკვე აღარავის აკვირვებს, კიდევ უფრო ნაცნობია სურათია პლეიოფში "ლივერპულის" ხილვა, რომელმაც წინა ორ გათამაშებაში ლონდონის ""ჩელსი" გამოთიშა ბრძოლას.

ამჯერად ეს გუნდები დროებით აცდნენ ერთმანეთს (მათი სავარაუდო დაპირისპირება შეიძლება ნახევარფინალში შედგეს), მაგრამ **რაფა ბენიტესის** გუნდს "არსენალის" სახით არანაკლებ სერიოზული გამომცდელი ჰყავდა.

აქედანვე უნდა ითქვას, რომ "მერსისაიდელებმა" სანახევროდ ამოხსნეს ნახევარფინალში გასვლის ამოცანა - არ წააგეს და გოლიც გაიტანეს მეტოქის მოედანზე. თუმცა იმაშიც არავის ეპარება ეჭვი, რომ მთავარი ბრძოლა ერთი კვირის შემდეგ, ლივერპულის"ენფილდზე" გაიმართება. "არსენალი" მართალია უფრო უარეს სიტუაციაშია, მაგრამ **არსენ ვენგერის** ბიჭები უბრძოლველად არაფერს დათმობენ.

სულ რაღაც თვენახევრის წინ, "არსენალი" დამაჯერებლად ლიდერობდა პრემიერლიგას, მაგრამ ნელ-ნელა გუნდმა თამაშს უკლო, მთავარი კონკურენტი, "მანჩესტერ იუნაიტედი" წინ გაუშვა და ახლა მისი ჩემპიონობა ძალიან სათუო გახდა. საერთო აზრით, "მეთოფეების" ეს ჩავარდნა ახალგაზრდული შემადგენლობით და შესაბამისად, გამოუცდელობით არის განპირობებული. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ "არსენალმა" სათასო ბატალიებში გამობრძმედილ "ლივერპულს" ვერაფერი დააკლო.

"არსენალმა" წარმატებით გადაჭრა "ლივერპულის" საუკეთესო ბომბარდირის, **ფერნანდო ტორესის** ნეიტრალიზაციის საკითხი. ესპანელი უჩვეულოდ პასიური იყო და ბოლოს ის შეცვალეს კიდეც. მაგრამ მასპინძლებმა ვერაფერი მოუხერხეს **სტივენ ჯერარდს**, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობდა თავისიანების შეტევებს და სტუმრების ერთადერთ გოლში, სწორედ "ლივერპულის" კაპიტნის უდიდესი წვლილია აღსანიშნავი. ჯერარდის ვიზავის, **ფაბრეგასსაც** არ აკლდა აქტიურობა, მაგრამ ლივერპულელის ფონზე ახალგაზრდა ესპანელი აშკარად ჩრდილში იყო მოქცეული.

აღსანიშნავია აგრეთვე "ლივერპულის" დაცვის ხაზი. მეორე ტაიმში, როცა სტუმრებმა ინიციატივა მთლიანად მეტოქეს დაუთმეს, სწორედ ამ დროს კარგად გამოჩნდა მერსისაიდელთა დაცვის ხაზის ძალა. მცველების დამაჯერებლობა **რეინასაც** გადაედო, რომელმაც უშეცდომოდ ჩაატარა მთელი მატჩი.

რა მოხდება "ენფილდზე" არავინ იცის, მაგრამ აშკარაა, რომ თუ "არსენალს" პლეიოფში წინ წაწევა სურს, შეტევაში უნდა მოუმატოს თამაშს.

■ ■ ■

"ფენერბაჰჩე" პირველად თამაშობდა ლიგის მეოთხედფინალში და ეს ისტორიული მოვლენა თურქებმა "ჩელსის" ძლევით აღნიშნეს.

გუნდები ამ მატჩს ორი შთამბეჭდავი სერიით შეხვდნენ. "ფენერს" საკუთარ მოედანზე ოთხიდან ოთხი მატჩი ჰქონდა მოგებული, "ჩელსი" კი, აქამდე დაუმარცხებლად თამაშობდა ლიგაში. თურქებმა სერია გააგრძელეს, "არისტოკრატებმა" კი, პირველი წაგება ჩაიწერეს აქტივში.

პირველი ტაიმის შემხედვარე, ძნელად ვინმე თუ იწინასწარმეტყველებდა მასპინძლების გამარჯვებას. ლონდონელებმა ყველა კომპონენტში დაჩაგრეს მეტოქე, თავად მართალია ვერ გაიტანეს, მაგრამ **დეივიდს** შეაგდებინეს ავტოგოლი.

თურქების დამრიგებლის, **ზიკოს** სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შესვენებაზე მან ზუსტად გადააწყო თავისი გუნდის თამაში და მეორე ტაიმი უკვე "ფენერბაჰჩესი" იყო. ბრაზილიელმა სპეციალისტმა შეცვლაც გამოიცნო და მოედანზე შესულმა **ქაზიმმა** 9 წუთში შეძლო ანგარიშის გათანაბრება. ღმერთმა არც დეივიდი გაწირა ბოლომდე და მას ულამაზესი გამარჯვების გოლი გაატანინა.



დეივიდმა (მარცხნივ) ავტოგოლს გამარჯვების გოლიც დაუმატა

მიუხედავად თურქების გამარჯვებისა, ამ წყვილში ფავორიტად, რა თქმა უნდა, "ჩელსი" რჩება, თუნდაც იმიტომ, რომ ზიკოს შეგირდებს წელს, ლიგაზე არცერთი გასვლითი მატჩი არ მოუგიათ. მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა ვიკითხოთ, რამდენად სამართლიანია ამ ლონდონურ გუნდში **აბრაამ გრანტის** მთავარ მწვრთნელად მუშაობა და შეესაბამება თუ არა "ჩელსის" თამაში მისი მფლობელის, **რომან აბრამოვიჩის** ამბიციებს.

**გია თვალაბეიშვილი**